



წანგარი

ყაღმუხური



ფელეკატი

მ თ ა ტ გ მ ნ ე ლ ე მ ი

კარლო ვადაძე
გრ. აბაშიძე
კონსტანტინე ჭიჭინაძე
ფასო გორგაძე
რაყდენ გვეტაძე
ადექსანდრე გომიაშვილი

პ.-მგ. ბრძანდებით:
ირაკლი აბაშიძე

უკვლავი სახალხო ქმნილება

აღმოსავლეთის ხალხთა უაღრესად მდიდარ გონებრივ და სულიერ საუნჯეში უდიდეს ყურადღებას იქცევენ ვრცელი ეპიური პოემები, ეს მონუმენტალური სახალხო ქმნილებანი, რომელნიც, როგორც ცოცხალი მატრიანენი, მთელი სიმძაფრით და სისრულით გამოხატავენ თავისი ხალხის მთელ არსებას, მის საუკეთესო მისწრაფებებს. ასეთი კლასიკური ქმნილებებით მდიდარია აზიის ხალხთა ლიტერატურა.

ამ ეპოსის ერთ-ერთი უმესანიშნავესი ნიმუშია ყალმუხი ხალხის გმირული პოემა „ჯანგარი“. ეს ნაწარმოები მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. თავისებურია ყალმუხური ეპოსის სტილი და მსოფლმეგრძობა. არაბულ-ირანული კულტურის ზეგავლენა, რომელიც საერთოდ ძალიან გავრცელებულია აზიის ხალხთა ლიტერატურაში; ყალმუხთა ეპოსში და, კერძოდ „ჯანგარში“ არა სჩანს. „ჯანგარი“ თავისი მხურვალე, ალგზნებული ფანტაზიით უფრო ინდურსა და ჩინურ ლიტერატურას ენათესავენ ეს გასაგებიც არის, როცა „ჯანგარის“ გენიალური სიმღერები იქმნებოდა, ყალმუხები ჯერ კიდევ ვოლგის მიდამოებში არ იყვნენ მოსულები, ისინი მაშინ იხვეჯუნგარიში (სინ-ძიანი) ცხოვრობდნენ. როცა ყალმუხმა ხალხმა ველარ აიტანა ჩინეთის იმპერატორთა თარეში თავის ქვეყანაში, ფიზიკური განადგურებისაგან თავის გადასარჩენად ყალმუხები აიყარნენ და წამოვიდნენ დასავლეთისაკენ, გამოექცნენ გაუთავებელ ომსა და დაუსრულებელ უბედურებას. ეს იყო მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში. სწორედ ამ დროს (1632 წელს) მოვიდნენ ყალმუხები ვოლგაზე. მაკრამ მათი გზა ვარდებით დაფენილი არ აღმოჩნდა. ხალხის ტანჯვას ბოლო არ მოელო, ყალმუხებს ახალ მიწა-წყალზე კვლავ დაადგეს მონობის უღელი საკუთარი ქვეყნის ფეოდალებმა და ბუღდისტურმა სამღვდლოებამ, ამათ გარდა, რუსეთის თვითმპყრობელობა ყალმუხებსაც, ისევე, როგორც იმპერიაში მოსახლე ყველა სხვა ხალხებს, ველურად სჩაგრავდა, არბევდა, აწამებდა, ართმევდა ყველა უფლებას, მაგრამ გმირი ხალხი კარზე მომდგარ ყველა ჭირს კვლავ მამაცურად უმკლავდებოდა.

ყალმუხურ მწერლობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. 1648 წელს ყალმუხთა სწავლულმა ზაია-პანდიტამ ძველი ნიმუშების საფუძველზე შექმნა ახალი ყალმუხური დამწერლობა, რომელიც ცნობილია „ტოდო-ბიჩიგის“ (ნათელი წერა)

სახელით. ყალმუხურ ენაზე თვით ამ უძველეს დროსაც ითარგმნებოდა ინდური და ჩინური მწერლობის ნიმუშები. მაგრამ, მიუხედავად ზაია-პანდიტას შრომისა, წერილობითი ლიტერატურა ყალმუხთა შორის წარსულში ფართოდ ვერ გავრცელდა. და მოხდა ეს იმიტომ, რომ გაბატონებული კლასების წარმომადგენლები—ნოინები და ზაისანგები ყოველთვის სცდილობდნენ სიბნელებში ემყოფებინათ ხალხი. ამ ფეოდალურმა წრეებმა კვლავ უნაბნოდ და უწინგოდ დასტოვეს ხალხი, გადაუკეტეს მას გზა წერილობითს ლიტერატურისაკენ. ამიტომ მოხდა, რომ ხალხმა მთელი ყურადღება ფოლკლორს მიაპყრო და იქ ჰპოვა ფართო შემოქმედებითი გასაქანი ხალხურმა გენიამ. ყალმუხურ ზღაპრებს, ლეგენდებსა და ეპიურ ქმნილებებში მოსჩანს მდიდარი შემოქმედებითი აღმაფრენა, აზრის სიმახვილე, სულიერი განცდის სიღრმე. ამ ქმნილებებს აღმოსავლეთის ხალხის მგზნებარე ფანტაზიის ბეჭედი აზის, ყალმუხთა ფოლკლორი გვაოცებს თავისი გონებამახვილობით და მხატვრული დახვეწილობით. ეს უბრალო მეჯოგეებისა და მწყემსების მიერ შექმნილი ნაწარმოებნი დღესაც გვხიბლავენ, დღესაც ინარჩუნებენ ისინი თავიანთ მხატვრულ მსიდიადეს.

ყალმუხურმა ფოლკლორმა ადრე მიიქცია რუსეთის მწერლობის ყურადღება. 1834 წელს პეტერბურგში უკვე გამოქვეყნდა ნეფედინეის წიგნი, რომელშიაც მოყვანილი იყო ყალმუხური სიმღერების ნიმუშები, ხოლო 60—70-ან წლებში რუსეთის ლიტერატურაში ყალმუხურ ეპოსს უკვე ფართო ყურადღებას აქცევენ. ამ ხანებში რუსულად გამოიცა ყალმუხური ზღაპრებისა და ლეგენდების მრავალი კრებული. ეს კრებულები აცნობდნენ მკითხველთ ყალმუხი ხალხის მხატვრულ შემოქმედებას. ახლახან ქ. როსტოვის არქივში აღმოაჩინეს „ჯანგარის“ ძველი თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ცნობილ მკვლევარს ი. ი. პოპოვს. ი. ი. პოპოვი დიდხანს სცხოვრობდა დონის ყალმუხთა შორის მას შესწავლილი ჰქონდა ყალმუხთა ენა და დამწერლობა, პოპოვს „ჯანგარი“ ჩაუწერია აგრეთვე მონგოლურ და ყალმუხურ ენებზედაც. ეს ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი ამტკიცებს, რომ ინტერესი „ჯანგარისადმი“ ძველდაც საკმაოდ ძლიერი იყო.

„ჯანგარი“ ყველაზე შესანიშნავი ძეგლია ყალმუხური ეპოსისა. ეს პოემა არის ყალმუხის ხალხის ნაციონალური სიამაყე, მისი უგულითადესი გრძნობის საგანძური. „ჯანგარი“ საერთოდ უაღრესად დიდი პოპულარობით სარგებლობს. ყალმუხებში მთელმა ხალხმა იცის ეს ნაწარმოები. ყალმუხთა ავტონომიურ რესპუბლიკაში არ მოიძებნება კაცი, რომელსაც ეს ცამეტიათას-სტრიქონიანი პოემა მოსმენილი მაინც არა ჰქონდეს. ამ ნაწარმოების მორალზე და მსოფლმხედველობაზე იზრდებოდნენ და იზრდებიან ყალმუხი ხალხის მთელი თაობები. ყალმუხთა შორის არიან „ჯანგარის“ პროფესიული შემსრულებ-

ლები, რომელთაც ჯანგარჩებს ეძახიან. ამ ხალხურმა მოქმედებმა საუკუნეების განმავლობაში დალუპვას გადაარჩინეს თავიანთი ხალხის საყვარელი ქმნილება. 'ამასთან „ჯანგარს“ მარტო საბჭოთა ყალმუხები როდი იცნობენ,—ეს ნაწარმოები ფართოდ არის გავრცელებული სინ-ძიანში, დასავლეთ ტიბეტში, ტანა-ტუეში, მონღოლეთში და სხვაგან.

„ჯანგარი“ უაღრესად ვრცელი ნაწარმოებია. იგი შესდგება თორმეტი სიმღერისაგან. ქართველმა პოეტებმა სთარგმნეს ერთი თავი: სიმღერა შულმუსების მრისხანე ხანის შარა-გიურ-გიუს დამარცხების შესახებ. თვითოეული სიმღერა მიძღვნილია იმ გოლიათების ცხოვრებისა და ბრძოლისადმი, რომელნიც ჯანგარის ირგვლივ არიან შემოკრებილნი. ამ პოემის ყველა სიმღერაში იგრძნობა, რომ ის შექმნა იმ ხალხმა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ვრცელი, ბრძოლითა და ტანჯვით აღსავსე გზა გაიარა. ხალხმა, რომელმაც მამაცად გადაიტანა თავის ზურგზე ძველი ისტორიის ყველა საშინელება.

„ჯანგარის“ თვითოეული სიმღერისათვის დამახასიათებელია უაღრესადწითული სიუჟეტი. როგორც კ. ჩუკოვსკი აღნიშნავდა „პრავდას“ ფურცლებზე „ჯანგარი“ ერთ-ერთი ყველაზე მუსიკალური პოემათაგანია, ის უაღრესად მდიდარია კეთილშობიანებით, შინაგანი რიტმით. მისი მხატვრული ქარგულობა რთულია და დიდებული.

მაგრამ მარტო ამ მაღალი მხატვრული ხარისხით როდი იქცევს „ჯანგარი“ ყურადღებას. მთავარი ის არის, რომ ეს ნაწარმოები უაღრესად ხალხურია. მასში გამოხატულია ხალხის სიბრძნე, ხალხის უგულითადესი მისწრაფება სიმართლისა და თავისუფლებისაკენ. ამ ეპოსის თვითოეული სტრიქონი აღსავსეა ხალხის მგზნებარე და მარად ჩაუქრობელი პატრიოტიზმით. ყალმუხმა ხალხმა შორეულ წარსულში, ხუთასი წლის წინად შფოთისა და გაუთავებელი ომების, მძიმე ტანჯვის ატმოსფეროში ჩააქსოვა თავისი სულის სიდიადე, თავისი მისწრაფება ბედნიერებისაკენ, ამ ქმნილებაში, რათა მას მომავალი საუკუნეებისათვის ერგენებინა წინაპართა სულიერი კეთილშობილება და მხნეობა, თავდადება და ვაჟკაცობა. ჯანგარი იდეალური სახალხო გმირია, მამაცი და კეთილშობილი, რომელიც დაუღალავად ფიქრობს და ზრუნავს მარტო იმაზე, რომ თავისი ქვეყანა ააყვავოს და მარადღამს უძღვევლი გახადოს. მთელი საუკუნეების განმავლობაში ეს ნაწარმოები ამხნეებდა ხალხს, უჩვენებდა მაგალითს, თუ როგორ უნდა სამშობლოსათვის ბრძოლა და მისთვის ვაჟკაცურად თავის განწირვა.

„ჯანგარში“ მოცემულია დიდი ბრძოლების პლასტიური სურათები. მაგრამ მასში როდი არიან იდეალიზებული ის რაინდები, რომელნიც უცხო ქვეყნების დაპყრობასა და გაძარცვაში ეძებდნენ სახელისა და დიდების მოხვეჭას. „ჯანგარის“ გოლიათები

ხალხის სიყვარულს ეძებენ და არა პირად დიდებას, ამით არიან ისინი უკვდავნი. „ჯანგარის“ გოლიათებმა კარგად იციან, რომ გმირობა არის არა სხვისი სამშობლოს ანიოკება, მეზობელ ხალხთა განადგურება, არამედ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა და ადამიანისადმი სიყვარული; იციან რომ ეს არის ყველაზე უფრო მაღალი სათნოება და ვაჟკაცობა. ამ დიდებულ და კეთილშობილურ იდეას მკვეთრად და დამძაფრებულ სახეებში გადმოგვცემს ყალმუხთა ეპოსი. ჩვენ აქ შევხებით მხოლოდ ზოგიერთ მაგალითს იმ ეპიზოდებიდან, რომელიც ქართულად ითარგმნა.

როცა ჯანგარი ბუმბის ქვეყნიდან წავიდა და ეს მხარე თავის თანამებრძოლ ალისფერ გოლიათს ხონგრა-ხანს ჩააბარა, გარეშე მტრები ერთდროულად წამოიშალნენ, რომ დაესუსტებინათ და დაეცათ ბუმბის ქვეყნის ძლიერება. ბუმბის დასარბევად მიემგზავრებიან ქაჯები—შულმუსები. შულმუსების მთავარი შარა-გიურგიუ ასეთ გეგმებს აწყობს:

„შენ რას იტყვი, რომ დავეცეთ
ხონგრას ჯარით დიდით,
განათებულ ბუმბის მთაზე
დავაყენოთ ბინდი,
უზარმაზარ ბუმბის ზღვაზე
გავდოთ მკვდრების ხიფი,
დავიჭიროთ ხონგრა-ხანი,
ვეფხვი ალისფერი,
შვიდ ქვესკნელში ჩავიყვანოთ
შულმუსების მტერი,
სატანჯველად მიუჩინოთ
წითელი ზღვის ფსკერი.“

(თარგმ. გრ. აბაშიძისა)

და აი შეკრიბა შარა-გიურგიუმ ჯარი, „უხშირესი უღრანის ტყის შავის“. შეესივნენ ისინი ჯერ კნგეკაგანის მამულს, სისხლის ტბები დააყენეს; სახლებისაგან მარტო ფერფლი და ნაცარიღა დასტოვეს, ამის შემდეგ ალყას არტყავენ ხონგრა-ხანსაც (არბევენ ბუმბის ქვეყანას და თითონ ხონგრასაც ატყვევებენ.

ეპოსში ეს დამპყრობელი ძალა წარმოდგენილია ბნელ, ვულურ ურდოდ, ცარცვა-გლეჯისა და ბოროტების სიმბოლოდ. ბუმბის ქვეყნის დიდებული რაინდები მამაცურად ებრძვიან ამ ბნელი ინსტიქტებით შთაგონებულ დამპყრობელ ძალას. კერძოდ, საუცხოოდ არის გადმოცემული ეპოსში ის ბრძოლა, რომელსაც ჯანგარის შვილი, სამი წლის შოვშური უმართავს შულმუსებს. შოვშურის სახით ეპოსში გადმოცემულია ყველა ის საუკეთესო თვისება, რომელიც ჯანგარის თანამებრძოლებს ახა-

სიათებს. როცა შოვეური გაანადგურებს ქაჯების ლაშქარს, დამფრთხალი და შეშინებული შარა-გიურგიუ კოშკში ჩაიკეტება. ამის შემდეგ ყრმა შოვეური კოშკზე იერიშით მიდის. როცა შოვეურმა ხანის ციხეს სვეტი გამოჰგლიჯა და კოშკი ჩამოანგრია, გიურგიუ იძულებული გახდა გამოსულიყო გარეთ და პირისპირ შებრძოლებოდა მონინაალმდეგეს, აი ამ ბრძოლის სურათიც:

„გაგიჟებულ სპილოს ჰგავდა
ყრმა შოვეური ხელი.
უცებ მისწვდა გიურგიუს
ცარიელი ხელით.
დრო ურჩია, მუხის ბოძად
გადაუდგა ფეხი,
მძლავრ მკლავებში მომწყვდეული,
კისერ მონაგრეხი,
მსწრაფლ მოღუნა წელში ისე
ვერც კი დაიგმინა,
და თეძოთი დაუმსხვრია
მკერდი, როგორც მინა.
ზე ასწია, თითქოს მჩატე
თივის ზვინი იყო,
გიურგიუმ დღეს ბრძოლაში
თავი ველარ იქო.
ცდილობს, მიწას ველარ უწვდენს
ფეხებს. როგორც ბოძებს,
ატრიალებს ცაში ბავშვი
მტარვალს განაოცებს.
ატრიალა მანამ, ვიდრე
თვალთ არ დაუბნელდა;
ვიდრე გულში არ ჩაუდგა
უხვეულო ელდა;
ვიდრე ძირს არ დაეფინა
გალავანი მყარი;
ვიდრე მყის არ ამოვარდა
საოცარი ქარი;
ვიდრე ხლევები არ აღელდნენ,
არ შეინძრა ცაცა,
ატრიალა შემდეგ მუცლით
თეთრ კვიზაზე დაცა.“

(თარგმ. რ. გვეტაძისა)

ნაქცეული გიურგიუ კვლავ ნამოხტა და გაიქცა, მაგრამ ყრმა გოლიათი დაენია და მაინც დაიმორჩილა ის.

ბრძენი ალჩან-ცუცი ამის შემდეგ ამბობს, რომ „გიურგიუს ხანი იმდენსავე ხანს უნდა იყოს წამებაში, რამდენ ხანსაც მან ჩვენი ხალხი სტანჯა და აწვალაო.“

„ჯანგარში“ მოთხრობილია ის სიყვარული, რომლითაც სამშობლო ხვდება ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ გამარჯვებულ გმირებს:

„ბოლოს, როცა მიაღწიეს
მშობელ ქვეყნის კიდეს,
ბუმბელებმა ყველა დროშა
გარეთ გამოჰკიდეს,
მიეგებნენ გმირ ფალავნებს,
ძირს უფენდნენ ვარდებს,
ჯანგარის შვილს, ყრმა გოლიათს,
წინ წინ მონაწარდეს,
შელაღადეს ერთხმად ქება,
უქმს ხმალი მკრელი
და მიართვეს მტრისგან დამსხნელს
მოსასხამი კრელი,“

(თარგმ. რ. გვეტაძისა)

ეპოსის გმირები განუყრელად არიან ურთიერთთან დაკავშირებულნი, უძლიერესი მეგობრობის გრძნობით. მოვიგონოთ ეპიზოდი, როცა მამაცი ჯანგარი ეძებს ქაჯთაგან დატყვევებულ ხონგრა-ხანს, ხონგრა-ხანი ქაჯებს დატყვევებული ჰყავდათ წითელი ზღვის ფსკერზე და დარაჯად ქაჯების ჯარი ედგა, როცა ჯანგარმა გაანადგურა ქაჯების ჯარი, ჩაეშვა ზღვაში, სადაც ხონგრა-ხანი ეგულებოდა, მაგრამ ზღვის ფსკერზე ხეები და ქვები-ლა დახვდა. მან ყველაფერი ეს შეჰკრიბა და ამოიტანა მალა:

„შეჰკრა ერთად და ასწია,
აიტანა მხრითა
და გმირულად დაიყვირა
ბუმბის ქვეყნის ხმითა.
ნაზა ხეთა მაგიერად—
ვით ტიბეტის მთები—
აღისფერი გოლიათის
ხონგრა-ხანის ძვლები.
შეკრიბა და თვით სანდალის
უსვამს ფოთლის ღერებს,
ერთი თავად გადაყლაპა
და წარმოსთქვა მერე:
—თუ შენა ხარ მართლა ძალა
მკურნავს სანდალისა,
მაშ სიცოცხლე მიანიჭე
ჩემს აღისფერ გმირსა.“

(თარგმ. ა. გომიაშვილისა)

და მართლაც შეერთდნენ ხონგრა-ხანის ძეგლები და გოლიათი კვლავ ფეხზე წამოდგა.

მთავარი ის არის, რომ „ჯანგარში“ გამოთქმულია ხალხის უძველესი ოცნება ბედნიერებაზე. ეს ოცნება „ჯანგარის“ შემქნელებს ეხატებოდათ მდიდარი და ულამაზესი ბუმბის ქვეყნის სახით. აი ამ ქვეყნის სურათი:

ერთად იყვნენ მათ არ სჭირდათ
წუთისოფლის სენი,
გასაყოფად არ ისმოდა
იქ ჩემი და შენი,
საამურად განიციდიდა
ამ ცხოვრებას ყველა,
ყველაფერი სასურველად
გაშლილიყო ველად,
აქ ცხოვრობდნენ უკვდავების
გაუხრწნელი გულით,
ყველა იყო ბედნიერი
მარად გაზაფხულით,
შეჭხაროდნენ გმირთა-გმირნი
ყვავილოვან მხარეს,
ზამთრის ყინვას არ იცნობდნენ
და სუსხიან მხარეს,
იდგა შუქი განთიადის
და ხალიაი დილის,
წამითაც არ გადივლიდა
ცად ღრუბელის ჩრდილი,
მოსალხენად ბიბინებდა
მწვანე მოლი ბარად,—
და შეტრფოდნენ მზიურ მხარეს,
ვით უკვდავნი მარად“.

(თარგმ. კ. კალაძისა)

ყალბუხი ხალხი ხუთი საუკუნის წინად ჰქმნიდა ეპოსს, რომელშიაც ნატრობდა ისეთ მხარეს, სადაც მუდმივი გაზაფხული იქნებოდა, სადაც ყველა მხიარული და ბედნიერი იქნებოდა. ამ მზიურ მხარის მოლოდინი და მასზე ოცნება, იმისი იმედი, რომ ეს ოცნება ფრთებს შეისხამდა, ძალას აძლევდა ხალხს— დაეძლია ყველა საშინელი დაბრკოლება და შეგებებოდა დღევანდელ დღეს, როცა ხალხის უგულითადესი ფიქრი და ოცნება ულამაზეს სინამდვილედ იქცა.

„ჯანგარი“ ეხმარებოდა ყალბუხ ხალხს თავის უფლებისათვის ბრძოლაში. ამ მხრივ უაღრესად დამახასიათებელია შემდეგი მაგალითი: სამოქალაქო ომის წლებში, იმ მომენტში, როცა თეთრგვარდიელი გენერლების ბანდებმა დაიკავეს ყალბუხთა მინა-წყალი და ცუცხლს მისცეს ლატაკთა ქონმახები,

მთელი ხალხი წამოდგა თეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამ ბრძოლაში ხალხს კვლავ ამხნევებდა თავისი ნაციონალური გმირების სახელი. შეიქმნა ამ დროს თქმულება, რომ „ჯანგარი და მისი საყვარელი ალისფერი გოლიათი ხონგრახანი ისევ ცოცხლები არიან, ისინი იმყოფებიან დიდ კურგანში და შებოჭილნი არიან მაგარი ქამანდებით. ალისფერი ხონგრას ხმალი კურგანის კედელზე ჰკიდია და გოლიათები ხელს იშვერენ ხმლისაკენ, რომ დასჭრან ქამანდები, რომლითაც ისინი არიან მიჯაჭულნი... ჩქარა, ჩქარა მოვლენ გოლიათები და თეთრ ბანდიტებისაგან გასწმენდნენ ჩვენს მინდვრებს“. (გაზეთი „Литературный Сталинград“, 1933 წ. 7/XI, წერილი „Новый Джангар“.)

ასე ორგანიულად დაუკავშირა ხალხმა განთავისუფლებულ ბრძოლას თავისი საყვარელი ხელოვნება. მთელი საუკუნეების განმავლობაში ელოდა ყალმუხი ხალხი ქვეყნიერების განახლებას. ადამიანური ბედნიერების დამყარებას. ეს ბედნიერება ყალმუხებს, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებს მიანიჭა ლენინ—სტალინის დიადმა პარტიამ, მხოლოდ დღეს განხორციელდა ის ხანგრძლივი ოცნება, რომელიც უძველეს წარსულში გამოსთქვა ხალხმა თავის გენიალურ თქმულებებსა და სიმღერებში, ამიტომ განსაკუთრებული სიხარულით ზეიმობს ჩვენი ქვეყანა „ჯანგარის“ ხუთასი წლის იუბილეს,—ეს არის გამარჯვებული ხალხის ზეიმი. „ჯანგარის“ იუბილე, ეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ზეიმი, „ჯანგარი“ საბჭოთა ხალხებისათვის ფასდაუდებელი სულიერი საჩუქარია.

გიორგი ნატროშვილი

**აგზავნი მრისხანე გიურგოუ-ხანის
ღამარცხეზისა**

თვალუწვდენი ოკეანე,
წოდებული ბუმბად,
აწყდებოდა ჩრდილოეთით
ზეცის მაღალ გუმბათს, —

იყო მხარე უტურფესი
დიდის ტიბეტისა,
საამური ზღვათა ღელვის
და თორმეტი მთისა!

იყო ვრცელი ხეობები
; სარბიელი წყალთა, —
ზღვისპირამდე თეთრი მთების
დაფენილი კალთა.

იყო ქვეყნის განთიადი,
აენთო და ჩაჰქრა, —
მაგრამ ნაცულად აღმობრწყინდა
დიდებული ჯანგარ!..

მან ააგო სამყოფელი
და სასახლე თვისი,
მზეებივით ანათებდენ
სარკმელები დღისით.

იყო შუქით მოქსოვილი
ვით ფასკუნჯის ბუდე,
ლომის კბილით დაქედილი
შეუვალი ზღუდე.

ბალის მესრად გაუთლიათ
თეთრი სპილოს ძვალი,
ზედ ციმციმებს რვა ათასი
იაგუნდის თვალი.

ჩინური ხე გაუჩაღხავთ
ბალის მალალ კარად, --
ამშვენებენ ჩუქურთმები
თვალის გასახარად!

ალისფერად შეუღებავთ,
ფერით მოსაწონით!
ელვარებენ გაპოხილნი
უშობელთა ქონით.

კარის ყველა საკეტავი
კარის ყველა ღილი
მარტოოდენ ოქრო-ვერცხლით
იყო მოქედილი!

და სასახლეს სვეტად ედგა
რვა ათასი ძელქვა,
კაცის ფიქრით მიუწვდომელს
მასაც ბუმბი ერქვა.

ხშირად ესხა მარგალიტი
სვეტებსა და გუმბათს,
იყო ცაში ატყორცნილი
წოდებული ბუმბათ.

მუდამ ერთად იღებოდა
რვა ათასი კარი, —
რვა ათასი ქანდაკება
სჩანდა კართან მდგარი -

რვა ათასი ქანდაკება
სახელოვან ჯანგრის,
სახე ხალხთა სიხარულის.
დამთურგენელი ჩაგერის!

სჩანდა იქვე რჩეულთაგან
თორმეტივე შვილი,
და ლომკაცი გმირი ხონგრა
ხეზე ამოქრილი!

დაეხატათ ელვარ ხმლებზე
დაწაფებულ ხელით,—
თითქოს წამით შეჩერებულთ
ისევე ბრძოლა ელით!

აქ აღბეჭდა საუკუნოდ
მათი სახე ერმა,
რომ აწ ველარ გაიხაროს
დამარცხებულ მტერმა,

რომ ზღვასავით ვერ დააშროს
ხალხის გულის დელვა. —
მტერს გაჭმირაეს მათი ხმლების
დახატული ელვა!..

სასახლიდან სამხრეთისკენ,
ყვითელი ზღვის კილით
იდგა ასიათასამდე
თეთრი სამლოცველო!—

და მათ შუა ერთი უფრო
ძვირფასი და დიდი
დასცქეროდა თეთრი მთიდან.
ამწვანებულ მდელოს!
თვით ჯანგარის ეკუთვნოდა
სამლოცველო იგი,
და იქ იდგა მორწმუნეთა
უთვალავი რიგი,

ერთად იყვნენ, მათ არ სჭირდათ
წუთისოფლის სენი.
გასაყოფად არ ისმოდა
იქ „ჩემი“ და „შენი“.

საამურად განიცდიდა
ამ ცხოვრებას ყველა,
ყველაფერი სასურელად
გაშლილიყო ველად.

სასახლიდან ჩრდილოეთით
ასი მთა და ველი
ხალხის ასი მილიონით,
ღმერთმა ჯანგარს მისცა.—

სახელოვან ბოგდო-ხანის
სახელმწიფო ვრცელი
კის კიდემდეც კი აღწევდა,
არ ყოფნიდა მიწა.

მდინარეებს სვამდენ მთები,
წვიმის წყალზე მეტად.
გაჩენილნი უდაბნოში
ბოგდო-ხანის ბედათი..

აქ ცხოვრობდენ უკვდავების
გაუხრწნელის გულით,
ყველა იყო ბედნიერი
მარად გაზაფხულით!

შეხაროდენ გმირთა-გმირნი
ყვევილოვან მხარეს,—
ზამთრის ყინვას არ იცნობდენ
და სუსხიან ქარებს...

იდგა შუქი განთიადის
და ხალისი დილის,
წამითაც არ გადივლიდა
ცად ღრუბელის ჩრდილი.

მოსალხენად ბიბინებდა
მწვანე მოლი ბარად.
და შესტროფოდენ მზიურ მხარეს
ვით უკვდავნი მარად.

თუ იკითხავთ ვინ განაგებს
ამ ბრწყინვალე მხარეს, —
ყველა ერთის აღტაცებით
პასუხს მოგახარებს:

— ეს ქვეყანა დიდებული
მხოლოდ მისი არი, —
ვინც დაღეწა საძი წლისამ
სამი ციხის კარი:

ოთხი წლისამ გადასტეხა
ორმოც დროშის ტარი,
ოთხი ციხე იავარჰყო
კლდეზე გადმომდგარი!..

ხუთი წლისას ვერ უძლებდა
ხუთი ციხის კარი,
ექვსი წლისას ვერ უძლებდა
სამოც დროშის ტარი!..

იგი ისე დავაუკაცდა
არ გასულა ხანი,
შეიგნო და შეისწავლა
დიდი ზულა-ხანი!..

შვიდი წლისა გმირი გახდა,
შეემატა ძალა, —
ყვითელ მანგასს გაუხეთქა
შუბით თავის ქალა!

საკუთარის ხელით მოსრნა
უთვალავი ჯარი, —
და ქვეყანა დიდებული
მხოლოდ მისით არი!..

უკვე გმირთა-გმირად იცნეს
იგი შვიდი წლისა,
საბრძანებლად გადმოეცა
ძალა შიკშირგისა...

ჯერ ფაფარიც არ უჩანდა
მონავარდღე მერანს,
რომ ებრძოდა მთელი ქვეყნის
მტარვალსა და ვერანს.;

მარტოდ-მარტომ გააჩალა
უდაბნოში კერა,
და არავის არ ესმოდა
მისი გულისძგერა.

ნათელი დღე არ ეხილა
ჯერ ამ ქვეყნის მმართველს, ...—
მარტოდ-მარტო ნაევარდობდა
ვით არწივის მართვე.

არ ყოფილა წარსულიდან
სახელ-ამოშლილი,—
ბრძენ მერგენის ნაშიერი
და უზუნგის შვილი.

ქარიშხალთან მოჭიდავე
მტკიცე როგორც ძელქვა,—
ის, ობოლი ბიჭი იყო,
და ჯანგარი ერქვა.

შვიდი ქვეყნის სიზმრად იქცა,
თორმეტ ქვეყნის ფიქრად,
დედამიწის დამარბეველ
ხანთა გულის ტიხრად.

მისი მძიმე ნაბიჯები
და სახელი მისი—
მოესმოდა ცას და მიწას
ლამითა და დღისით:

თუ იკითხავთ ვინ განაგებს
ღიად ბუმბის მხარეს,—
ყველა ერთის აღტაცებით
პასუხს მოგახარებს:

— ორმოც ფეხზე დაყრდნობილი
მისი ვერცხლის ტახტი,—
მოელანდოს ვერაგ მტერსაც
ყურმოჭრილად გახდის!

ტახტზე თვითონ ჯანგარი ზის
თავის სამართალით,
და მღვლიდან გადასცქერის
ჯარს არწივის თვალით!

ეს ქვეყანა დიდებული
მხოლოდ მისი არი,—
მხოლოდ მის წინ გახსნილია
რვა ათასი კარი!

სადაც ფეთქავს ოკეანის
უწმინდესი ტალღა,—
ქალარა მთებს შემორტყმია
თორმეტი ზღვის ალყა!—

გადასცქერის ოქროს კოშკი
ქარიშხალთა ომებს,—
და ბურჯები ეყრდნობიან
გაქვავებულ ლომებს.

მაღალ ქონგურს ვარსკვლავივით
შვენის ნატურის თვალი,
და ალისფერ სარკმელების
ჩაუქრობი ალი!

გულის თრთოლვით განთიადი ც
ეუბნება სალამს,—
რა შეარხევს ნიავქარი
მის ამართულ ალამს!..

თუ იკითხავთ ვინ განაგებს
მაღალ ალმის ფრიალს,—

ყველა ერთის ალტაცებით
გეტყვის გულის ტრფიალს:

— ის განაგებს, ვინც გამოწვრთნა
მრავალ ომში ლურჯა,
მასთან ერთად სძლია მტერი,
სიკვდილს გადაურჩა.

მუდამ არის მომართული
როგორც მშვილდის ლარი,
მას შიკშირგი ჰქვიათ ბრძენი,
რვაასი წლის არი!

სამხრეთისკენ, სადაც კალთა
გაშლილია მთისა—
სამლოცველო აუგიათ
მოხუც შიკშირგისა!—

და იქ მლოცველთ აღარა სკირთ
წუთისოფლის სენი,—
არ იციან, თუ რა არის
მათ „ჩემი“ და „შენი“.

საამჟღად განიცდიან
ამ ცხოვრებას ყველა,
ყველაფერი სასურველად
გაშლილია ველად!..

იმათ მიწას ზღვაც ვერ სწვდება
ტალღებ დაღალული
და სცხოვრობენ შიკშირგივით
ბედნიერი გულით.

მთის მწერვალზე ამართული
არის კოშკი ხისა,
ჟცხო ზღაპრად დარჩენილი
უხსოვარი ხნისა!—

ისე თვალის წარმტაცია
მისი ნახვა ალბათ,
რომ თორმეტი სახელმწიფო
იმეორებს ამბათ!

სამხრეთისკენ, ზღვისპირამდე
არის მწვანე მდელი,
იქაც მოსჩანს უწმინდესი
თეთრი სამლოცველო!

და მლოცველებს აღარა სჭირთ
წუთისოფლის სენი:
არ იციან თუ რა არის
მათ „ჩემი“ და „შენი“.

საამურად განუცდია
ეს ცხოვრება ყველას,
ყველაფერი სასურველად
გაშლილია ველად.

მუდამ ერთად, ბედნიერად
იმალლებენ ხმასა,—
და იმედით შეხარიან
ხმელეთსა და ზღვასა!..

თუ იკითხავთ ეს ქვეყანა
ეხლა ვისი არის—
ყველა ერთხმად გიპასუხებს,
გამოხატავს ხალისს:

— ერთადერთი იაჟიშვილი
მდიდარ ალტან-ხანის,
გმირი ალტან-ცუჯი მართავს
უძლეველი ძალის...

შავად მღელვარ ოკეანეს
მთა ჩაპყურებს გულში,

შავად ცამდე ამალლებულს
ჰქვიან ზანდან-გუში.

მთის მწვერვალზე ამართული
არის კოშკი ხისა,—
უცხო ზღაპრად დარჩენილი
უხსოვარი ხნისა!—

ისე თვალის წარმტაცია
მისი ნახვა ალბათ,
რომ თორმეტი სახელმწიფო
იმეორებს ამბათ.

ამ კოშკიდან სამხრეთისკენ,
რიცხვით დაუთვლელი,
უწმინდესი სამლოცველო
არის ძველთა-ძველი.

სადაც ერთად, ბედნიერად
ტკბილად ცხოვრობს ყველა.
თავისუფალთ აღარა სკირთ
წუთი სოფლის სენი,—
საერთოა ყველაფერი
გადაშლილი ველად,
არ იციან თუ რა არის
მათ „ჩემი“ და „შენი“.

ზანდან-გუშის ჩრდილოეთით
სახელმწიფო მთელი
ხალხის რიცხვით და დოვლათით
არის დაუთვლელი.

იქ სიხარულს განიცდიან
და არავინ სტირის!
იგი ბუმბის ქვეყანაა,
სახელმწიფო გმირის.

თუ იკითხავთ ვინ განაგებს
ღიად ბუმბის მხარეს,
ყველა ერთის აღტაცებით
პასუხს მოგახარებს:

— ვისაც მუდამ ხელთ უპყრია
დროშა ფრთაგაშლილი,
და ვინც ამბობს: მთელ სამყაროს
ვფლობ უზუნგის შვილი!

ვინც აქ ობლად აღიზარდა,
და ჯანგარი ჰქვიან,
დედამიწის პირისაგან
მტერი აღუგვია,—

იგი არის მბრძანებელი
მთელი ბუმბის მხარის,
სადაც ზღვათა მიმოქცევა
დღეში სამჯერ არის!

ტალღას მოაქვს ნატვრისთვალი
და სილაზე ისვრის,
მნახველს ნატვრა უსრულდება,
ვაებიდან იხსნის!

ტალღას მოაქვს სალამოთი
ოქრო-ვერცხლის ქვიშა!
ყველა ხდება ბედნიერი
მისი დანახვისას.

შუადღით კი დამწუხრდება
ოკეანე ბუმბის!—
უსაზღვროა ნაპირები
მისი გაშლილ უბის!..

მაღალ მზესაც გააოცებს
მისი ვრცელი ღელვა—

ნაპირიდან ნაპირამდე
უჭირს გადახედვა.

როცა მისი ერთი ტალღა
შემართული მორბის—
სამი დღე ვერ გადაუფრენს
თვითონ შავი ორბიც!

მხოლოდ არწივს გააჩნია
ელვის ძალა ფრთაში,—
ცხრაას მთას რომ გადაივლის
ფრთების ერთი გაშლით!—

ისიც, ბუმბის ოკეანეს
ვიდრე გადუვლიდეს
გზაში სამჯერ გამოსჩეკავს
თავის ბარტყებს კიდევ.

ცნობილია შვიდი ათას
უცხო ხანის მიერ!—
ოკეანეს აკუთვნებენ
მხოლოდ ჯანგარს ძლიერს.

ყოველ ღამით, შეშფოთებულთ
ესიზმრებათ იგი—
ცხრა ათასი მინდორ-ველის
და ტალღების იქით!..

მხოლოდ ბუმბის მთა დასცქერის
უსასრულო მანძილს,
მზის ჩასვლისას მთა მაღალი
ჰგავს კალარა არწივს,

მზის ბრწყინვალე ამოსვლისას
ვით ბებერი ლომი—
ზის ცისპირად ფაფარ გაშლით
ნადირობის მდომი.

მაგრამ როცა დგება ხვატი,
როცა შუადღეა,—

ბუმბის მთაც კი ახლოვდება—
თეთრი სალი კლდეა!..

ცნობილია შვიდი ათას
უცხო ხანის მიერ—
ბუმბის მთასაც აკუთვნებენ
მხოლოდ ჯანგარს ძლიერს.

და ეს არის სახელმწიფო
სამოცდაათ ხანის—
სამოცდაათ ბუმბის მთის და
ბუმბის ოკეანის...
‡

მათ მბრძანებლობს, ყველას ერთად
— მხნე ჯანგარის ხელი—
მისი არი ბუმბის მხარე
და სამყარო მთელი.

ამობრწყინდა გაზაფხული
ნათელი და წრფელი!
გუმბას ცხენი შეუკაზმავს
კვლავ სპილენძის ფერი!..

ჯანგარ ხანთან მხიარული
მიდის მიიჩქარის,
რომ პირველმა მიულოცოს
„შუქი — „თეთრი მთვარის“.

მასთან ერთად მიიმღერის
მთელი მისი ჯარი,—
„თეთრი მთვარის“ დღეობაა
გაზაფხულის დარი!..

მინდორ-ველი გადიარეს
ოკეანის პირად,
ღრუბელივით ფეხთა მტვერი
კლდეებს მიეფინათ!..

ალტან-ცეჯიმ რომ გაიგო
მათი წასვლა ხანთან—

აღისფერი ურა ცხენით
ისიც გამოქანდა.

თანვე ახლავს მხნე სიმღერით
მთელი მისი ჯარი.
უნდათ ჯანგარს მიულოცონ
„შუქი „თეთრი მთვარის“.

სურთ ახარონ გაზაფხული
თამაშით და მღერით!
ისწრაფვიან, და ცას სწვდება
მათი ფეხთა შტვერი.

მათ თან მიჰყვა დანარჩენი
ოცდაათი გმირი,—
ჯარიც მიჰყვა, გაზაფხულის
ტალღებივით ხშირი!

მორჩილებით უნდათ ნახვა
დიდი ბოგდო-ხანის!—
და წამოდგნენ მეფეები
სამოცდაათ მხარის...

უთვალავი როგორც ქვიშა,
ჩქარი როგორც ქარი,
იჩქარიან და შეიძრა
ბუმბის მთა და ბარი!..

სულ დაჰფარეს იონხორის
განიერი ქედი,
მდინარეთა ხეობები
ოცდაათზე მეტი.

მხნე სიმღერით გამოცხადდა
თავის ბოგდო-ხანთან—
კიდევ ასი მილიონი
მილიონის გარდა!

მარჯვენე მყოფნი ნახევარ წრედ
დგას მარჯვენა მხარეს,
თუ იკითხავთ მისი მართვა
თუ ვის ჩააბარეს,—

ყველა გეტყვის:—ალტან-ცეჯის
მედგარსა, და ჭკვიანს,
ბუმბის გმირთა ქვეყანაში,
გმირთა-გმირი ჭკვიანი

თუ იკითხავთ, ნახევარწრედ
მარცხენა მხრით მდგარი,—
მინდორველად დარაზმული
ვისი ჯარი არი—

ყველა გეტყვის:—არის გუმბა
სიზმართ ქვეყნის ხანის,—
სიზმრით სახელგანთქმულია
გმირი ოკეანის!

რჩეულები მარჯვენა მხრის
და მარცხენა მხარის—
ჭკითხულობენ: ვინ აკლია მათ
მღერას და ხალისს!..

„თეთრი მთვარის“ დღეობაზე
როგორ მოხდა, როგორ,
რომ ვერ ვხედავთ სახელგანთქმულ
მხნე ალისფერ ხონგრას!

ამ დროს ვერცხლის ტახტზე მჯდარი
თვითონ ხონგრა-ხანი,—
ბუმბის მხარეს დასცქეროდა
თავის ელვის თვალით!

თქვა: — ოცდაათ ვეფხმა უკვე
მოიყარა თავი
ბოგდო-ხანთან, რომ იხილონ
მთვარის სანახავე:—

მაშ მომგვარე, მეჯინიბევ,
ჩემი ლურჯა ცხენი.—
ბრძანა ხონგრამ და ველისკენ
გაიწოდა ხელი!

ახალგაზრდა მეჯინიბეს
ღელვით გული უცემს,—
წელდაბალი ბედაური
აირჩია უცებ!

და შეჰკაზმა იგი უმალ
ყალმუხურის წესით,
ველებისკენ გაეშურა
ქარზე უსწრაფესი...

თან ქამანდა წარიტაცა
თავის მარჯვე ხელით,—
თავის ორთავე მკლავის სისხო,
შარა-გზაზე გრძელი!

დგას მხედართა დიდი მწყობრი
სრა სასახლის კარად,
თვითონ ხონგრა-ხანის მცველი
და ერთგული მარად!

მეჯინიბე კი შორს არის,
შორით მოჰქრის ურჩად,—
და ხანგაის საძოვარზე
ისევ ეძებს ლურჯას...

მთა-ხარათის ხეობაში
ძახილით და სტვენით
შემოკრიბა რვა ათასი
მხოლოდ ლურჯა ცხენი!

მეჯინიბე უკეთესზე
უკეთეს ცხენს ეძებს,—
ტალღებივით გადაივლის
ცხენთა ჯოგი ქედებს!—

მღელვარ ზღვამდე ჩამოლალა
რვა ათასი ცხენი,
შუადღისას დაიღალნენ
კიხვინით და რბენით!..

მდინარეში ჩადგენ ჩუმად,
რომ დალიონ წყალი,
რომ დაიცხრონ მთებზე რბენით
დანთებული ალი.

იმათ შორის დგას ხანგაის
შშვენიერი ლურჯა,—
მკერდ ამართულს ორივე ყური
აქვეტილი უჩანს.

ზღვას გასცქერის ლურჯა ცხენი
გარინდებულ თვალით.
გული ერჩის შემფოთებულს
თავის მომავალით.

ახალგაზრდა მეჯინიბე,
ქალწულივით თეთრი,
თვალით არჩევს რომელია
მათში ერთადერთი!

დაინახა და ბედაურს
ოცდაათჯერ დაჰკრა!—
წელდაბალი ბედაური
ერთ ნახტომით გაჰქრა.

შუცებ დაფშვნილ მთებზე დარჩა
ტორთა ნაპერწკალი,
აიშალა ცხენთა ჯოგი,
და აიმღვრა წყალი!..

ახალგაზრდა მეჯინიბე,
ქალწულივით თეთრი,
თვალით არჩევს რომელია
დღეს ქამანდის ხვედრი!

ხელთ ქამანდა დაიმკლავა,
ეპარება მუნჯად,—
ჯოგში ყურებ-აკქვეტილი
სჩანს ხანგაის ლურჯა!..

აღბათ იგრძნო რაც ელოდა,
შეერთა გამბედავი,
მედიდურად ამართული
ძირს დახარა თავი!

და მუხლ-მაღალ ბედაურებს,
ქვეშ გაუსხლტა სწრაფად!—
ფაფარ გაშლით და ჭიხვინით
გადაახტა დაბალთ!...

რვა მდინარე გადიფრინა,
რვაჯერ მეტი მთები,—
მიწას ფეხს არ აკარებდა,
თითქოს ჰქონდა ფრთები!..

მეჯინიბეს ბედაურიც,
ელვასავით მალი,—
დაედევნა და გაჩაღდა
მთებზე ცეცხლის ალი!..

გადიარა მინდორ-ველი,
და მდინარე ზანდა.
გადახედა მეჯინიბემ,—
გალმა ლურჯა სჩანდა—

მარჯვე მკლავით გადისროლა
შორს ქამანდა ისე,—
რომ რვაასჯერ მოეხვია
ლურჯა ცხენის კისერს!..

ცაში აჰყვა ლურჯა მაინც
თავის რვაას ნახტომს!..
მეჯინიბემ როგორ უნდა
შეაჩეროს მარტომ.

და ქამანდა ძაფად იქცა
თვალითაც კი არ სჩანს,—
კაცის ძარღვის სისხო გახდა
დახვეული მაჯას.

ლურჯა უკვე გადაშორდა
დიდ ხანგაის ნაპრალთ,—
გადიარა ორწოხები
გაგონილი ზლაპრად.

მეჯინებემ ჯერ ქამანდა
გამოსწია მხოლოდ,
და ბრინჯაოს უნაგირზე
დაამაგრა ბოლო.

მერე უცებ ძირს გადმოხტა—
ქამანდს ნელა გაჰყვა,—
ჯამბაზივით გადავიდა
კლდეებიდან გაღმა.

ამ დროს მისი ბედაური,—
მისი ერთადერთი,—
ზანდის პირად კლდეებს იყო
მიბჯენილი მკერდით.

როს ქამანდა ლამის გაწყდა
შორს გაბმული ძაფად,
მეჯინებე ცხენტან გაჩნდა
ქარზე უფრო სწრაფად.

ფიცხელ ქედზე გადაუსვა
მოალერსე ხელი,
დამორჩილდა მედგარ ვაჟკაცს
შმაგი ლურჯა ცხენი.

და შენელდა აღგზნებული
მისი გულის ცეცხლი.
თავს აღვირი გადააკვეს
მოქედილი ვერცხლით.

ჩუმაღ ოქროს ლაგამს აწვდის
ახალგაზრდა გმირი,—
მოეწონა, და ლაგამი
ჩამოართვა კბილით.

შეეფერა ვერცხლისფერი
მის ქალარა თაფარს,—
მედიდურად გადახედა
ლურჯამ ისევ მთა-ბარს!

ანათებდა მარგალიტი
მისი სამკერდულის,—
ტორი დაჰკრა დედამიწას,
გაუხნათდა გული!

(თარგმნა კარლო კალაძემ)

მერე ცხენი მეჯინიბემ
წაიყვანა ჩქარა,
მეპატრონის სასახლისკენ
— დიდი ხონგრას კარად.

ლურჯა ფიქრობს:—პატრონი რომ
დასტკბეს, ჩემი მზერით,
ცოტა უნდა გავკოხტავდე,—
მერე მშვენიერი

ზე ასწია გავა, უცებ
მოიშორა ბარგი,
მოიშორა უნაგირიც
უცხოთ მონაქარგი.

გაწკიპა და გაასწორა
თეთრი ქონის რცმელი,
თან კეკლუცად მოიდრიკა
მან კისერი გრძელი;

და ქოჩორი დაფენილი
შუბლზე, როგორც ფარი,
უქკნობელა ბალახისა
გახდა შესადარი.

მთელი მისი სილამაზე
თეძოებზე სჩანდა,
მთელი მისი გიჟმაჟობა
გულ-მკერდზედა სჩანდა,
მთელი მისი გაფიცება
მის ფლოქვებში სჩანდა.

წელი ჰქონდა იმნაირი,
როგორც კურდღლის წელი,
ბარკლები ხომ საუცხოვო,
ფეხები კი გრძელი,
ისე წვრილი და ნარნარი,
ვით ფეხები შველის;
შვენის თავის აქნევა და
მოღერება ყელის;

უჩანს, როგორც ნახვრეტები,
ორი შავი თვალი;
მკერდი ფართო, მშვენიერი,
სავსე დიდის ძალით;

ოთხი მისი ოქროს ფლოქვი
მას წაიყვანს ფრენით,
ვით გაწვრთნილი სანადიროდ
ოთხი შევარდენი.

ლურჯა ხედავს, რომ არ უნდათ
ოდნავ ხანის დაზმა—
ხონგრას კარზე მოემზადენ
იმის შესაკაზმად.

გავაზე რომ დააფინეს
მას საოფლე ვერცხლის,
ლურჯამ ისე იუცხოვა,
ვით შეხება ცეცხლის.—

შვიდათასჯერ მაღლა ახტა,
სწრაფი, როგორც ქარი;

თოქალთოც რომ დააფარეს,
ბაირალის დარი,

აცახცახდა ისე, თითქოს
შეეყარა ქირი.
როგორც გრდემლი, ზედ დაადგეს
ლურჯას უნაგირი.

ბალიშიც რომ დაუმატეს
და საძუეც მოსდევს,
მაშინ, თითქოს ლურჯას ტანი
მოშანთეს და მოსწვეს.

შვიდათასჯერ გაშმაგებით
მალლა ახტა კვალად.
მერე კიდევ მას ქარშაკი
შემოაკრეს რკალად

და შენასკვეს ყველა მისი
ოცდახუთი ენა.
ამის შემდეგ ლურჯას შეხვდა
უფრო მეტი წყენა—

სამოცდაექვს-ფურცლიანი
მტკიცე მოსართავი
მოუქირეს იმის მუცელს
ძალოვანის მკლავით.

მოუქირეს ისე მაგრად,
იმნაირის ღონით,
რომ ღვედებქვეშ დანაოჭდა
მისი თეთრი ქონი.

გაუკეთეს სამკერდული
ყვითლად მოქედილი,
და ბეჭებზე შეუბნიეს
სამოცდაცხრა ღილი.

აღვირით მას თავს უჭერდა
უნაგირის ტახტა.

მერე ლურჯა ათამაშდა,
აქეთ-იქით გახტა.

აწ კი უნდა მოიკაზმოს,
ძლიერი და მარდი,
თავად ხონგრა, ფერწითელი,
ვით გაშლილი ვარდი.

პერანგს იცვამს—უჭკნობელა
ბალახსა ჰგავს ფერით,
ახალუხად კანჯრის ტყავი
ჰქონდა შენაკერი.

კაბა, მხრებზე რომ დაშვენდა
გმირს ყოველგან ქებულს,
ფერით რკინას წააგავდა
თეთრად გახურებულს.

ყოველივე ამის ზემოთ
მან ქამარი გრძელი
შემოირტყა და შეიკრა
ვაჟკაცური წელი.

ეს ქამარი ელფარებდა
თხელ ზარნიშის ჩენით,
ფასად ედო სამოცდაცხრა
ხუთწლიანი ცხენი.

მან ფეხები წყვილის ჩექმით
წყვილად დაიმშვენა,
ჰქონდა ქუსლებს დადებული
ტყავის ას-რვა ფენა.

შეტრიალდა ქუსლებზე და
ძირს დადრიკა ქედი,
დაიხურა მუზარადი
ვერცხლით შენაქედი.

სიმტკიცით და გამძლეობით
იგი გრდემლსა ჰგვანდა.

შემოსვლის დროს მიეშველა
იმას ზულა ზანდა—

დედოფალი, თვით აილგათ,
ბუმბის ხანის ქალი.
იგი მკვირცხლად ტრიალებდა,
თამამი და მალი

ხონგრას ირგვლივ და ზომავდა
ყოველივეს თვალით.
მიამაგრა მენჯზე, საესე
სასიკეთო ძალით,

აბრეშუმის ხელმანდილი,
რომლის თითო ნაყში
გავიდოდა გასაცვლელად
თითო ლამაზ სახლში.

მერმე ხონგრამ ხელთ აიღო
მყის მათრახი დიდი
და ტარს მისას მოუქირა
თავის ხუთი თითი.

ოცდაათი ხარის ტყავი
იყო შოლტის გული,
გულსა ჰქონდა გარეშემო
კიდევ შემოკრული

სამოცდაცხრა ხარის ტყავი,
სრული სიგრძე-განით,
ხუთიათას კორხლებიან
თასმისებურ კანით;

ამ მათრახსა რიგრიგობით,
დიდი ძალის ჩენით,
ხელს უჭერდნენ ხუთიათას
მძლე ვაჟკაცთა ძენი.

თანაც იყო ჩამოწნული
ეს მათრახი გრძელი

ისეთ სახით, როგორც ზურგი
შხამიანი გველის;

სამი თითის სიფართოვე
ჰქონდა ზოლი წვრილი,
შეკრული და შებნეული
ბევრი ვერცხლის ლილით.

ტარად ჰქონდა დაგებული
სანდალის ხე დიდი,
ცალკეულად ველზე მდგარი,
ტყისგან განარიდი,

მოქრის შემდეგ რომ დასჭირდა
ოთხმოცი თვე ხმობა.
შოლტი იყო მშვენიერი
ტანის შესამკობად,

უშველებელს ამ მათრახსა
ხონგრა ჰკიდებს ხელსა
და მერე ფეხს გადაადგამს
მაგარ საძირკველსა.

შეკრთა ლურჯა, ოცნებას რომ
ეძლეოდა წყნარად,
და ბრინჯაოს უზანცი მას
მიაგება ჩქარა.

მაშინავე როგორც უზანგს
მიეკარა ფეხი,
შეტორტმანდა მძლავრი ცხენი
გრძელი კისრის გრეხით.

ზევით ახტა, ტანი თვისი
ცამდის აიტანა,
მხედარი ცხრა მილიონჯერ
მალლა შეაქანა.

მაგრამ ხონგრა შეჩვეული
ზედ მოექცა ჩქარა
და მარჯვენა ფეხიც უზანგს
უცებ გაუყარა

იმგვარად, რომ არ დაუძრავს
ერთი ხმა თუ ჩქამი.
გაემართა და იარა
დღისითა და ღამით.

მან აღვირი მარჯვენისაკენ
წამოზიდა წყნარად
და ერთ მაღალ მშვენიერ კოშკს
მარჯვნივ მოუარა;

ამის შემდეგ გაეშურა
ის მარჯვენა მხარით;
ვით ამაღლა საკუთარი,
თან მისდევდა ჯარი—

სამი ათასი ვაჟკაცი—
ყველა ნაქებარი.
ყოველ მათგანს სცილდებოდა
ხონგრა მთელის მხარით.

ხოლო ლურჯა ღონიერი,
ლომის შესადარი,
მიიწევდა წინ, მიჰქროდა
ისე, როგორც ქარი,

რომ არცერთი ცხენთაგანი
არ ჰყოლოდა გვერდით.—
სამი ათას ცხენს გასცილდა
ლომისებურ მკერდით;

სადავეს წინ მიზიდავდა
ისე გულმოსულად,
რომ ღვედები ღამის იყო
დაეწყვიტა სრულად.

მდინარე ზუს ნაპირს ჩაჰყვნენ
დაბლა, თითქოს ფრენით.
მაშინ ხონგრამ სულ მიუშვა
თეთრი სადავენი.

ჰკრა მათრახი იმდენჯერ, რომ
დათვლა იყო ძნელი,
ახტა ლურჯა და ღრუბელი,
საწვიმარი ბნელი,
გაარღვია და სისწრაფით
განვლო გზები გრძელი.

მბრძანებელის, ბოგდოს, კოშკთან
გარეშემო მსხდარი
დაინახა ვაჟკაცები,
ვეფხებისა დარი;

რიცხვი ზათი, იმ ვეფხების,
იქნებოდა, ვგონებ,
სამოცდაათი ათასჯერ
ათი მილიონი.

საუბრობდენ, ცას გასცქერდენ
გაკვირვებულ მზერით;
სთქვეს: გამოჩნდა შუშასავით
მოწითალო მტვერი

შაქარლუდან. ეს მტვერია—
სთქვა იქ მეტმა წილმა,—
რომელიც, სჩანს, დააყენა
ხონგრამ, შარკოს შვილმა.—

ვერც მოასწრეს მათ გახედვა
ზევითა და ქვევით,
რომ კაცებში უტურფესი
ხონგრა, შუქთა მფრქვევი,

ცხენთა შორის ულამაზეს
ლურჯაზედა მჯდარი,

მოველინათ იქ გუგუნით,
ზათქითა და ზარით.

მან სასახლეს ჩრდილოეთით
ჩაუარა ხელად,
სამხრეთით-კი — მრავალ სოფელს,
მიმოფენილს ველად.

წინ მოჰქროდა მარტოდ-მარტო
ის, ფრინველის დარი,
უკან, უმორეს დარჩენოდა
მას ძლიერი ჯარი.

ის ბრინჯაოს დიდ უზანგებს
სწრაფად აძრობს წაღებს,
ჩამოდის და წინ უდგება
ოქროს ბაირაღებს.

ბოგდოს ერთსა ბაირაღსა,
ბუდეშიც რომ არჩება,
შეუძლიან ერთი მზისა
სრულად დაბნელება,

ბოლო თუ კი ამ ბაირაღს
ბუდე გადასძვრება,
მაშინ უკვე შვიდსა მზესა
; შუქი ჩაუქრება.

გაეშურნენ დიდ ჯანგარის
მსახურების შვილნი,
ერთმანეთში სარაინდოდ
მტრებზე ალესილნი,

და საჩქაროდ ლურჯას აღვირს
წაატანეს ხელი
და სამოცჯერ მოახვიეს
ეს აღვირი გრძელი

გრდემლისებურ უნაგირის
ტახტას მშვენიერსა.

გამოაძვრეს მყის ქვემოდან
ბალიშს ვერცხლისფერსა

ვერცხლისავე პალვანდი მათ
ცხენის შესაკრავად,
და ვიდრემლის ცხენს ჰბორკავდნენ,
ცხენმა შესძლო თავად

რვაათასჯერ ტლინკის აყრა,
აყენებდა მტვერსა.
გაშლილ ფაფრით ეთამაშა
მთვარესა და მზესა;

ქაჩაჩის თმით შეეცადა
მიწა შეერყია.
ბრწყინავს ხონგრა ისე, თითქოს
მოწითალო მზეა.

მან ლამაზად გადიყარა
კაბის სახელონი
მხრებზე, ზე რომ აეზიდნა,
აღსავსენი ღონით.

მუზარადი რომ ეხურა მტკიცე,
გრდემლის დარად,
მან მარჯვენა საფეთქლისკენ
გაღიწია წყნარად.

ათი მისი მშვენიერი
თითი, თოვლის ფერი,
გამომწვევად შეიკუმშა,
თითქოს შეხვდა მტერი.

შარშან კოხტად შეკვეცილს და
შესწორებულს წლეულს,
მშვენიერი ხანის ცოლის
მაკრატლის წვერს ჩვეულს,

კრელ ჯაგმანზე დაფენილ თმებს
ფერი ედო შავი;
მას კისერი შავგვრემანი,
მზისგან დანაწვავი,

სვეტად უჩნდა უზარმაზარ,
ფართო ზურგის მალლა,
სად შეეძლო ერთ აქლემსა
თამაში და გავლა.

მარგალიტის საყურენი
ნათელ სარკის დარნი,
ბრწყინავდნენ და კიაფობდნენ
როგორც დილის ცვარნი,

თან ალერსით ეხებოდენ
ყურის ფაფუკ ძირებს.
და თეთრადვე აელვებდა
სადაფივით კბილებს, —

ერთი ეჯის მანძილზეც კი
სჩანდა მათი შუქი.
ჰქონდა ოდნავ მოხუჭული
მას თვალები მუქი;

უბრწყინავდა მას ლაწვები,
ვით წითელი ლალი;
თოვლზე თეთრი ჰქონდა შუბლი
ფართო და მალალი.

სვავის ნისკარტს წააგავდა
მისი ბროლის ცხვირი.
მხრები მისი, ძალ-ლონე რომ
ჰქონდა გასაკვირი,

იმოდენი, რაც ექნება
ოთხმოც არწივს ძალა,
ოთხმოც ადლის სიგანეზე
მყისვე გაიშალა.

მის ბარძაყებს ექნებოდა
ასი ადლის განი.
ხოლო თითო იმის ბარძაყს—
ასი ქაჯის ჯანი.

ისე წვრილი და ნარნარი
იყო მისი წელი,
რომ იმაზე იხრებოდა
ზედატანი მთელი.

სჩანს ეს არის მზე წითელი
მიწისა და ცისა
და პატრონი მდინარისა
შილა ზანდანისა—

დამსწრე ხალხი ერთმანეთში
ჩურჩულებდა ამას.
ის წავიდა არაშისკენ,
რომ იქ ჰალდან-ლამას,

ბერს მარტვილსა, სტუმრებოდა.
ხოვგრამ იქ მისვლისას
შვიდათასჯერ მოუარა
ირგვლივ საკანს მისას;

რვა ათასჯერ თაყვანი სცა
წმინდანს გულაღზნებით
და კურთხევა გამოსთხოვა
დიდის მოწიწებით.

როს მიიღო კურთხევა და
ლოცვა სანუკველი,
მყის ჯანგარის ბანაკისკენ
გაიარა ველი.

ტანი მისი ირხეოდა,
ვით სანდალის წნელი.
მარტო სჩანდა ის ქვიშნარში,
არა ჰყვანდა მცველი.

როცა ხონგრა დაინახეს,
დიდად საყვარელი,
სინხარულით აგუგუნდა
ხალხის კრება მთელი.

მიდგა კართან გოლიათი
ხონგრა გაშლილ ვარდათ
და ბრგე მხრებზე გადაიღო
კარის თეთრი ფარდა.

აუარა გვერდი დინჯად
სამოცდაათს რჩეულს,
წამსვე ყველა მიესალმა
ომში რისხვა ჩვეულს:

კვლავ გადადგა რამდენიმე
მან ნაბიჯი დიდი
და დიდებულ ბოგდო ნოინს
წინ წარუდგა მშვიდი.

მიულოცა, რომ კეთილად
შეხვდა ცაგან-სარას;
ხანის ცოლსაც მიულოცა,
მერე დაჯდა წყნარად.
თანაც ბოგდოს ტახტის მარცხნივ,
წითელი მზის დარად,

დასდო ვერცხლის ბალიშებზე
მუზარადი დიდი.
და შავ თმაზე გადაისვა
ხუთი თეთრი თითი.

დიდ დარბაზში არ ეტია
ქურუმი და ხანი,
და გაისმა ხონგრას მიმართ
მისალმების ხმანი;

ნახვა მისი გაუხარდათ,
მოიკითხეს დიდათ:

—თუ ბრძანდება ხონგრა-ხანი
კეთილად და მშვიდად?—

მარცხნით იჯდა იქ სიზმრებით
სახელ-მოხვეჭილი
გუმბა-ხანი; მან თავისკენ,
ვით ძვირფასი შვილი,

მიიზიდა ხონგრა-ხანი
და დაისვა მუხლზე,
მერე ტკბილად აკოცა მას
ლოყაზე და შუბლზე:

—საყვარელო ჩემო ხონგრა,
ვიცი შენი ფასი,—
რომ დაგვესხას თავზე უცებ
ჩვენ ქვეყანა ასი,

ძალგიძს უკან გააქციო
შენ ისინი ყველა!
შეგიძლიან, ექვსი მხარე
რომ დაიპყრო ხელად

ჩემო ხონგრა, და არვისგან
არ დაგკირდეს შეველა!
მშობელ ქვეყნის, ბუმბის მზეო,
შეგიძლიან შენა

ხუთ ქვეყანას შენის ეშხით,
რომ შეჰმატო ლხენა!
ჩვენო დიდო მბრძანებელო,
ბოგდო ჯანგარ, თქვენაც
გმირი ხონგრას აზრს და სიტყვებს
მიაპყარით სმენა— .

ის უდიდეს სიბრძნითაა
დაჯილდოებული,
სამშობლოს ღრმა სიყვარულით
ჰფეთქავს მისი გული.—

მერე ხონგრა თავს დაუჯდა
ჩვიდმეტ ვაჟკაცს მაგარს,
მარცხენა მხრით მბრძანებელის
ტახტსა, სიზმრის მაგვარს.

თუ იკითხვენ, ვინ თაოსნობს
ტახტის მარჯვნივ მხარეს?
მიუგებენ: აქ თაოსნობს
ტახტის მარჯვნივ მხარეს

დიდის ჭკუით და გონებით
სახელმოხვეჭილი
ალტან-ცეჯი; იმას იქით
— მოთათბირე ტკბილი

მთელს ბუმბაში საპატიო
კულიკ-მუნხის შვილი;
მას შემდეგ ზის მხნე ვაჟკაცი,
ომში გამოცდილი,
მინგიანი, დიდი ხანის
თვით ბუსუდის შვილი;

მას შემდეგ ზის გაბედული,
ომში ლომის დარი,
მაჯიგ ტულუს ძე სავარი,
მხნე და მკლავმაგარი,
ჩუგლუგს მისას გაუშვია
ბევრჯერ სისხლის ღვარი.

ასე სხედან ჩამწკრივებით
გმირნი პირველ წრისა,
დიდ ჯანგარის ძლიერ ტახტის
მხარ-მარჯვენა ფრთისა,
უცხო რაზმი ვეფხისებურ
ჩვიდმეტ ვაჟკაცისა.

თუ იკითხვენ, ვინ თაოსნობს
ტახტის მარცხნივ მხარეს,

მიუგებენ: აქ თაოსნობს
ტახტის მარცხნივ მხარეს

გუმბა-ხანი, სიზმრებითა
სახელმოხვეჭილი.
მას შემდეგ ზის გმირი ხონგრა,
როგორც მზის ნაწილი,
შემდეგ ხავთან ენგე ბეი
ფეხმარდი და ფრთხილი.

ასე სხედან მწყობრად გმირნი
იქ მეორე წრისა,—
დიდ ჯანგარის ძლიერ ტახტის
მხარ-მარცხენა ფრთისა,
უცხო რაზმი ვეფხისებურ
ჩვიდმეტ ვაჟკაცისა.

სავსე იყო დიდ ჯანგარის
ეს სასახლე სრული,
სულ ასორმოც ათასამდე
იყო მიწვეული.

შუაგულში ტახტზე იჯდა
ყველას მბრძანებელი, -
ჯანგარ-ნონი, გმირთა-გმირი,
მტრისგან უძლეველი.

თმებს იმისას ასდიოდა
სურნელება ნელი,
და აგრეთვე სურნელებას
ჰტენდა მისი ყელი.

ბრწყინვალემა მაიდერის
ჰქონდა იმის შუბლსა,
კეთა მისი გარს აფრქვევდა
ნათელ ზუნკვის შუქსა.

მთელს მის სახეს ემჩნეოდა
წმინდა ნათლის ფერი,

იყო იგი, როგორც ბავშვი,
ისე ბედნიერი.

სიზმრის მაგვარ ბოგდოს მარცხნივ,
ვით ძვირფასი თვალი,
სჩანდა ქვეყნის ჩანდამანი,
თექვსმეტი წლის ქალი,

ბოგდოს ცოლი, ზანდან-ხანის
საყვარელი შვილი;
ის ჩამავალ მზის ქვეყნიდან
იყო მოყვანილი.

ზურგზე ეწყო ისე დიდი
მას ნაწნავი წყვილი,

რომ ორივე ილღიაში
ვერ დასტევდით სრულად.
ქვეყანაზე ისე ტურფად
არვინ მოკაზმულა:

მას ქამარი აბრეშუმის
შემოეკრა წელსა,
ხალათს მისას ქამბა ერქვა
— ზმშვენებდა მხრებსა.

უჩნდა იმის თეთრ ხალვინგსა
ფოჩი მოვლებული,
რომლის შუქით ქალს ბეჭები
ჰქონდა ანთებული.

ბროლის ყელთან საყურენი
ციმციმებდენ ნაზად.
შვიდას კარავს სთვლიდა ხალხი
მათ უმცირეს ფასად,—

ნატიფ ყურთა ბიბილოებს
ამშვენებდენ დიდად.
იჯდა ასე მოკაზმული
თავის ტახტზე მშვიდად

მშვენიერი ერთადერთი
ბოგდოს დედოფალი.
იმას, ვისაც თუნდა ერთხელ
მან შეავლო თვალი,

ჩათვლილი აქვს სამუდამოდ
ბედნიერად თავი;,
იმის თვალთა შუქზე, თუნდაც
ლამე იყოს შავი,

შესაძლოა უნაზესი
ნაყშის ამონემსვა,
შესაძლოა ტრამალებზე
ცხენთა ჯოგის მწყემსვა.

მხურვალეა, როგორც შუშა
ცეცხლში გამომწვარი.
აქვს ორმოცი კბილი იმას
მარგალიტის დარი;
თითებზე აქვს თითქოს ხანგის
ფიფქი დანაყარი.

ტუჩებია მისი ისე
ანთებული წითლად,
გეგონებათ აგერ-აგერ
დაიღვრება სისხლად.

აქვს დედოფალს მშვენიერსა
თავი მომხიბლავი,
შეედრება იმას მხოლოდ
ფარშავანგის თავი.

ოთხმოცდარო ნიჭით არის.
დაჯილდოებული—
ტკბილის ხმითა, ნაზ სიცილით
და კეთილის გულით.

ბევრი ხალხი, კარისაკენ
ჩაყოლებით მჯდარი,

ჩურჩულებდა,—გაისმოდა
ჩუმი საუბარი:

—ჩვენი დიდი ნოინი და
ჩვენი დედოფალი
შემოსილან დიდებითა
და აღესილან ძალით.
აქვთ ქონება უთვალავი,
ბევრი მიწა-წყალი.

ჩვენი ლოცვით აიხსნება
სვიანობა მათი.—
ამნაირი ჰქონდა იმათ
ნელი მასლაათი.

რკინის ურემს ყირლიზულსა
დარგა ჰკიდებს ხელსა
და შიგ აბამს დაჩქარებით
ოცდახუთმეტ ცხენსა.

მერე ბევრი ხის კასრები
ურემს დააყარა,
დაჯდა ზედა და წავიდა
მამულისკენ ჩქარა,
სწრაფ მდინარის სათავისკენ,
არზის საშოვარად.

სადაც არზას ნახულობდა
სთხოვდათ იმის ხდასა,
თავად კარგად გამომთვრალი
აგრძელებდა გზასა.

უსინჯავდა გემოს კასრებს
და აცობდა საცობს,
თანაც ბოგდოს სასახლისკენ
გზას მისდევდა ნაცნობს.

გაუვიდა ტანზე ოფლი
ოცდახუთმეტს ცხენსა.

მოიარა მან სოფლები,
ბოგდოს სასახლესა

გარს რომ ერთყა, და შიადგა
კოშკს მალალს და ვრცელსა.
წაავლებენ გმირთა შვილნი
სწრაფად კასრებს ხელსა

და სასახლის საძირკვლამდის
მიიტანენ რბენით,
მაგრამ ზედ კი ვერ გადააქვსთ,
ჩერდებიან წყენით

და ერთმანეთს უცქერიან
დარჩენილი სახტად.
ლონიერი სანალ-ნოინ
ხუმმეტი წლის გახდა

იმ ხანებში. მან თავისი
ზუჩი, გრდემლის დარი,
მარჯვენა მხრით გადიწია
და ნაბიჯით ჩქარით

გამოვიდა გარეთ, კასრი
აიტაცა ხელად,
იმგვარად რომ მუხლის თავი
არც კი მიაშველა;

გაიციან, შეიტანა
ბოგდოს სასახლეში.
ალტან-ცეჯის ძემ გერალმა
თეთრი აზარფეში

ხელთ აიღო, თან გაუვსო
მან თასები ვერცხლის
მომღერლებსა: დუნ გერალსა,
ყმაწვილს შვიდის წლისას,
ტანგსან გერალს ტკბილხმიანსა,
ბავშვსა ხუთის წლისას.

სხვა მრავალნი კაცნი თუნდაც
მისეოდენ ასი
არ შეეძლოთ აეწიათ
თითო მათი თასი.

ისინი კი საჩვენებელ
თითითა და ცერით
თასს იჭერდენ თავისუფლად,
თანაც ტკბილ სიმღერით

მოიხადეს მბრძანებლის წინ
თავიანთი ვალი;
ერთის შემდეგ კიდევ ხუთი
სასიმღერო რკალი

შეასრულეს. გმირთა-გმირებს
მხარ-მარცხენა წრეში
ცხელი ოფლი სახეებზე
ჩასდიოდათ თქეშით.

მომღერლებმა შეასრულეს
ტკბილი ხმის წკრიალით
სადიდებელ სიმღერათა
კიდევ ხუთი რკალი,

მერე მარჯვნივ ამეტყველდა
რჩეულების წყება,—
მათ შეასხეს ბოგდოსა და
მის გმირ ხანებს ქება.

მარცხენა წრის რჩეულებმა
აქეს ტკბილის ენით,
ქერა, კობტა არანზალა,
ყველა მარდი ცხენი.

ხანის ცოლსა შეასხამდნენ
ქებას კიდევ მეტსა.
მისცეს იმათ უმტკიცესი
ფიცი ერთმანეთსა:

— ავიცდინოთ ჩვენ თავიდან
შური, თავის ქება,
გამცემლობა, დაფარული
შული, ანგარება.

ავილოთ და ხალხს მივართვათ
მსხვერპლად ჩვენი გული.
ხალხისათვის უნდა ვღვაროთ
სისხლი მეწამული.

შემოვერტყათ გარეშემო
დიად ჯანგარს ყველა
და მისადმი სამსახური
გვქონდეს სანუკველად.

ვიცხოვროთ ჩვენ ქვეყანაზე
ერთი კაცის დარად,
და ბეჭედი სამშობლოსი
ვზიდოთ უშიშარად;

დავასრულოთ ჩვენ სიცოცხლე
გრძელ შუბების წვერზე.
არ არსებობს ჩვენში ვეფხი,
რომ მისული მტერზე,

ისევ უკან გამორბოდეს
შიშით შეპყრობილი.
ჩვენ არა გვყავს ცხენი ისე
ღონე-გამოცლილი,

რომ სასწრაფოდ ვერ დასძლიოს
მან მწვერვალი მთისა,
რაც არ უნდა მალალი და
დიდი იყვეს ისა.

ვერ შეგვაკროთბს რკინა ცეცხლით
მოგიზგიზე, მწვავი,
ვერ შეგვაკროთბს შემზარავი
ოკეანე შავი.

არ შეუკრთეს არასოდეს
ჩვენი მკვეთრი თვალი
ყვეთელსა და ცივ იარაღს
შეჭედილსა რვალით.

გავაშუქოთ ეს ცხოვრება
ჩვენ სიმართლის მზითა,
ნუ გავივლით ნურასოდეს
არასწორი გზითა;

შევეცადოთ რომ ამ ქვეყნად
არვინ გვასვას მზამი,
ბუნებისგან გაჩენილი
საზარლობა სამი;

და თუ მტკიცედ შევასრულებთ
ფიცსა დადებულსა,
სრულყოფილი გავხდებით და
გავიხარებთ გულსა. —

ამნაირად ერთმანეთში
პირი განამტკიცეს,—
თორმეტ აღთქმის შესრულება
ერთხმად დაიფიცეს.

(თარგმნა კონსტანტინე კიკინაძემ)

ბოგდო-ხანთან ოცდახუთმეტ
ვეფხს გაება ლხინი,
დიდი სუფრა სავსე იყო
არზითა და ღვინით.

ვეფხებს გარდა უცხო სუფრას
მისხდომოდენ სხვანიც,
თვითეული თვითონ ფლობდა,
თვითონ იყო ხანი.

შვიდჯერ ათი ქვეყნის ხანი,
შვიდჯერ ათი ზღვისა,
დამსხდარიყვნენ, გამხდარიყვნენ
ბოგდოს სუფრის ღირსად.

ნიაღვრულად იღვრებოდა
სასმელები ტკბილი,
ყოველ წუთში შემოჰქონდათ
სულ სხვადასხვა ხილი.
ბოლოს დათერენ და სუყველას
მოერია ძილი. •

ზოგი ურცხვად გაიშოტა
იქვე სუფრის თავთან.
არეული გრძელი სუფრა
ნაომარ ველს ჰგავდა.

მთვრალნი ჰგავდენ დახოცილებს,
ძილს ჩაეგდო ზავი,
ზოგს სხვისთავზე ფეხი ედო,
ზოგს მუცელზე თავი,
ზოგს მძინარსაც, მძინარისთვის
მოეხვია მკლავი.

ლამდებოდა; ბინდი უკვე
მთების ლანდებს შლიდა,
მბრძანებელი ხანის ცოლი
წინ წამოდგა მშვიდად.

ხელში ეპყრა ოქროს ქნარი
ტანად ალვის ბადალს,
თექვსმეტი წლის უტურფეს ქალს,
ტურფა აგაშავდალს.

მას თვალები შავი ჰქონდა
უბნელესი მღვიმის,
მას ტირილი როდი სურდა
მარგალიტის წვიმით,
ამღერება სურდა ჩანგის,
რვაათასი სიმით.

დაარზია ბროლის თითნი,
ააჟღერა ჩანგი,

შვიდნაირ ხმით ერთხმად ჟღერდა
შვიდი ტკბილი ჰანგი.

ათასკლდოვან მთის ბატონი,
ერკე ტუგას შვილი,
სახეტურფა მანგიანი
ვით მნათობი დილის,

ქნარზე დუდუკს ააკვნესებს
და საკრავი წყვილი,
ისე უკრავს დამატკობლად
მოგერევა ძილი.

დუნ გერელი, შვიდიწლისა,
ტანგსან გერალ — ხუთის,
ჩანგის ხმაზე ხმაშეწყობით
აღუღუნდნენ წუთით,
და თანდათან გაძლიერდა
მომღერალთა გუნდი.

ცეცხლმფრქვეველი ხონგრა-ხანი,
აღისფერი ხანი,
გუგუნებდა გოლიათი,
უმაგრესი ჯანით,
მღეროდა და ჰერს აქცევდა
უმძლავრესი ბანით.

ირიჟრაჟა, ოქროსფერი
მზე წამოდგა ფრთხილად,
ტაში დაჰკრეს ჩიტუნებმა,
მიესალმენ დილას.

მზემ ქვეყანას უთვალავი
სხივთა ჯარი მოსდო,
მზეც ადგა და ლოგინიდან
მძიმედ ადგა ბოგდო.

სახე თითქო მწყრალი ჰქონდა
ეტყობოდა დარდი,

მის სამყოფში მზარეული
უცებ გაჩნდა მარდი.

დატრიალდა მზარეული,
სუფრას იქვე უწყობს,
საქმელი და სასმელები
მოაქვს უცხო-უცხო.

მაგრამ ვისთვის?—ბოგდომ ზედაც
არ დახედა სუფრას,
იჯდა მუნჯად მოწყენილი,
სახე ჰქონდა ქუფრად.

მაშინ გზავნის მზარეული
უსწრაფესად ფიქრის,
ოცდა ხუთმეტ ვეფხისაკენ
ოცდათხუთმეტ შიკრიკს.

სამოცდაათ შიკრიკს გზავნის
სამოცდაათ ხანთან,
ყველას ბოგდოს მოწყენისა და
დარდის ამბავს ატანს.

შეიკრიბენ რომ გათანტონ
ბოგდო ხანის სევდა,
სულ მოვიდნენ, სრა-სასახლე
რაც ხალხს დაიტევდა.

წარსდგენ დინჯად, ვაჟკაცობის
და ღირსების რიგით,
მადრიბელნი აქით დასხდენ,
მაშრიყელნი იქით.

წინ წამოდგა ალტან-ცეჯი,
ხანდაზმული ბრძენი,
— ჯანგარ, იცი, შენი დარდი,
დარდი არი ჩვენიც.

რა გაწუხებს, რათ არ გვეტყვი—
ამბობს ალტან-ცეჯი—

მტერს ხომ მაღა არ აშლია
ჩვენი ძარცვა-გლეჯის?

იქნებ გინდა მოარბიო.
შორეული მტერი?
წაგვიყვანე სადაც გინდა,
დავაყენოთ მტვერი.

იქნებ შიგნი სტეხდენ ციხეს
ლამითა და დღისით?
მოლალატე ბნელი არი
და სიკვდილის ღირსი.

თუ რამ გტკივა, წამლად ირგე
ზღვა და ხმელი სრული,
ჯანგარ, გვითხარ რაზე ფიქრობს
შენი თეთრი სული!

ბოგდომ ბაგე არ გააპო,
ფერი ეღო ბინდის,
მაშინ დარვაღხანის შვილი—
წარსდგა ჯილგან დიდი:

— მბრძანებელო, გვითხარ რაა
შენი წყენის ბრალი,
აუად ხომ არ გაგხდომია
თექვსმეტის წლის ქალი;

შენი ცოლი, შავთვალემა
მთლად ხმელეთის თვალი,
ზმანებათა სახანოდან
მოყვანილი ქალი,

ჩამავალ მზის სხივებიდან,
როგორც მთვარე მცხრალი
ამოსული შენი ცოლი,
ზანდან-ხანის ქალი?

ჩვენ ქვეყანა ერთად მოველეთ,
მტერსაც ერთად ვსდევდით,

ერთგულ ვეფხებს მაინც გვითხარ
ბრალი შენი სევდის!—

ჯანგარ სდუმდა ჯავრიანი,
კვლავ არ დასძრა ენა.
და განაგრძო ჯილგან-ხანმა,
ვერ დამალა წყენა:

— მომისმინეთ, ხანები ხართ
და ვეფხების ჯიშის,
ბოგდოს უნდა მოვაგონო,
არ მაქვს წყენის შიში.

ჯანგარ, ძველი ამბავია,
ალბათ გახსოვს, კიდევ,
ერთხელ, როცა ყვითელიწყლის
სამ ხანს წავეკიდე

დამნაშავეს დასასჯელად,
მართლის დასაცავად,
სასამართლოს გადაეცა
მაშინ ჩვენი დაეა.

გამამართლა სასამართლომ,
ცას ანგრევდა ტაში,
შენ იმდენად გაგეხარდა,
ეს აღმითქვი მაშინ:

„რაც გსურს მთხოვე, აგისრულებ
ოცდაცამეტ სურვილს,
კვლავ იბრძოლე სიმართლისთვის,
ნუ დაუთმობ ნურვის.“

ოცდაცამეტ დანაშაულს
გაპატიებ ქვეყნად,
ჩემი სიტყვა კანონია
მე არ მიყვარს კვებნა.“

ხშირად პური არ მქონია,
არც სასმელი სურით,

მე ლარიბი ვიყავ, მაგრამ
შენ არ გთხოვე პური.

ხშირად მინდვრად ვათენებდი
ციხეებში, როგორც ძალი,
შენ სასახლე ბევრი გქონდა,
მე არ გთხოვე სახლიც.

არაფერი მითხოვია,
მიდიოდენ ღრონი,
მხოლოდ ახლა წამომდგარვარ
ერთადერთი თხოვნით:

გვითხარ, რატომ მოწყენილა.
შენი სახე ბრძნული,
რაზე ფიქრობს სევდიანად
შენი თეთრი სული?—

ისევ სდუმდა ბოგდო-ხანი,
კვლავ არ დასძრა ენა,
მაშინ ვეფხნი გაბრაზებამ
ფეხზე დააყენა.

დაიძახა ჯილგან-ხანმა:
თავს იფასებ ძვირად,
თუ კი მარტო შენი თავი
მოგაქვს გმირთა-გმირად.

მაშ იცოდე, უშენოდაც
გაძლებს ვეფხთა გუნდი;
ხონგრა-ხანი როდი არი
გმირი შენზე ცუდი.

ლამაზი ხარ?— მაშ იცოდე
მინგიანი ჩვენი,
შენზე უფრო კობტაც არი,
სილამაზე შვენის.

იქნებ ფიქრობ: ვერვინ დამძრავს,
უმძლავრესი მთა ვარ,

შენსავით მძლავრს რად ივიწყებ
ჩვენს ბუმბერაზს სავარს!

იქნებ ფიქრობ, შენ ხარ ქვეყნად
სუყველაზე ბრძენი?
მაშ, იცოდე უბრძნესია
ალტან-ცეჯი ჩვენი.

ჩვენ ვეფხები ხანები ვართ
შენნაირი სისხლით,
ხმასაც არ გვცემ, შენთან ყოფნას
რალა თავში ვიხლით.—

ესა სთქვა და გაბრაზებით
გაიხურა კარი,
უკან მიჰყვა ვეფხთა გუნდი
და ხანების ჯარი.

მაშინ ბოგდო გამოფხიზლდა,
წამოიქრა წყენით,
დაიძახა: მეჯინიბევე,
ჩქარა ჩემი ცხენი.

მეჯინიბემ საფეხური
გადიფრინა კიბის,
ბოგდოს ცხენის მოსაყვანად
საძოვრისკენ მირბის.

სამ მდინარის სამ ნაპირზე,
სამი მინდვრის ბალახს,
დღეღამ სძოვდა არანზალა,
არ ირტყამდა მათრახს.

სამი კვირის ნასუქარი
იყო, როგორც ლომი.
ომს ნატრობდა, დაჯახების
და შეტევის მდომი.

სიმსუქნისგან ბალიშით
გატენილი გავის

ბრწყინვალება თვალს მოგპრიდა,
ასკდებოდა ტყავი.

ამჰაჰტავნად მოღერილი
ყელი ჰქონდა გედის,
მთელი ქვეყნის სილამაზედ
ღირდა მისი მკერდი.

მთელი ქვეყნის ოქროდ ღირდა
მისი ფლოქვი ცალი,
მოგოგავდა არანზალა
მთელი ქვეყნის თვალი.

ოქროსფერ ცხენს კურდღელივით
რბილი ჰქონდა ზურგი,
ზედ დაფენაც არ გინდოდა
ბალიშის და ქურქის.

თავი მალლა დაეჭირა
მოდოდა ლალად,
შეხედავდი, რაში სწორედ
გავდა კალმით ნახატს.

თვალში შუქი უბრწყინავდა
მილიონი სანთლის,
მარჯნისფერი ძუა ჰქონდა
რვაჯერ ათი ადლი.

რვა ადლამდის სიგრძე ჰქონდა
ხშირ მარჯნისფერ ფაფარს,
გადაგება, გაწვდებოდა
მთელი ქვეყნის მთაბარს.

ფერი ჰქონდა ზაფხულის მზით
გახურებულ ქვიშას,
ტურფა იყო არანზალა
ტუნჯირმუთის ჯიშის.

ბნელ ღამეშიც გაუნათებს
თვალი როგორც კრაქი,

მას ტყუილად როდი ზრდიდა
რძით შვიდასი ჭაკი.

წინ მოუძღვის მეჯინიბე,
მოჰყავს ხელით მტკიცით,
ჯიშიანი დედის კვიცი,
წმინდა სისხლის კვიცი,

სასახლეში შესაკაზმად
მოიყვანეს კვიცი,
შეკაზმვის დროს არანზალამ
გადარევა იცის.

და ამიტომ მეჯინიბე
რაშის გვერდით მღგარი,
რაშს საოფლეს პარვით აღგამს,
მაგრამ ცხენი ჩქარი

ორმოცდაოთხ ნახტომს შეჰკრავს
უსწრაფესი ქარის,
შესკიბვინებს არანზალა,
რეკავს როგორც ზარი.

რაშს დაადგეს უნაგირი
რკინის გრდემლის მსგავსი,
საძუეზე თვლები ბრწყინავს
დაუდები ფასის,
თვლებს გარშემო მოქედილი
ოქრო ბრწყინავს ხლასის.

უცხო იყო უნაგირი,
სულმთლად ოქროს კეხით,
მოსართავი მოეხატა
ოქროვერცხლის გრეხილს,
უზანგებიც ოქრო იყო,
შესადგმელი ფეხის.

მოუჭირეს მოსართავი
ცხენს ფიცხსა და საშიშს,

სულ ლაპლაპი გასდიოდა
აბზინდების ზარნიშს,
ცისარტყელის ფერი ჰქონდა
ოქრომკედის ბალიშს.

კეხს თასმები დაამაგრეს
ბოლოებით წყვილით,
მკერდს სამკერდე შემოაკრეს
შვიდჯერ-ათი ღილით.
სამკერდზედაც ოქრო ბრწყინავს,
ვით მნათობი დილის.

ხან ნიავი შეახტუნებს,
ხან ფოთლების ტაში,
ირმის ტყავის აღვირებით
ძლივს უქირავთ რაში.
ნეტავ მართლა ცხენია თუ
ოქროს გარიჟრაჟი?

ჩამოღრუბლულ ბოგდოს სახეს
არ შორდება ჯავრი,
ეტყობა, რომ უცხო გზისთვის
ემზადება მგზავრი.

ჯერ ჩაიცვა ტანსაცმელი
ატლასის და სტავრის,
მერე ტყავი მოიხურა
შესაფერი მთავრის.

თავზე ქუდი დაიხურა,
სჯობდა ყველა ჯიღებს,
ხუთი ათას კაცისაგან
დაწნულ მათრახს იღებს,
მათრახია უმსხვილესი
ვერ მოაწვდენ მჯიღებს.

ხუთათას ხარს გახადეს
ამ მათრახის ტყავი,

ჯერ სისხო და ღონე მისცეს
ბუმბერაზის მკლავის,
მერე ვერცხლით მოუქედეს
მათრახს ორივე თავი.

ოთხი თითის დადება აქვს
ვერცხლს სისქე და განი,
მათრახია მოხატული,
როგორც გველის კანი,
ვერ მოიხმარ თუ არა გაქვს
თვით ჯანგარის ჯანი.

მოდის ბოგდო, სხვას საღ ნახავ
ვაქვაც ასე შედგარს,
ჯანგარ დიდმა ცალ უზანგში
როგორც ფეხი შედგა,
მსწრაფლ გაფრინდა რაში ცისკენ
ღრუბლებს შეეხეთქა.

კვლავ მიწაზე დადგა წამით,
იგრძნო მხედრის ხელი,
ყურდაცქვეტილ მერანს შეენის
მოლერილი ყელი,
ბოგდო ქურანს მიაქროლებს
წინ გზა უღევს გრძელი.

ჰა, სასახლე საყვარელი,
წითელი ხის კარით,
შედგა კიდევ განიცადა
გულის გასახარი,

მერე თითქო დანახებით
აუქცია მხარი,
მიაბრუნა ქურანი და
გაჰქრა როგორც ქარი.

ეჰ, ვინ იცის საღ წაგიყვანს,
საღ გატარებს ბედი!

ფრენით მიჰქრის რაში როგორც
გაფრენილი გედი,
ქარს კი არა კლდეს გააპობს
არანზალას მკერდი.

მხედარს ხელში შუბი ჰქონდა,
ცას წვდებოდა შუბი,
ტარად ეგო მოხატული
ზღაპრული ხე ბუმბის.
ელვარებით მზის სხივს ჰგავდა
სიგრძით სხივის ტყუბი.

თავქვე მიქრის ცხენოსანი,
ვით შიქირლუს წყალი,
ხონგრა-ხანის სასახლესთან
გაჩნდა არანზალა,

ბოგდო-ხანმა ხონგრა-ხანის
კოშკს შეავლო თვალი,
ზედ მიაგდო არანზალა,
ისარივით მალი.

— ხონგრა, შინ ხარ? — შეუძახებს
დაბლით ბოგდო-ხანი.

— შიშ გახლავარ. — მასპინძელი
გადმოსძახებს ბანიო.

— მაშ მისმინე, მე შორს მივალ,
დამაყოვნებს ხანი,
გაიგონე სიტყვა ჩემი
და სურვილი სცანი:

მე არ ვიცი სად მოუსწრებს
ჩემს თმებს თეთრი ქირხლი,
რომელ კლდეზე დაიქცევა
ჩემი ცხელი სისხლი,
სად წააქცევს ჩემი ყოფნის
ქურქელს ბედის წიხლი.

მე არ ვიცი სად გახმება
ჩემთა მკლავთა ძვალი,
რომელ ცის ქვეშ დაბნელდება
ცეცხლი ჩემი თვალის,
რომელ მიწას შეერევა
უანგით ჩემი რვალი.

მე არ ვიცი ჩემი სული
რომელ ქვესკნელს ჩავა,
თეთრი იყო ჩემი სული,
ვაჰ, თუ იქცეს შავად,
შენ გაბარებ ჩემ ქვეყანას
მტრისგან დასაცავად.

მართე, გქონდეს ჩემს მოსვლამდის
ბუმბის ჩრდილო მხარე,
მზე უჩემოდ კვლავ ამოვა,
კვლავ ამოვა მთვარე,
თქვენც უჩემოდ შინ ილხინეთ,
მტერი სძლიეთ გარეთ.—

ესა სთქვა და ცხენს შემოჰყრა,
ცხენი გაღმა გაბტა,
ისევ მარტო გაემართა,
თან არავინ ახლდა,
კოშკის ბანზე ხონგრა-ხანი
მიატოვა სახტად.

შემდეგ არვის დაუნახავს,
მოუბარი კაცთან;
უცნობ მთებს და მდინარეებს
ოთხმოცოდაორს გასცდა.

ბოლოს ბოგლო ხედავს მოჰყავს
მხედრებს მისკენ ცხენი,
მაშრიყელი ვეფხებია
ყიყინით და სტვენით.

გამოქანდნენ ცხენოსნები
მის წინ შედგენ ქშენით.

ჩვიდმეტ მხედარს გამოეყო
ალტან-ცეჯი ბრძენი:
— ჯანგარ, შესდექ, მერნის ქროლვა
შეაჩერე წამით,
შენ გულები აღგვიშფოთე
დღეს საწყენით სამით,
ვეფხებს გული მოგვიწამლე
სამი წვეთი შხამით:

ერთი ის რომ შენი დარდის
ღირსად ჩვენ არ გვცანი,
მეორე რომ შენ ქვეყანას
აუქციე განი,
მესამე რომ ჩვენს უფროსად
დასვი ხონგრა-ხანი.

ხონგრა არცერთს არ გვეჯობია
ჯილაგით და სისხლით,
არც ერთი არ ჩამოვრჩებით
სიმდიდრით და სიმხნით.
ჩვენც შორს წავალთ, ბუმბის მხარეს,
რალა თავში ვიხლით.—

ბოგდომ ხელი ჩაიქნია,
ვეფხებს უთხრა წყენით:
— დამილოცავს მშვიდობის გზა
ცუდი არ მსურს თქვენი...—
ცხენსა ჰკრა და ისარივით
გააქანა ცხენი.

ამომავალ მზისკენ რაში
გააქროლა მალი.
გაჰკრა ქარის უსწრაფესი
ველარ მისწვდა თვალი,

ექებეს და ველარ ჰპოვეს,
დაეკარგათ კვალი.

ხმა გავარდა: ხონგრას დარჩა
მხარე ჩრდილო ბუმბის.
მტერს სურვილი აეშალა
შფოთისა და ჩხუბის,
კვლავ მოუნდათ დაყენება
ქვეყნად სისხლის გუბის.

შულმუსები ამბავს დიდხანს
მოელოდენ ამგვარს,
გაიხარეს: „ბუმბის მხარე
დაუგდია ჯანგარს,
წავალთ ბუმბის დასარბევად
ციხეს გავსტეხთ მაგარს“...

შულმუსები უხორციონი, იყვნენ
როგორც ლანდნი,
მთავრად ჰყავდათ გიურგიუ
მრისხანე და მარდი,

ავად გახდა გიურგიუ
ბუმბის ქვეყნის დარდით,
შვიდ დღეს აღარც პური სქამა,
აღარც შუსუნ - მწვადი.

გიურგიუს მარხულობის
ხმა გავრცელდა ჩქარა,
უწმინდურთა დიდებულნი
შეიყარნენ ჯარად.

დაავალეს ჯადოქრობით
განთქმულ ხურდუნშარას —
გიურგიუმ შუსუნ-მწვადი
.რატომ შეიზარა?

ხურდუნ შარა გიურგიუს
თავს დაუკრავს დაბლა:

— გვითხარ იქნებ რამე გტკივა,
დაგედებით წამლად,
შვიდი ღღეა შუსუნს არ სკამ,
წინ არ გიდგას ტაბლა.

უპასუხებს გიურგიუ:
ვერ მოვხუქე თვალი,
ტკივილები როდი არი
ჩემი დარდის ბრალი,
შვიდი ღღეა არ მასვენებს
მძიმე საფიქრალი:

ბუმბის მხრიდან მომივიდა,
კაცი ამბის მთხრობლად,
ჯანგარს თავის სამყოფელი
დაუგდია ობლად,

ვეფხნი მისნი გაფანტულან,
არ დამდგარან სოფლად,
ხონგრა-ხანი დარჩენილა
ბუმბის ქვეყნის მპყრობლად.

შულმუსების დიდი ლაშქრით
ძლიერით და მხნითა,
ბუმბის ქვეყნის აოხრებას
ვეფიქრობ დიდი ხნიდან,
დრო დაგვიდგა რომ დავესხათ
ახლა ყოველ მხრიდან.

შენ რას იტყვი რომ დავეცეთ
ხონგრას, ჯარით დიდით,
განათებულ ბუმბის მთაზე
დავაყენოთ ბინდი,
უზარმაზარ ბუმბის ზღვაზე
გავდოთ მკვდრების ხიდი.

დავიქიროთ ხონგრა-ხანი,
ვეფხნი ალისფერი,

შვიდ ქვესკნელში ჩავიყვანოთ
შულმუსების მტერი,
სატანჯველად მიფუჩინოთ
წითელი ზღვის ფსკერი?

ბურღუნ შარამ მოიწონა
გიურგიუს აზრი.
— ხონგრა-ხანის წითელ ძვლებზე
ვლენოთ შუბი მძლავრი,
მაგრამ ვაპთუ კვლავ მობრუნდეს
ბოგდო-ხანი მკაცრი!

— დე მობრუნდეს, მეც აქა ვარ
მისი მტერი ძველი,
ყველა ქვესკნელს გზას გავეხსნი,
ყველა ვიცი ხერელი,
მის ხმაღს როდი გაუდრკება
ჩემი ხმალი მკრელი.

„დიდი ლაშქრის“ მოსაწვევად
დილით დაჰკრეს ბუკი,
თვალს მოგჰკრიდა ხმაღ-კაპარკის
და შუბების შუქი.
დიდი ჯარის სიმრავლისგან
დადგა მტვერის ბუკი.

„მცირე ლაშქრის“ მოსაწვევად .
ჩამორეკეს ზარი,
„მცირე“ ერქვა თორემ ისიც
იყო დიდი ჯარი,
შეიკრიბა უთვალავი,
როგორც დილის ცვარი.

„საშუალო ჯარიც“ იხმეს,
მოიყარეს თავი,
შეკრბა ჯარი უმძლავრესი
გაქანებულ ზეავის,

შეკრბა ჯარი უხშირესი
ულრანი ტყის შავის.

ცხენები ნისლს აყენებდნენ
ნესტოების ორთქლით,
ვით ქინკველას ვერ დაითვლი,
ვერც ზღვის ქვიშას მოთვლი,
აგრე დადგა მინდვრად ჯარი
უხშირესი ფოთლის.

კაცის თვალი ვერ გასწვდება
ცხენოსანთა სიგრძეს,
საძოვრებად არ ეყოფათ
გალაღებულ კვიცებს
ხმელეთს გარდა თვითონ ზღვაც რომ
საბალახოდ იქცეს.

შესასმელად არ ეყოფათ
ზღვად რომ იქცეს ხმელიც,
ლაგამს გლეჯენ ულაყები,
სისხლი უღუღოთ ცხელი,
მოდის ჯარი უთვალავი
ბინდზე უფრო ბნელი.

გიურგიუს ჯარი მოდის
მინდვრებით და ყანით,
გზას დასკირდა გასაველელად
ერთობ დიდი ხანი,

ცაგან-ხანის მამულს მისწვდენ
დადგა სისხლის ტბანი,
სასახლენი ხანძარს მისცეს
დაუქციეს ბანი.

დალლილ ცხენებს ჯეჯილებში
მისცეს საძოვარი,
სახლებისგან ფერფლი დარჩა
ცეცხლის სახსოვარი,

დიღხანს ეყოთ ნაღავლი, და
გლეჯით ნაშოვარი.

ცაგან-ხანის გაჰყოლოდა
ბოგდოს ვეფხთა ლაშქარს,
ვაი, რომ სისხლს ვერ ხეღავდა,
მის მამულში დამღვარს,
საშველად ვერ მოიხმობდა
თავის მფარველ ჯანგარს.

მისი მხარე ნაოხარი
გავდა ფერფლს და ნაცარს,
ჯერ შორს იყო ბუმბის მხარე,
არ ელოდა ავღარს.

წინ დაიძრენ შულმუსები,
ომი სურდათ ცხარე,
მეთორმეტედ გამოცვლილი
რომ გამოჩნდა მთვარე
მოარბიეს უტურფესი
მინგიანის მხარე.

კვლავ დაიძრენ, დიღით გაჩნდნენ
ალტან-ცეჯის კართან,
ვით ცაგან და მინგიანი,
შინ არ იყო ალტან,

ქეიფობდენ შულმუსები
კოცონების ალთან,
ნაღავლით და ნაშოვარით
საესე ჰქონდათ კალთა.

არ შეჩერდა გიურგიუ,
გავდა მშიერ აფთარს,
სადაც შეღვა მყრალი ფეხი,
ყველას სცემდა თავზარს,
გუმბა-ხანის სიზმრის მხარეც
მისცა ცეცხლს და ხანძარს.

შუადღისას ხონგრა-ხანთან
გაჩნდა მალე მსრბოლი:
„შულმუსების ჯარი მოდის
შვიდივე ზღვის ტოლი,
ცაგანს, ალტანს და მინგიანს
აადინეს ბოლი“.

აღაშფოთა ხონგრა-ხანი,
აიტანა ბრაზმა,
ჯარსა ჰკრეფს და ემზადება
რაზმეულებს რაზმავს,
მთელი ქვეყნის მკედლებს უხმო
მალემსრბოლმა ასმა.

ბუკით ჰკრეფენ ყველა მკედელს,
ღირსეულს და უღირსს,
შეიკრიბენ სულ მკედლები,
ქვეყნის ყველა კუთხის,
შეჩვეული რკინის დნობას
და ლითონის დუღილს.

ეუბნება ხონგრა-ხანი
მათში უფროს მკედელს,
თვით რკინაზე უმტკიცესს და
მართლა რკინის მკენეტელს:
ამ სასახლეს შემოავლებ
მალალ რკინის კედელს.

სალამომდის ააშენეს
გალაფანი დიდი,
მალალია, გადაფრენა
გაძნელდება ჩიტის,
გალაფანი რკინის არი,
შავი როგორც ბინდი.

ხონგრამ ბოგდოს დაკეტილი
გახსნა ზარდახშანა,

აღიჭურვა ხონგრა-ხანი,
ალარ დაახანა.

ნახა, თვალში მოუვიდა
უზუნგხანის მშვილდი,
თავის დღეში არ ენახა
მშვილდი ეგზომ დიდი,
მის მოლუნვას ვერ შესძლებდა
ვეფხი ასჯერ შვიდი.

ხონგრას მშვილდის მოლუნვა სურს,
რომ გაუბას ლარი,
ცალი თავი ძირს დაუდო,
ცალს დააწვა მხარით,
მშვილდი ისევ ისე დარჩა,
რკინასავით მყარი.

ამ დროს თითქო მზე ჩავიდა,
ჩამოზნელდა თალხად,
გიურგიუს შავი ჯარი,
როგორც შავი ტალღა,
შემოადგა დიდ გალაფანს,
შემოარტყა ალყა.

ვით ლაქაში თავდახრილი
ჭაობში რომ ჰყვავის,
ირხეოდა უთვალავი
ბაირალის თავი.
და ლაშქარი მოდიოდა
მძიმე. როგორც ზვავი.

ხონგრას მტრების დანახვაზე
შემოენთო ალი,
სიბრაზისაგან დაბარბაცდა,
როგორც ღვინით მთვრალი,
და ჯიუტ მშვილდს მოექიდა
უცნაურის ძალით.

მოილუნა მაშინ მშვილდი
მაგარი და გრძელი,
ზედ გასქიმა სამი ლარი,
სამი ქრელი გველი,

კვლავ რამდენიც დაეტია
ზედ ისარი მქრელი
დააწყო და უმაგრეს ლარს
გამოსწია ხელი.

ქეიბური მსწრაფლ გაფრინდა,
როგორც მოციქული,
ას სამოცის შუბლი გასქრა
ას სამოცის გული.
თითო სროლამ თითო წყება
ჯარი მოსპო სრული.

მტერს ზიანი მიაყენა
გაუმრავლა ქირი,
ქარზე სწრაფი მიდიოდა
და წვიმაზე ხშირი
ხონგრა-ხანის ქეიბური
მტერთა გულგამგმირი.

ოცდაერთ დღეს ხონგრა-ხანი
იდგა როგორც რკინა,
ცხარე ბრძოლა ახარებდა,
ომი უჩნდა ლხინად.

მაგრამ ერთხელ ჩაუსაფრდა
შორით ხურდუნშარა,
თვალი ჰკიდა და ნიშანში
ამოიღო ჩქარა,
ტყუილად ხომ არ უხმობენ
ხურდუნს ჯადოქარად.

დაუმიზნა და მოხუქა
ოდნავ ცალი თვალი,

ლარს მოზიდა, ლარი, როგორც
ანთებული რვალი,
გახურდა და გადმოყარა
ჯგუფად ნაკვერცხალი.

ხონგრას გულში დაუმიზნა
გალავეანზე მიმდგარს,
ფარი ველარ აუფარა
გამოფრენილ ისარს,
მკლავში მოხვდა, მარჯვენაში,
აცდა გულის ფიცარს.

შედრკა ხონგრა, ველარ გზავნის
ისარს ბლუჯა-ბლუჯად,
— ჯანგარ, სად ხარ,— დაიგმინა
და ჩამოჯდა მუნჯად.
პატრონის ხმა შორით ესმა
ხონგრა-ხანის ლურჯას.

შექიხვინებს, ყალყზე დგება,
გული ძგერით შუცემს,
ბოგდოს ცოლის სამყოფელთან
მიიქრება შუცებ,
თითქო უნდა რალაც უთხრას,
ათამაშებს ტუჩებს.

ცხენს მიუხვდა აგაშავდალ:
— ნიშანია ცუდი!
არც აისხა სამკაული,
არც ეძია ქუდი,
ცხენს მოახტა, ხონგრა-ხანთან
დაიბადა წუთით.

ხონგრას ურჩევს აგაშავდალ
— წამით დასდე ზავი,
თორემ სისხლი იმდენი გდის,
შიგ გასცურავს ნავი.

შედგა ხონგრა როგორც ხევში
მომწყვდეული ზეავი
და ქალთაგან უტურფესმა
შეუხვია მკლავი.

(თარგმნა გ. რ. აბაშიძემ)

უცბად ხონგრა გრიგალივით
გამოვარდა გარეთ.
ყველა კუთხით მოიარა
მან სასახლის არე.

იგერებდა გამალებით
გამგელებულ მტერთა.
ამ დროს რაშმა მოირბინა
ხონგრას სასახლესთან.

სანდლის კოხტა სასახლე კი
ქცეულიყო ნაცრად.
დილა იყო, კაცის ჩქამი
არ ისმოდა არსად.

დედოფალი ზანდან-ზუხა
აცრემლებულ თვალთ
ხვრელს ეძებდა, მტრისგან დევნილს,
შეეფარა თავი.

რაში მიჰქრის ხანის ცოლთან,
ქარზე უსწრაფესი,
დედოფალმა ის შეკაზმა
როგორც იყო წესი;

უნაგირით მორთო იგი,
და ტახტაზე გრძელი,
ჩამოჰკიდა ჯავარდენი—
აღმასივით მქრელი.

თაყვანისცა, დაულოცა მას
ოთხივე ფლოქვი,
შემდეგ იგი გაისტუმრა
მუდარით და ლოცვით:

— ხონგრა სიკვდილს აარიდე,
რაშო, შენს მზეს ვფიცავ,
ბოგდოსაგან მიტოვებულს,
ის სამშობლოს იცავს.

მას უშველე, შეისმინე
ჩემი აჯა ხშირი,
ის-ლა დარჩა სამშობლოში
ერთადერთი გმირი.

ქვეყანაზე წესი წესს ჰგავს,
არსს ჩამოჰგავს არსი,
არის, ალბათ, ოკეანე
ჩვენი ბუმბის მსგავსიც.

მრავალია დუნიაზე
მომხიბლავი ქალი,
ალბათ, ქვეყნად ჩემისთანაც
არის დედოფალი.

შენ ხარ ჩვენი ერთგული და
საყვარელი ცხენი,
მაშ, გაჰქროლე,—სიკვდილისგან
ხონგრა დაიხსენი.

რაში სწრაფად გაექანა
გმირი ხონგრა საკენ,
გადალახა მოედანი,
ტრამალები ვაკე.

ისწრაფოდა, გასროლილი
ისარივით ჩქარი,
უკან ბრაზით მოჰყვებოდა
შულმუსების ჯარი.

ჯოჯოხეთის ბოროტ სულთა
უამარი რიგი
რაშისაკენ გამორბიან,
ეხვევიან ირგვლივ.

ვერცხლის ლაგამს ეტანება
ურდო სისხლის მსმელი,
ასიათასერთჯერ სცადა
რომ წაეელო ხელი.

თუმც ვ შესძლეს. მტრებს ხელიდან
„საარაე“ ცხენი
მსწრაფლ გაუსხლტა და ხონგრასთან
მიიღბინა ფრენით.

მაშინ ხონგრამ ათი გმირის
მკლავში იგრძნო ძალი,
მტერს მრისხანედ შიგ სახეში
მიანათა თვალი.

უცბად „ვაშა“ დაიგრგვინა,
მშვილდს დასტაცა ხელი,
ჯავარდენი ხელთ აიღო
ალმასივით მჭრელი.

და, შეჭრილი რაზმის შუა,
მტრის პირისპირ მდგარი,
მდიდარს ჩეხდა, არ ინდობდა,
იცოდებდა ლარიბს.

და მშვილდოსნებს, შუბიანებს
ყველგან, სადაც შეხვდა—
ხმალით კვეთდა დაუნდობლად,
ულმობელად ჩეხდა.

ხონგრამ უკან მოიხედა,
ნახა—დიდი ჯარით
ბოგდო-ჯანგარის სასახლისკენ
მტერი მიიჩქარის.

თითონ წინწინ გაეშურა,
სწრაფად გზა შეუკრა
და ჯანგარის სასხლიდან
დააბრუნა უკან.

ახლა მხოლოდ ხონგრას გულსა
ერთი დარდი ზარავს:
— სასახლე რომ უკან დარჩა,
მას ვინ დაიფარავს!

ან ვით შავი ჯოჯოხეთის
ეშმაკების ფრთები—
შენ რა გიყო, გიურგიუ,
წინ რო მელოდები?

და მეშვიდე დედამიწის
ვაკეზე თუ სერზე—
ვიდრემდის მე ჩავიდლოდე
მლეღვარე ზღვის ფსკერზე—

დაგეწევი, გიურგიუ,
ვერ წამიხეალ შორსა,
დაგეცემი, გადაგიტეხ
მაგ შეწამულ დროშას.

ხმალს მოგიქნევ მაგ კეფაზე,
ვით მოპირულ ცელსა,
და სამოსის ნაოქებში
უცებ გტაცებ ხელსა.

უზანგიდან ფეხს გამოგხსნი
გადმოგისვრი ქვევით
და, მიწაზე დანარცხებულს,
წამოგიყვან თრევით.

შიაძახა ბუმბერაზმა
და იმავე წამში
გაექანა და შეიქრა
გიურგიუს რაზმში.

აკუწა და გადააგდო
მან ალამი მისი,
დამარცხებულ მტერს დამართა
საქმე საძრახისი.

და სამოცდამეორეჯერ
მას კეთაში დაჰკრა,
ტანსაცმელის ნაოჭებში
ხელი სტაცა მაგრად,

მაგრამ უკვე გვიან იყო,
ანთებული ბრაზით
თითონ ხონგრას დაესია
შულმუსების დასი.

რვაათასი შუბის წვერი,
ცალი გვერდის მხარეს,
ვით ისრები აღმასისა,
ხონგრას გაუყარეს.

შემდეგ ხონგრას მეორე მხრით
მოუარეს თავი
და მეორე გვერდს დაასვეს
რვაათასი კავი.

ექვს ათასჯერ მოუქნიეს
უზარმაზარ ძალით
და კეთაზე დაჰკრეს მაგრად
გალესილი ხმალი.

ხონგრას მაინც არ ეშვება
სისხლის-მსმელი მტერი,
და სამოცდათორმეტ შუბის
ბუცელს დაჰკრეს წვერი.

უცბად ხონგრა კრილობისგან
დაბარბაცდა, შეკრთა,
ვერ მოასწრო დიდი ბოგდოს
სახელი რომ ეთქვა.

— სირცხვილია ხონგრასათვის,
იგი თავის დღეში
მტრის ჯარებს ტყვედ არასოდეს
ჩავარდნია ხელში.—

ეს წარმოსთქვა, დაღონებით
გადახედა ველსა,
თან მათრახი გამწარებით
მოუქნია ცხენსა.

ელვასავით ადგილს მოსწყდა
და გაჰქანდა რაში,
სწრაფად შუბი, კავი, ხმალი
დაიფანტა ქარში.

ტრამალებზე გმირი ხონგრა
გაეშურა ქროლვით,
ქრილობებით, ტკივილებით
მწარედ შენაერეოლი.

მაგრამ ახლა ვის ახსოვდა
ქრილობები მწარე,
როცა ხონგრას შულმუსებთან
ომი ჰქონდა ცხარე!

გაექანა მტრებისაკენ
ზრიალით და ზარით,
შეშინებულ მტრის ბანაკში
შუა გაჰყო ჯარი,

ცხრა ათასი მეომარი
მაღალი მთის ძირას—
მიარეკა, მიაშწყვდია
ერთ მდინარის პირას.

მიმოავლო შემდეგ თვალი
ათასწლოვან ხეთა
და იმგვარად გაიცინა—
მთები დააფეთა!

— მივხვდი რაშიც არის საქმე,
მე ეს კარგად ვცანი—
უქკუოა, საცოდავი,
შულმუსების ხანი.

აღბათ, იმან სიბრიყვითა
თავი გაიმეტა,
ოცდახუთმეტ ჩემს ბუმბერაზს
რალას უზამს ნეტა?

კვლავ გონება დაუბნელდა,
დაბარბაცდა ირგვლივ '
და მიწაზე უცაბედად
გაიშხლართა იგი.

ამ ღროს, თითქოს ცოფიანი
ძალლი ავის ღრენით,
საზიზლარი გიურგიუ
თავს წაადგა ცხენით.

წამოაელო ხელი უცებ
კაცის სიმსხო ფოლადს
და მით იგი მიაქედა
ძველ ყირგიზულ ფორანს.

რა რეაათას შულმუს მისცა,
ხონგრა ბრაზით საესე,
მოიხმო და შულმუსები
დაარიგა ასე:

— დაიხსომეთ, რეაათასჯერ
შემოჰკარით ლახტი,
რეაათასჯერ გახვრიტეთო
გახურებულ შანთით.

ხონგრასათვის ბევრად სჯობდა
შავი მიწის მღვიმე,
ვიდრე ასე გაწამება,
სატანჯველი მძიმე.

გიურგიუმ ბრძანა შემდეგ
და წამოდგა ფეხზე
— შვიდი მიწის ქვეშ ჩააგდეთ
მღელვარე მზის ფსკერზე.

შვიდ ათეულ წელს უკლებლად
უდარაჯეთ გზაში,
რომ ზევით ვერ ამოვიდეს,
მუდამ იყოს ზღვაში.

წამოავლეს ხონგრას ხელი
და შეისვეს მხრებზე --
ჩაიყვანეს, მიატოვეს
უძირო ზღვის ფსკერზე.

თავს დაეცნენ, მოაოხრეს
ძველი ბუმბის მხარე,
განთქმულსა და ბედნიერ ხალხს
დრო დაუდგა მწარე.

შულმუსების ვერაგობით
მხარე დაიჩაგრა --
მარტო ერთი გზა-და შერჩა
დამარცხებულ ჯანგარს.

დაცემა და აოხრება
მტერმა არ იკმარა,
გაიტაცეს ცხენთა რემა,
რჩეული ცხვრის ფარა.

არ ინდობდნენ აღარც ობოლს,
სნეულს, მომაკვდავსა,
ლეკვი რაა, ძაღლის ლეკვიც
არ დატოვეს არსად.

ჯანგარ-ბოგდოს ცოლთან ერთად
რჩეულ ქალთა წყება
გაიტაცეს, ვით ფოთოლი
ქარიშხალის ფრთებმა.

მთა მალალი, გამკვირვალე,
თეთრი ვარდისფერი,
იდგა, თითქოს ჯილა მოხსნეს
და წააქრეს წვერი.

ყველაფერი გაცამტვერდა,
ყოველივე გაჰქრა,—
სახელოვან ძველი ბუმბის
ოკეანეც დაშრა.

დაიტაცეს ზღვა ქონება,
მონაგარი ჯაფით,
ჯანგარ-ბოგდოს ამაყ სახელს
გადაასხეს ლაფი.

და მრისხანე გიურგიუ
თავმომწონედ გზაზე
მიდიოდა, თან ბრძანებდა
სიამაყით სავსე:

— დაასახლეთ შულმუსები,
სად ვაკეა სწორი,
ვაციწვერას ფუსურებზე,
შხამიან ზღვებს შორის.

როს ჯანგარმა მიატოვა
ბუმბის მხარე ძველი,
იქ ჰყვავოდა სურნელოვან
ყვავილების ველი.

ხეტიალში მან შემოვლო მთა,
ნაპირი ზღვისა,
მაგრამ მაინც გულს დასახულს,
ვერ აღწევდა მიზანს.

დღე და ღამე კოლბოხებზე
სიარულით, რბენით,
ცარიელი ტყავი დარჩა,
ისე გახდა ცხენი.

ჯანგარ-ბოგდომ დაივიწყა
ხონგრა აღისფერი,
თავის ბუმბა საყვარელი,
მხარე მშვენიერი.

ამ დროს, ცხადად თუ სიზმარში
ბნელი უკუნეთით
დაინახა მან ყვითელი
სანდლის კოშკი ერთი.

კოშკის სანდლის ფანჯარასთან
ის მივიდა წყნარად,
ხედავს, ლამაზ ქალის სახეს
მთვარის შუქი ფარავს.

და მის სახის თვითეული
ნაკვთი მოელვარე—
თითონ ელავს და ანათებს,
როგორც ბადრი მთვარე.

როცა ქალი ბნელ ღამეში
მარჯვნივ ხელებს გაშლის,
მის მარჯვენა ღაწვის შუქზე
სანდლის ხეებს დათვლი.

ხოლო, როცა მარცხნისაკენ
მობრუნდება ქალი,
მარცხენა მხრის სანდლის ხეებს
კარგად ხედავს თვალი.

ოქროს კოშკში ზის მწყაზარი,
მომღიმარი ეშხით,
აბრეშუმის უცხო მანდილს
ათამაშებს ხელში:

ასე ტურფა არ უხილავს
ჯერ ქაბუკის თვალთა,
ჯანგარ-ბოგდო წითელ ფანჯრით
შეიპარა ქალთან.

მივიდა და უცხო ქალი
როცა ადგა ფეხზე
მსწრაფლ უბეში ჩაისვა და
თითონ შეგდა ცხენზე.

არანზალამ წინ გასწია
სიხარულით, ლხენით,
უცნობი გზით უდაბნოებს
გადუქროლა რბენით.

მიჰქრის ჯანგარ და ცას წვედება
სიხარული მისი.
რამდენი დღე მან იარა,
ეს არავენ იცის.

გრიგალივით გადალახა
მან ქედები მთათა,
მივიდა და ბოლოს დადგა
ერთ ბრინჯაოს ზღვასთან.

ზღვის ნაპირას სადაც იდგა
ჩრდილი ხშირი ტყისა,
საცხოვრებლად აიშენა
კოშკი თეთრი ქვისა.

დაივიწყეს გასაქირი
და დღეები კრული
და გამტკიცდა კოლქმართ შორის
მეგობრობა სრული.

დრო მირბოდა შეუმჩნევლად,
დღე დღეს სდევდა ქროლით,
და ნოინის მომხიბლავი
დაორსულდა ცოლი.

ეურაობდნენ ნეტარების
და ალერსის ზღვაში,
მეათე თვის დასაწყისში
შეეძინათ ვაჟი.

დაბადების დროს ბავშვს დაჰყვა
ქიპი ფოლადისა.
მოსაქრელად გადაუსვეს
პირი ბასრი ხმლისა.

ხმაღს სახელად უწოდებდნენ
აღთქმა მიცემულსა,
ახალგაზრდა მშობლებს ბავშვი
უხარებდა გულსა.

მესამე დღეს უცნაური
ბავშვი აღგა ზეზე,
სანადიროდ გამოეწყო,
შეჯდა ქერა ცხენზე.

მორეკავდა ხშირად სახლში
კურდღლებს, ირმის ჯოგებს,
ნადირობით ინახავდა
იგი თავის მშობლებს.

მშობლები თავს ევლებოდნენ,
რაც შესწევდათ ძალი,
და უწოდეს მას შოვჭური —
კლდე არისო სალი.

ერთხელ, როცა სანადიროდ
გადალაბა სერი,
გადიხედა აღმოსავლით,
შეამჩნია მტკერი,

შორით კარგად გაარჩია:
მტკერი იყო რაშის
და იმ მხარეს ქერა ცხენით
გაემგზავრა ვაჟი.

როცა ახლოს მიიღბინა,
გასცდა მინდორ-ველსა,
იქ, ტახტაზე გამობმულებს,
ხედავს თორმეტ ცხენსა,

იყო ერთი ბედაური
წაბლა, ფაფარფართე,
და იმ რაშის ოთხი ფლოქვი
ჰგავდა სპილოს თათებს.

— „ეს უთუოდ მეთაურის
უნდა იყოს რაში!“—
გაოცებით თავის გულში
ჩუმად ფიქრობს ვაჟი.

გზის ნაპირას, სადაც მოლზე
ბალახია ხშირი,
წაბლა ცხენის ფართე ჩრდილში
ზის ჩვიდმეტი გმირი.

მჭათაურად მათ ჰყავთ გუმბა,
ვაჟკაცობით სავსე,
— ეს იგია! ვაჟმაც გულში
გაიფიქრა ასე,

გუმბა-ხანი მოტრიალდა,
ვაჟს დაუწყო ცქერა,
დააკვირდა კარგად, იცნო
არანზალა ქერა.

— ეს ვინა ზის არანზალზე,
სახით შუქის მფენი,
ნეტავ როგორ მოვახერხო
ჩამოვაგლო ცხენით?

ვუცქერი და, რასაც ვხედავ,
თითქოს არა მჯერა,
სად და როგორ დაუპყრია
არანზალა ქერა!

დიდ ნოინის ჯანგრის ძვლები
ნეტა სად დაჰფანტა?—
გაიფიქრა მან თავისთვის
და მივიდა ყრმასთან.

— რომელ ქვეყნით ხარ მოსული,
სად იყავი, ვინ ხარ?
ან ვინ იყო შენი მამა? —
გუმბამ წყნარად ჰკითხა.

—საიდან ვარ,—რომელ ქვეყნით—
ეს მე როდი ვიცი,
არც ის ვიცი, სწორეთ გითხრათ,
თუ შეილი ვარ ვიპი.

უდაბნოში ვცხოვრობთ სამი:
მე, დედა და მამა,—
მეთაურის შეკითხვაზე
უპასუხა ყრმამა.

შემდეგ ვაჟი შეეკითხა:
—ახლა შენაც მითხარ:
რამ დალალა ეს ცხენები,
საიდან ხართ, ვინ ხართ?

—ჩვენ, ყმაწვილო, შორიდან ვართ—
უპასუხა გუმბამ,
ზანდან-ხანის მხედრები ვართ—
ტყუილი თქვა უცებ.

ჩვენ ვიყავით აღმოსავლით,
დიდხანს დაერჩით გზაში,
სამ ხანს ხარკი გამოვართვით,
ახლა მივალთ სახლში.

ბოლოს უთხრა: აჰა, შეილო,
წაიყვანე ცხენი,
და მამაშენს ჩემი რაში
მიართვი ვით ძღვენი.

გამოართვა ბავშვმა ცხენი
და დაბრუნდა შინა,
დაბრუნებულს შოვშურს მამა
მიეგება წინა.

მიაძახა:—რას ხედავსო
ჩემი თვალი აჰას,
აი როგორ არცხვენს ხშირად
კუდი შეილი მამას!

საშთაბაროდ განა, შვილო,
გაგაგზავნე მისთვის,
უპატრონოდ დარჩენილი
დაგეჰირა კვიცი?

თან შოფშურის ჯუბას უცებ
მამამ ხელი სტაცა,
და მიწაზე გულმოსულად
ოცდაათჯერ დასცა.

შვილმა მამას გაბრაზებულს
სიტყუაც კი არ ჰკადრა,
შოფშურს ახლა თავის მამის
ისე მოეხატრა.

დავარდნოდა, თურმე, ძირსა
მუზარადი რეალის,
აილო და მუზარადით
ცხენს შეასვა წყალი,

გამოაბა იქვე ცხენი,
თივა დაუყარა,
გამობრუნდა თვითონ უკან,
დაიძინა წყნარად.

დილით ისევ სანადიროდ
გადალახა სერი,
გაიხედა აღმოსავლით
შეამჩნია შტვერი.

შორით კარგად გაარჩია
მტვერი იყო რაშის
და იმ მხარეს ქერა ცხენით
გაემგზავრა ვაჟი.

როცა ახლოს მიირბინა,
გასცდა მინდორ-ველსა,
იქ, ტახტაზე გამომბულღებს,
ხედავს ჩვიდმეტ ცხენსა.

და მათ შორის გარეგნობით
ჩალისფერი, ცქაფი—
ირჩეოდა ერთი ცხენი,
ნიავევით სწრაფი.

„ეს უთუოდ მეთაურის
უნდა იყოს რაში!“
უყურებს და გაოცებით
ჩუმად ფიქრობს ვაჟი.

და მახლობლად ველზე იქვე,
სად მოლია ხშირი,
ჩალისფერი რაშის ჩრდილში
ზის ჩვიდმეტი გმირი.

ცეჯი, მათი წინამძღოლი,
მეთაური ბრძენი,
ვერ მიუხვდა ბავშვს ვინ იყო,
ხელად იცნო ცხენი.

ბავშვს უცქერის გაოცებით,
თითქოს არა სჯერა,
სად და როგორ დაუპყრია
არანზალა ქერა?

დიდ ნოინის ჯანგრის ძელები
ნეტა სად დაჰტანტა?—
გაიფიქრა მან თავისთვის
და მივიდა ყრმასთას.

—რომელ ქვეყნით ხარ მოსული,
საიდან ხარ, ვინ ხარ?
ან ვინ იყო შენი მამა?—
წყნარად შეეკითხა.

—საიდან ვარ, რომელ ქვეყნით,
ეს მე როდი ვიცი,
არც ის ვიცი, სწორედ გითხრათ,
თუ შეილი ვარ ვისი.

უდაბნოში სამნი ვცხოვრობთ:
მე, დედა და მამა,—
ბრძენი ცეჯის შეკითხვაზე
უპასუხა ყრმამა.

მოხუცმა სთქვა:—აი, შეილო,
ჩემი მტრისგან ნხსნელი,—
წაიღე და მამას მიეც
ეს ისარი გრძელი.

ამ რეხვედრით კმაყოფილი
მეტად დარჩა ბავშვი,
გამოართვა მას ისარი
და დაბრუნდა სახლში.

ჯანგარ-ბოგდო მიეგება
დაბრუნებულ შეილსა,
შეილი მამას მოეხვია
და ისარი მისცა.

შემდეგ ჯანგარ მოტრიალდა,
ძირს დახარა თავი,
გულს ზეავივით შემოაწვა
მწუხარება შავი.

უცბად იცნო: ვისიც იყო,
რა დახედა ისარს,
გაახსენდა თავის მიწა,
ბუმბი—მხარე მზისა,

გაახსენდა ბუმბის ლურჯი
ოკეანის პირი,
თავის ხონგრა გაახსენდა,
საყვარელი გმირი.

ჩამამ ისევ ჰკითხა შოვშურს:
ვინ შეგხვდაო გზაში,
შენ რომ გუშინ მოიყვანე
ვინ მოგცა ის რაში?

— ერთხელ, როცა სანადიროდ
გადავლაზე სერი,
აღმოსავლით გავიხედე,
შევამჩნიე მტვერი.

დავაკვირდი - გზას მხედარი
მოაპობდა ფრენით
და ის მტვერიც, კარგად მივხვდი,
მტვერი იყო ცხენის.

როცა ახლოს მივირბინე,
გავცდი მიდორ-ველსა,
იქ, ტახტაზე გამომბულებს,
ვხედავ ჩვიდმეტ ცხენსა.

კარგად ვამჩნევ იმ ადგილას
მოლი არის ხშირი,
და ჩვიდმეტი ცხენის ჩრდილში
ზის ჩვიდმეტი გმირი.

იყო ერთი ბედაური,
წაბლა ფაფარფართე.
და იმისი ოთხი ფლოქვი
ჰგავდა სპილოს თათებს...

მაღალია და მ იწაზ
ჩანს ლომივით მდგარი,
ვთქვი: „უთუოდ ეს მერანი
მეთაურის არის!“

ცოტა ზემოთ კაცი იჯდა,
თვარესავით მნათი,
რა შევხედე ეს, ვიფიქრე,
უფროსია მაჟი.

ვთქვი ჩემს გულში: „არ ეტყობა
იგი მფლობელს ჰგავდეს,
პირიქით, მას მბრძანებელი
თვითონ უნდა ჰყავდეს,

მაგრამ თუკი მბრძანებელი
მას აუტეხს დავას,
იგი მასთან დათმობაზე
არასოდეს წავა“.

— შენ ხარ, შვილო, მამა შენის
ციხე, რკინის ბურჯი,
მიპასუხე, თუ ვინ მოგცა
შენ ისარი ლურჯი?

— აღმოსავლით სანადიროდ
გადავლაზე სერი,
გავიხედე, შევამჩნიე,
გზაზე დაღვა მტვერი.

როცა ახლოს მივირბინე,
გავცდი მინდორ-ველსა,
იქ, ტახტაზე გამობძულებს,
ვხედავ ჩვიდმეტ ცხენსა.

და მათ შორის გარეგნობით
ჩალისფერი, ცქაფი—
ირჩეოდა ერთი ცხენი,
ნიავევით სწრაფი.

მაღალია და მიწაზე
ჩანს ლომივით მდგარი,
ვთქვი: „უთუოდ ეს მერანი
მეთაურის არის!“

ჩალისფერ ცხენს ფაფარი აქვს,
როგორც ფრთები ვრცელი
და სასირცხვო ადგილს ფარავს
ფარჩის კული გრძელი.

იგი დაჰქრის, როგორც ქარი,
მკერდით აპობს ტალღას,
მას ბარძაყზე აქვს ნიშანი—
ოქროსფერი დამლა.

გადალახე თუნდ ამ ცხენით
მალალი მთის ქედი—
ტანზე მას არ გამოუვა
ოფლი ერთი წვეთი.

გადასცურავს ოკეანეს,
მას სირბილი არ ღლის,
ერთ ნაბიჯად არ ჩაავდებს
უზარმაზარ მანძილს.

მას პატრონად ჰყავს მოხუცი,
ვინც გასწირავს თავსა
და მბრძანებელს თვის უფლებას
არ დაუთმობს არსად.—

ჯანგარ-ხანმა ამ სიტყვებზე
ბავშვს მიუგო მაშინ:
— ეგ ხომ ჩემი დევ-გმირები
შეგხვედრია გზაში.

ფელობდი: ბუმბის ოკეანეს,
მინდორ-ველებს, ტრამალს,
სახნავე-სათიბს, ჭალარა მთას,
ცხენის ჯოგებს მრავალს.

სამოცდაათ ხანის ვიყავ
მე მფელობელი უხვი,—
მქონდა ყოფა ბედნიერი
და არ ვგრძნობდი წუხილს.

შვიდი ციხის და შვიდ მიწის
მე ოცნება ვიყავ.
ჩემს სახელს და ჩემს დიდებას
ბედი ვერ გარიყავს.

მე ბუმბერაზ ვაჟკაცების
გვარი მყავდა მშობლად,
ბუმბის ქვეყნის ნაშიერი
დავრჩი მარტო, ობლად.

ცის მნათობთა ვარ მემკვიდრე,
მზის და მთვარის წილი.
გერგენ-თორთის ვარ ძმისწული,
უზუნგ-ხანის შვილი.

ყველა გრძნობდა ჩემს სიმტკიცეს
და ურყევულ ძალსა,
ვბრძანებლობდი ასე ქვეყნად,
მტერს ვუვსებდი თვალსა.

არაფერი მე არ მაკლდა,
ბედს ვეწიე ამგვარს,
დღიად ნოინს მეძახოდნენ,
სახელოვან ჯანგარს.

მაგრამ მაკლდა, მაწუხებდა
რომ არ მყავდა შვილი.
ამიტომაც მიგატოვე
ბუმბი ვარდათ შლილი.

ძე არ მყავდა ბუმბის მფლობელს
ეს მტანჯავდა მხოლოდ,
და შენც აპა, შეგიძინე,
გავიხარე ბოლოს.

შენ გეძებდი, ბევრჯერ დავთმე
სიხარული, ლხენა,
ჩრდილოეთის ბუმბის ნაცვლად
მოგიპოვე შენა.

ხარ სიმტკიცე მამაშენის
და ნუგეში მარად,—
უთხრა მამამ და შოვშური
გულს ჩაიკრა მაგრად.

შენ გიპოვე, თუმც მრავალი
ვნახე გასაჭირი,
ჩემი ხონგრა ნე დავკარგე,
საყვარელი გმირი.

ბავშვმა ჰკადრა: იზრდებოდით,
ობლობაში, მწირად,
ხონგრა გმირი ვინლა იყო,
რომ ახსენებთ ხშირად?

ჩემო ბავშვო, თუ ვერ გხედავ,
ჩემთვის მუდამ ბნელა,
რაც ღირსება ხონგრას ჰქონდა,
ვერ ჩამოვთვლი ყველას.

როცა ვიყავ მე ღარიბად,
ის მსახურად მყავდა,
და ობლობით შეწუხებულ
გულში იმედს რგავდა,

ის იცავდა თავგანწირვით
ჩემს მშობლიურ მხარეს,
ის ალერსი ჩემი იყო,
ჩემი რისხვაც მწარე.

ვისაც სასჯელს მივუსჯიდი.
ის იჭერდა უმაღ,
ერთის დაკვრით გააქრობდა
ჩემს მოძულეს, დუშმანს.—

ჯანგარს ვერც კი დაეთავა
გმირი ხონგრას ქება,
აჭიხვინდა ამ დროს გარეთ
არანზალა ქერა.

— თუ შენ, ვაჟკაცს, დაგავიწყდა
შენი ბუმბი ვრცელი,
მე, ცხენს, პირუტყვს, მომენატრა
მშობლიური ველი.—

ჯანგარმა ეს გაიგონა,
გამოვარდა კარში,
უნაგირსა ხელი სტაცა
და შეკაზმა რაში.

შოგშურს უხმო, მშობლი ურად
დაულოცა ბედი.
თანაც უთხრა.:—ხედავ, შეილო,
იქ რომ მოსჩანს ქედი?
იგი უენი დედულია,
ქონებაა დედის.

იმ მთის ქედზე აიყვანე
დედა შინჯინ-ხანთან,
აიყვანე და დასტოვე
თავის ნათესავთან.

მამისაგან ვაჟიშვილი
მისთვის იბადება,
რომ სამშობლოს გულისათვის
მართებს თავდადება.

შვილის ყოლა მშობლების გულს
შეგებით მაშინ ათბობს,
როს ხალხისთვის ის სიცოცხლეს
გასწირავს და დათმობს.

დედას, როგორც კი მიიყვან,
დაიხსომე კარგად,
იმ წუთშივე ბუმბისაკენ
გამობრუნდი სწრაფად. —

სთქვა ნოინმა, არანზალა
მოაბრუნა უცბად.
გადასწყვიტა რომ სასწრაფოდ
მიაშუროს ბუმბას.

ქერა ცხენიც, ამდენხანს რომ
უქმად იყო მდგარი—
თითქოს ახლა შეგება იგრძნო,
გაჰქანდა ვით ქარი.

გადიქროლა მან მრავალი
ოკეანე, ზღვები,

თვალთუწვდენი ტრამალები,
თოვლიანი მთები,

ისე ჰქროდა, რომ არ ჩანდა
ნატერფალი მისი.
თუ რამდენი დღე იარა,
ეს არავეინ იცის.

მიჰქროდა და გულზე შვების
ედებოდა ალი,
აი, შორით დაინახა
მან ირტიშის წყალი

და შიკირლას დაჰყვა დაბლა,
ნახა მწვანე მოლი,
იმ ადგილას, სადაც წინათ
კოშკი იდგა ბროლის,

სადაც სანდლის კოშკი იყო
კრიალა და ჰვირი,
იქ ლენცოფა ირხეოდა
ყვითელი და ხშირი,

ობოლიც არ დარჩენილა,
იღვა ბნელი ღამე,
ძალის ლეკვიც კი არ ჩანდა,
არც ისმოდა რამე.

ჯანგარმა სახლს მიაშურა,
თავის კერას ძველსა,
ეგონა, თუ მას ნახავდა
ჟუნებელს და მრთელსა.

(თარგმნა ვასო გორგაძემ)

მაგრამ როცა შინ დაბრუნდა,
ნახა ბუმბის მხარე,
მოულოდნელ მწუხარებით
ღვარა ცრემლი ცხარე.

ერთ დროს ტურფა დიდი ბუმბი
გავდა მინდორს ვერანს,
და ჯანგარმა უსასოთ
უთხრა თავის შერანს:

— მახსოვს ვიყავ მშობელ ქვეყნის
ბედნიერი ხანი,
მახსოვს დიდი, ფართო იყო
ბუმბის სიგრძე, განი.

მახსოვს ხალხი აქ ცხოვრობდა
ძმურად შენაერთი,
ნუ თუ ისე გაწყდა ყველა,
ალარ დარჩა ერთიც.

არა მჯერა, უნდა ვძებნოთ,
იქნებ ვინმე ვნახოთ,
გვითხრას—მთელი ბუმბის მიწა
რამ აქცია ახოთ. —

და ჯანგარი გაემართა
თავის რაშით ნელა.
ცაზე მზეა. მზე ანათებს,
მაგრამ ირგვლივ ბნელა.

სიჩუმეა, არსად ისმის
სადმე ძალის ყეფაც.
სიჩუმეა, არვინ უძღვნის
დიად ჯანგარს ქებას.

დაინახა ბოლოს სადღაც
ბოლავს საკომური. !
ხანმა სწრაფად მიაშურა
ლეღით ნახურ გომურს.

მისვლისთახავე დაიძახა:
ვინ ხართ სულიერი?
გომურიდან გამოვიდა
კაცი წყნარ იერით.

თქვა: ჯანგარი თუ დაბრუნდა
და მომადგა კარზე?
არანზალა თუ მოვიდა
უსწრაფესი ქარზე?

— ბერიკაცო, რა შეემთხვა
ჩვენს ქვეყანას დიადს,
რომ მზის ნაცვლად ყოველივე
დაუთარავს წყვილიადს?

— ვერ გამოსტქვამს კაცი ენით,
რაც დაგვატყდა მეხათ,
შულმუსთ მეფეს, გიურგიუს,
გაასწარი ფეხათ.

როგორც წახველ, თავს დაგვესხა
ჩრდილთა ფალავეანი,
დაანგრია ბუმბის ირგვლივ
ყველა გალავანი.

შემდეგ ჯარი მოგვისია
უმრავლესი თმაზე
და შეძრწუნდა მთელი ხალხი
გიურგიუს ხმაზე.

ააოხრა სრულად ბუმბი,
ტყვედ წაასხა ყველა,
ხოლო ხონგრა, შენი გმირი,
მეომარი ველად

დაიჭირა და ჩააგდო
ქვესკნელს როგორც ლოდი,
ასე მოხდა. შენს ნახვასაც
ალარ მოველოდი,

აგერ ხედავ, ამ გვირაბით,
გეუბნები მართალს,
წაიყვანეს და ქვესკნელი
მისცეს ბინათ სარდალს.



— ო, მოხუცო, შემინახე
ეს შუბი და ცხენი,
მინდა ხონგრა ვნახო ქვესკნელს
— თქვა ჯანგარამ წყენით. —

და ოქროსი ყავარჯნები
მოიმარჯვა მყისვე,
ვიწრო გზაზე ცალ ყავარჯენს
ეყრდნობოდა მქისედ,

ფართე გზაზე კვლავ ორივეს
იმარჯვებდა იგი
და ჩავიდა ასე ქვესკნელს,
ფრთხილად, თავდარიგით.

როს გავიდა დღედაღამე
ერთი, ორი, სამი
ყრმა შოგშურმა ინახულა
სამფლობელო მამის.

ირგვლივ იყო მყუდროება,
მოწყენა და დარდი,
არვინ ჩანდა სულიერი,
არც ყვაოდა ვარდი.

გამქრალიყო ყველაფერი
სიამე და ლხენა,
არ იძვროდა არსად მხეცის
და არც კაცის ენა.

დიდხანს ვლიდა მარტოდ-მარტო
ველურ ბალახთ შორის,
ბოლოს ბასრ შუბს ერთ ქობის წინ
თვალი მოჰკრა შორით.

ქობთან იდგა შეკაზმული
არანზალა ქერა.

მოემატა სიხარულით
ყმაწვილს გულის ძგერა.

მივიდა და ცხენზე შეჯდა,
თანაც მოყვა ძახილს:
— ცხენი მიმყავს, ვინმემ ტყვილა
არ მიმართოს მახვილს.

ამ დროს ყმაწვილს შემოესმა
მოხუცის ხმა ნელი:
— ვერ გაგატან მაგ ცხენს, ბავშვო,
საქმე არი ძნელი.

ცხენის პატრონს დაუცადე,
ნუ წაიყვან ძალით.
სამათ-სამი წლის შოვშური
მოხუცს ეტყვის კრძალვით:

— რომ ამ ცხენის წაყვანა მსურს
ამისთვის ნუ მძრახავ.
თორმეტი წლის წინათ წასულ
ობობას კვალს ვნახავ,

თოთხმეტი წლის წინათ წასულ
ბუზანკალის გზითა
ვივლი, ვიდრე არ ვიხილავ
განათებულს იზითა

ჩვენს ქვეყანას, აოხრებულს,
მტრებისაგან ნათელს,
მსურს მივდიო აყრილ ბუმბის
ხალხთა ჩამქრალ ნათელს.

— ჩანს, დიდებულ გმირი მამის
ხარ ღირსების მქონე,
ჩანს მამულის დასახსნელად
არ დაზოგავ ღონეს.

წადი, შვილო, ხოცე მტერი,
ფესვიანად თხარე.
დაუბრუნდი გამარჯვებით,
ტანჯულ მშობელ მხარეს,

აგისრულდეს მალე ნატვრა,
არ მენახო წყენით.—
თქვა მოხუცმა და ყრმა შოგშურს
გაატანა ცხენი.

არანზალა მიწას ეკვრის,
ისე სწრაფად მიქრის
და გავიდა, სადაც შვიდი
გზა თავს ერთად იყრის.

შულმუსებმა ტყვედ წაასხეს
ამ გზით ბუმბის ხალხი.
ქვეყანა კი ააოხრეს,
დარჩა მხოლოდ თალხი.

არანზალამ წლის სავალი
გაირბინა თვეში,
*თვის მანძილი ერთ დღეს განვლო
ცხელი ოფლის თქემით;

მდინარეებს ახტებოდა,
თითქოს ესხა ფრთები.
მან ჩიტვიით გადალახა
უმაღლესი მთებიც.

და ჯანგარის ქვეშემრდომებს
ის ეწვია უცებ,
მოხატული ფართე მკერდი
ტალღასავით უცემს.

ბუმბის ხალხმა სხვის მიწაზე
მონატრულმა შველას,
იცნო ცხენი, მაგრამ ბავშვი
ეუცხოვა ყველას.

— მონობაში მხოლოდ ერთი
გულს იმედი გვედვა,
რომ ჯანგარი მოვა, გვიხსნის,
დაგვიბრუნებს ხედვას.

კვლავ ვიცხოვრებთ თავისუფლათ,
ვით ვცხოვრობდით წინათ,
კვლავ გვექნება ჩვენი ქვეყნის,
ბუმბის მიწა ბინათ.

მაგრამ გაქრა ეს ოცნებაც,
ამ დღეს ნულარ ველით,
ჩანს ეს ბავშვი უნდა იყოს.
გმირ ჯანგარის მკვლელი,

დაეუფლა მის ცხენს, ფეხმალს,
არანზალას ქერას.
ვაი, აწი ვინ გვადირსებს
მშობელ ქვეყნის ცქერას.—

ასე წუხდენ ბუმბულები,
თან იცემდენ თავში.
— ვისი არის ეს ქვეყანა?
შეეკითხა ბავშვი.

— ჩვენ გვიცავდა დიდ ჯანგარის
ოქროს შუბი ძველად,
ახლა გულქვა გიურგიუს
ვართ მონები ყველა.

— თქვით, შორს არი სადაც ცხოვრობს
გიურგიუ-ხანი?
— უნდა სამი თვე აქედან,
ცოტა მეტი ხანი.—

მსწრაფლ შოვშურმა მიაშურა
გიურგიუს სამყოფს,
წინ მქროლელი ხედავს გრძელ გზას
მტვერის ქულა ამკობს.

უცხო ბავშვით შავი ცხენი
ვით ყორანი მოჭრის.
მყის შოვშური არანზალას
მოსწევს, მშვილდათ მოხრის.

და შესძახებს: გამიგონე,
— შესდეგ, ბავშვო, წუთით,
მწყურის შენთან მუსაიფი,
ჩანს არა ხარ ცუდი.

— მოკლეთ მოსკერ, რაც გსურს მითხრა —
ბავშვი შოვშურს ეტყვის
— არ მცალია, ცნობა მიმაქვს,
უსწრაფესი სეტყვის.

— ამიტომაც შეგაჩერე,
უცხომ უცხო გზაზე,
მსურს გავიგო ვინ ხარ, ძმაო,
რათ იჩქარი ასე!—

ბავშვმა უხმოდ ჯერ შეხედა
შოვშურის შუბს აწვდილს,
შემდეგ წყნარად უპასუხა
ლონით სავსე ყმაწვილს:

— მამაჩემი ბუმბელია,
მისი მიწის არის,
ტყვეობაში დაეყანგა
უქმად შუბ-ისარი.

დედაც ტყვეა და იგონებს
ხშირად ჩამჭრალ კერას,
ბავშვს პირველი სამოსელი
ცრემლით შემიკერა.

სხვის მიწაზე დავიბადე,
ამეხილა თვალი,
მაგრამ ბუმბის სიყვარულით
გულს შედება ალი.

შენც თუ გიყვარს ჩვენი ხალხის
სისხლი დანაკჳური
გეტყვი: ამბავს გასახარელს
მო, დამიგდე ყური;

თავს დაესხა გიჟრგიუს
გუშინ ოცდაათი
ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მიწის
გმირი გოლიათი.

და ებრძვიან უწმინდურ ხანს,
ჯავრს იყრიან კიდევც,
ეს ამბავი მოედება
მალე ყოველ კიდეს.

გადაეწყვიტე ბუმბელები
გავახარო ამით,
დაუბრუნდნენ მშობელ მიწას,
არ დაყოფდნენ წამით.

— ბავშვო, მითხარ, კიდევ მითხარ
მამცნე რამე კიდევ,
მო გაკოცო იმ ალაგას,
სადაც გული გიდევს.

— ოჲვი, შულმესებს როგორი აქვთ
ციხე, კოშკი, ღონე?—
კითხავს მთხრობელს კვლავ შოეშური,
სიზმრათ თავის მგონე.

— ბუმბის ირგვლივ ხონგრას მიერ
ერთ დროს შავი რვალი
მოვლებული გალავანით
მტკიცე, მიუვალი

გიურგიმ გაუკეთა ღობეთ
თავის ქალაქს,
მაგარია, ვერ შეანგრევ
ძალით ვერც ერთ ალაგს.

თუ შეანგრევ, იმის შიგნით
ქვის ციხეა მყარი,
ქვის ციხეში კიდევ მუხის
დიდი ციხე არი,

და შესამე ციხეთა დგას
ქაჯთა ჯარის ტევრი,
ვერ დაითვლი იმდენია
ქვიშასავით ბევრი.—

მოეხვია ბავშვს შოვშური,
თანაც უთხრა ტკბილათ:
— მე ჯანგარმა—ერთხელ, როცა
ყიყავ შენი კბილა

მითხრა—სადაც თეთრ ტავლოგას
აქვს სათავეს ხარო
იქ მოჩქევსო უთვალავი
მარგალიტის წყარო.

იქი წყარო შენი იყოს,
ხოლო როცა ბუმბში
დავბრუნდები, მეტს გაჩუქებ,
და გაკოცებ შუბლში.

ახლა წადი და შეკრიბე
ჩვენებური ყველა,
წაიყვანე, არ დატოვო
ერთი კაციც ველათ.

წაიყვანე სამშობლოში
დაუბრუნე კერას
დე ეღირსოს ხალხი კიდევ
თავის ქვეყნის ცქერას.

ამის შემდეგ მყის შოვშური
გატრიალდა ღელვით,
თან ჩასძახა ყურში მერანს:
გადასერე ელვით

ეს მთები და ეს ველები.
გადიქეცი ქარათ
გადალახე თვალუწვდენი
ზღვების სივრცე ჩქარა;

ხვალ შუადღემდე გიურგიუს
რომ ვაჩვენო ძალა,
თორემ დაგქრი მაგ შავ ფლოქვებს,
ჩემო არანზალა.

ცხენმა უთხრა: არ შეგარცხვენ,
აგისრულე სურვილს,
ხვალ შუადღემდე დაგანახვებ
ციხეს ნისლით ბურვილს.

ფრიალოებს გადვუქროლებ
მარგალიტის ქათათ,
ოკეანეს გავეველები
აბრეშუმის ძათათ.

უფსკრულებზე გადავივლი
ქარიშხალის ძალით,
ულრან ტყეებს მოვედები
როგორც ცეცხლის ალი.

ისეთ ხმაურს დავაყენებ
ჯანზარებდეს ცაცა,
რომ ჩაიცვას გიურგიუმ
ფარჩის ნაცვლად ძაძა.

რომ შულმუსთა მთელი ჯარი
ძირს დაეცეს შიშით,
და ისმოდეს ყოველ მხარეს
მათი კვნესა, ვიში.

ოლონდ—თუ ვერ შეუყენე
შენ შულმუსებს ძრწოლა,
ვერ დაღეწე მუხის ციხე,
ვერ შეძელი ბრძოლა,

თუ ქვის ციხეს ვერ დაანგრევ—
ხელში ლახტის მქონე,
ვერ დაამსხვრევ რვალის ღობეს,
არ გეყოფა ღონე,

ვერ დააქცევ გიურგიუს
ტახტს ოქროსგან ნაგებს
და ვერც დახევ ორმოც დროშას
შულმუსთაგან ნაქებს,

არ დაგინდობ, მთლად ჩაგინგრევ
ტორით მკერდის ფიცარს!
თქვა და ცხენი დაედარა
შორს გატყორცნილ ისარს.

ჰა, ჩანს ციხე, სადაც არი
გიურგიუს ჯარი,
არანზალა მიქრის მისკენ—
ისე როგორც ქარი.

უცებ შეკრთა და შეშფოთდა
ციხის შიგნით მტერი,
როცა იცნო მისგან ღრუბლათ
ადენილი მტვერი.

ციხის ძირას დგას ჯანგარის
გოლიათთა რაზმი,
საომრად და სათარეშოთ
უცხოთ მონაკაზმი.

გოლიათებს გაუხარდათ
არანზალას ნახვა,
მაგრამ მხედარს, ყმაწვილ შოვშურს,
გულში უწყეს ძრახვა:

— ვით გაბედა მან აქ მოსვლა,
თავხედია ალბათ.
თუ მტრის მიწა უცაბედათ
მისი სისხლით დალბა

რალა ვუთხრათ მაშინ ბოგდოს,
დიდ ჯანგარას ძლიერს,
როგორ შევხვდეთ იმის თვალებს,
მის მრისხანე იერს.

—სავარ!—უთხრა ცეჯიმ ერთ გმირს —
— წადი, თუ გინდ ძალათ
მოიყვანე აქ ჯანგარის
ცხენი არანხალა.

მოიყვანე აქ შოვშური,
ჩვენი ბოგდოს შვილი,
მტრის ციხესთან არ მივიდეს,
ჯერ ყრმაა და ჩვილი.

სავარ მყისვე რაშს მოახტა,
შოვშურს შეეგება,
გამოტაცა მსწრაფლ აღვირი,
თანაც უთხრა ქება.

ყრმამ მრისხანედ შეუძახა:
—ჩამოდექით გზიდან,
ვერა ხედავ, რომ ნათელი
თავს მადგია ციდან,

დღესვე უნდა ავასრულო
დადებული ფიცი,
გიურგიუს გაეუმართო
ომი, მხნე და ფიცხი.

ბოლოს ხვეწნით ის სავარმა
მიუყვანა გმირებს,
მისი თვალთა ელვარება
ყველას გააკვირვებს.

ოცდახუთმეტ გმირმა შოვშურს
ვერ უნახა კილი,
რიგრიგობით უწყეს კოცნა
და ალერსი ტკბილი.

გმირ ფალავენებს ეტყვის ბავშვი,
ისევ ცხენზე მჯდომი:
— რა დროს ხვეენა-ალერსია,
ახლა გემართებს ომი.

როცა მტარვალს დავამარცხებთ,
მოვსპობთ ტანჯვა-ჩივილს,
როცა ხალხი თავისუფლად
იცხოვრებს და ივლის,

მაშინ ყველამ ჩვენ ერთმანეთს
დავუკოცნოთ თვალი,
ჯერ კი საქმე, გოლიათნო,
მოგვიწოდებს ვალი.

გუმბა-ხანი შავ მერანით
გაქრა ვით ისარი
და დაღეწა მტრის მარცხენა
ჯარი როგორც შუშა,

მყისვე ცეჯიც თავის მერნით
გაქრა ვით ისარი
და დაღეწა მტრის მარჯვენა
ჯარი როგორც შუშა;

მყის შოვშურიც თავის რაშით
გაქრა ვით ისარი
და შეიქრა მტრის შუაგულში,
დაატეხა რისხვა.

ხოცვენ, კლავენ, მუსრს ავლებენ
გიურგიუს ურდოს,
ვინც გაღურჩა შოვშურის შუბს
ეძებს საფარს მყუდროს.

ქლეტენ მდიდრებს და იღვრება
მათი სისხლი ცხელი,
ხოლო ღარიბთ ფალავენებმა,
არც კი ახლეს ხელი.

ფალავნებმა ჩვრად აქციეს
მეორმოცე ღროშაც,
მათი ხმა მტერს, შეძრწუნებულს,
ტანში უვლის თოშად.

ფალავნებმა დღეს ორმოცჯერ
გამარჯვება ნახეს,
მტერი თვალსაც ვერ უსწორებს
მათ მრისხანე სახეს.

შოვშური, ვით ქარიშხალი
მოვარდნილი უცებ,
ქრის, გრიალებს, ნორჩი გულიც
გრიგალივით უცემს.

ზოგი მიწას დაახორცა,
ზოგს დაადვა ხუნდი,
ზოგიც ირგვლივ მიმოფანტა,
ვით გნოლების გუნდი.

ბოლოს შოვშურს ხმა ამოხდა,
დიდი, ნაოკარი,
ეცა ლახტით ქვათა ციხეს,
შეუნგრია კარი.

მზემ ყრმა შოვშურს სიხარული
დააფრქვია უბით,—
როგორც მეხმა, მუხის ციხეც,
დაამსხვრია შუბით.

აქ შემოხვდა შულმუსების
ფალავნების გუნდი,
მათნი თვალნი კიაფობდნენ,
როგორც იაგუნდი.

და გაგრძელდა ბრძოლა მკაცრი,
დიდხანს, სამი კვირით,
ყრმა შოვშურის გულადობით
დარჩნენ განაკვირი.

მუზარადი ვერ შეელოდა
შულმუსთა რაზმს აშლილს
და ცვიოდა ძირს თავები,
როგორც ხიდან ვაშლი.

გიურგიუ ჩაკეტილი
რკინის კოშკში იყო,
ოცდახუთმეტ გმირთან ბრძოლით
თავი ველარ იქო.

ალქაჯები მიუჩინა
მცველად კარის ურდულს,
ხანდახან თუ გახედავდა
გარეთ ბრძოლას ქურდულ.

ყრმა შოვშურმა გიურგიუს
კოშკს შესძახა მკვახედ:
— გარეთ გამო, თუ რა ხდება,
შენი თვალით ნახე.

ნეტავ რატომ დამალულხარ
როგორც ხერელში გველი.
შენ დაიპყარ ბუმბი მაშინ
როცა მამა ქველი

შინ არ იყო. სხვაგან იყო.
ტყვეთ წაასხი ხალხი,
ააოხრე მთელი მხარე
და ჩააცვი თალხი.

დაარბიე, წაიყვანე
ნახირი და ფარა.
არ იყავი დანაბადი
დაგხედომოდი ფარათ.

მხოლოდ ახლა, გიურგიუ,
მოველ ყრმა შოვშური
ხალხის ნაცვლად, მამის ნაცვლად,
რომ ვიძიო შური.

შენ შინ ზიხარ და ჩაიცვა
• ცოლის კაბა ლამის,
თუ კაცი ხარ, კაცი გქვია
და ღირსი ხარ ამის,

თუ გმირი ხარ, მართლა გმირი,
მეომარი ლალი,
გამომყევი ბრძოლის ველზე,
გიწვევ ვაჟკაცს ბალღი.

და თუ შენს ტახტს მამაცობით
გუნდრუკს ველარ უკმევ,
სჯობს იცოდე—ორი ციხე
ალარა გაქვს უკვე,

მესამესაც, სადაც ზიხარ,
დაგილეწავ მალე,
გსურს მანდ დამხედი, გინდა სხვაგან
წადი, დაიმალე.

შაინც გნახავ, ვერ გიშეელის
ეს ქვეყანა დიდი,
გნახავ, გვირგვინს ფერფლად გიქცევ
ათი თეთრი თითით.

სურდა შიგნით გადახტომა
ცხენით ყრმა ფალავანს,
მაგრამ ცხენი ვერ აცილდა
რკინის დიდ გალავანს.

მეორეჯერ კვლავ დეზი ჰკრა,
შეუძახა თანაც,
შეეცადა არანზალა
მხედრის ცად ატანას,

მეორედაც როს ვერ შეწვდა
ცხენი ციხის თავანს

ყრმა შოვშური ძირს გადმოხტა,
ეცა ხმლით გალავანს,

მოუქნია, შუა გააპო, როგორც
კუნძი სოლით
და შევიდა გალავანში
ყიჟინით და ბრძოლით.

თან გასძახა უკან ცეჯის—
ხელი არას ახლო,
ოღონდ ჩემი არანზალა
მომიყვანე ახლო

და მიყურე გიურგიუს
ვით ვანანო ბედი,
მარტომ უნდა მოვუდრიკო
გულქვა მტარვალს ქედი.

და შოვშურმა ხანის ციხეს
გამოსხლიტა სვეტი
და დაინგრა უცებ კოშკის
ცად აწვდილი წვეტი.

გამოვარდა გიურგიუ
ვით ველური ხარი
და სამი წლის ყმაწვილ შოვშურს
დაეტაკა მხარით.

ჯერ ხელდახელ იჭიდავეს,
ააყენეს ქარი,
მშრალ მიწაზე ხრამს აჩენდა
მათი ნამუხლარი.

ფალავნებმა ხელი მიყვეს
შემდეგ ხმლების კრიალს,
და ფარებზე ხმლების ცემა
გავდა მეხთა გრიალს.

თერთმეტი დღე იყო ბრძოლა,
სასტიკი და ფიცხი,
ბოლოს შოვშურს გაუქირდა
შესრულება ფიცის.—

ვერ დაძლია გიურგიუს,
იმის ხმაღს და ლონეს,
რადგან იყო სულ სამი წლის
ხერხის ჯერ არ მქონე.

მაშინ ცეჯიმ შეუძახა:
ნუ გაქვს, შოვშურ, რიდი,
რა გინდ მტერი ყოფილიყო
მაღალი და დიდი,

მამაშენი ჯერ მას კისერს
მოუგრებდა ხელით,
შემდეგ მძლავრ ფეხს დაუდებდა
მძვინვარე და ხელი,

წელში ისე მოლუნავდა,
ვერც კი დაეგმინა
და თეძოთი იმის გულმკერდს
ტეხდა როგორც მინას.

შოვშურ, შოვშურ, მშვენიერო,
თვალებ მოციმციმევე,
რა გინდ მტერი ყოფილიყო
ძლიერი და მძიმე

მამაშენი ზე აწევდა
უცებ ისე მაღლა,
თითქოს თივის ზვინი იყო
და არც გრძნობდა დაღლას.

ამხნევებდა ასე ცეჯი
შოვშურს ბრძენის პირით
და გაგრძელდა მკაცრი ბრძოლა
კიდევ სამი კვირით.

გაგიჟებულ სპილოს გავდა
ყრმა შოვეშური ხელი,
უცებ მისწვდა გიურგიუს
ცარიელი ხელით.

დრო ურჩია, მუხის ბოძათ
გადაუღვა ფეხი,
მძლავრ მკლავებში მომწყვდეული,
კისერ მონაგრეხი,

მსწრაფლ მოლუნა წელში ისე,
ვერც კი დაიგმინა
და თეძოთი დაუმსხვრია
მკერდი როგორც მინა.

ზე ასწია, თითქოს მჩატე
თივის ზვინი იყო,
გიურგიუმ დღეს ბრძოლაში
თავი ველარ იქო,

ცდილობს, მიწას ველარ უწვდენს
ფეხებს, როგორც ბოძებს,
ატრიალებს ცაში ბავშვი
მტარვალს, განაოცებს.

ატრიალა მანამ, ვიდრე
თვალთ არ დაუბნელდა,
ვიდრე გულში არ ჩაუდგა
უჩვეულო ელდა;

ვიდრე ძირს არ დაეფინა
გალავანი მყარი,
ვიდრე მყის არ ამოვარდა
საოცარი ქარი;

ვიდრე ზღვები არ აღელდნენ,
არ შეინძრა ცაცა.
ატრიალა, შემდეგ მუკლით
თეთრ ქვიშაზე დაცა.

ძირს წაქცეულს სიგრძე ჰქონდა
თითქმის ერთი ეჯი.
შოვშურისკენ გაეშურა
სიხარულით ცეჯი.

მაგრამ ამ დროს წამოვარდა
გიურგიუ ზეზე,
მტარვალს აღარ უბრწყინავდა
ოქროს ხმალი მზეზე.

მიაშურა თავის ჯარებს,
მაგრამ კელაე შოვშური
დაედევნა გაქცეულ ხანს,
რომ ეძია შური.

გამოუდგა მტერს ცხენდაცხენ
ცეჯიც ელვა-მეხით,
უფრო აღრე მხნე შოვშური
დაეწია ფეხით,

და ჩასკიდა მკლავში ხელი,
ისევ დასცა მიწას,
ოცჯერ დასცა. გიურგიუ
თავსაც ველარ იცაღის.

მისი ყოველ დაცემისგან
ცას წვდებოდა მტერი,
ბოლოს შოვშურს, ყრმა გოლიათს
დამორჩილდა მტერი.

ალტან-ცეჯმა და შოვშურმა,
გიურგიუს ხანი
წაიყვანეს, არ აღროვეს
მტარვალს მცირე ხანიც.

ერთ კლდის ძირას, სად დიოდა
წყარო მოციმციმე,
იქ ფეხები ვით კუნძები,
კორძიანი, მძიმე,

რკინის ჯაჭვით შეუბოქეს,
ძირს დააგდეს მარტო,
როს ხელებიც, შავი მუხის
ვით შტოები ფართო

მტერს გაუკრეს, და შოვშურმა
ბრძოლით გული იძლო,
არანზალამ სინარულით
მყის ქიხვინი იწყო.

დიდ ჯანგარის მეომრები,
ციხის გარეთ მყოფნი,
უშოვშუროდ წუხდნენ მეტად,
ქებით მისი მკობნი,

მაგრამ უცებ ფალავნებმა
როცა გაიგონეს
არანზალას ქიხვინის ხმა,
ისევ იგრძნეს ღონე.

თქვეს: უთუოდ ყრმა შოვშურმა
დაამარცხა მტერი.
კვლავ იცხოვრებს თავისუფლად
აწი ჩვენი ერი.

და აღმართეს ფალავნებმა
ბუმბის ბაირალი,
მყის მხარდამხარ დადგნენ ერთად
იწყეს მღერა ლალი.

მიაშურეს ასე იმ მთას,
სადაც გუშინ ეგო
გიურგიუს ციხე-კოშკი,
რომ შოვშური ექოთ.

ასჯერ-ასი დაეხოცათ
მტერი თითო მხედარს,
მაგრამ ახლა მათ ნაომარს
ჯანგარა ვერ ხედავს.

აღბათ ბევრი დრო გავიდა,
განვლო დიდმა ხანმა,
რაც შეიპყრო ბუმბის ხალხი
გულმორისხანე ხანმა.

რაც ქვესკნელში ტყვეთ ზის ხონგრა,
კრემლებ მონასხური
ხოლო მისი ცხენი მარდი
მზის შუქს მონაწყური

უკარფანჯრო რკინის სახლში
დამწყვდეული არი
და წუხს, რადგან ველარ დაქრის
ველად როგორც ქარი.

ველურ მხეცთა ტყავის თასმით
მაგრად ფეხებ შეკრულს
დარაჯობენ გარს ქაჯები,
აწვალებენ ბედკრულს

და აქმევენ თვეში ორჯერ
ჯოჯოხეთის ტალახს.
ერთხელ როცა ნატრულობდა,
წყაროსა და ბალახს

შემოესმა არანზალას
კიხვინის ხმა ლალი,
შეერთა. თვალწინ წარმოუდგა
ლურჯი იალალი

მოენატრა თავისუფლად
ნავარდი და ქროლვა,
ანკი როგორ აიტანა
ან ღენიხნის ქოლვა.

მოენატრა ხონგრას ბრძოლა
და აღერსი ტკბილი,
მოენატრა არანზალა...
გაჰკრა თასმებს კბილი.

შედგა ყალყზე. დატრიალდა
როგორც ცაში ქორი,
დამფრთხალ ქაჯებს მყის თავები
დაუხეთქა ტორით.

ბოლოს კედელს დაეტაკა,
გაანგრია მყისვე
და როგორც კი თავი იგრძნო
თავისუფლად ისევ,

როცა მიხვდა აღარ იყო
ბნელით დანათარი,
გაექანა და გაშალა
მზეზე კვლავ ფათარი.

მისვლისთანვე არანზალას
შეკიხინა ლხენით,
ჯერ უკბინა, და დაუწყო
შემდეგ ლოკვა ენით.

გადააქვდეს ყელი ყელსა,
დიდხანს იყვნენ ასე.
შუქი იდგა, ღრუბლის ბეწვიც
აღარ ჩანდა ცაზე.

მაგრამ მალე ცხენების გულს
სევდამ ხელი ახო,
რადგან ხონგრას და დიდ ჯანგარს
ვერ ხედავდენ აბლო.

შოვშურმა თქვა—შულმუსები
მოერეკათ ჯოგად
ოცდახუთმეტ ფალავნის წინ
რათა დაეჩოქათ.

მოიყვანეს ორ-ორ წყებათ
ხანის თავადები,
დამსხვრეული ქონდა ყველას
ოქროს ხმლის ვადები.

ყრმა შოვჭურმა ჩამოართვა
ყველას იარაღი
და დააკრა შავ სახეზე
ვარდის მსგავსი დაღი.

თან უბრძანათ, ემსახურონ
აწუ ჯანგარას დიადს,
გიურგიუ კი დაუთმონ
დავიწყების წყვილიადს.

ალტან-ცეჯმა განაცხადა:
გიურგიუს ხანი
უნდა იყოს წამებაში
იმდენივე ხანი,

რამდენხანსაც ჩენი ხალხი
სტანჯა და აწვალა,
რამდენხანსაც ცრემლი ხონგრას
აფრქვევინა ცვარათ.

ამის შემდეგ ფალაენები
შემოახტენ რაშებს,
მათი ფლოქვთა თქარათქური
გავდა ურიცხვ ტაშებს.

ქროდენ დღით და ქროდენ ლამით,
დაბლა, ხანაც მაღლა,
ქროდენ ქარებრ და ერთხელაც
არ უგრძენიათ დაღლა.

ბოლოს როცა მიაღწიეს
მშობელ ქვეყნის კიდეს
ბუმბელებმა ყველა დროშა
გარეთ გამოკიდეს!

მიეგებენ გმირ ფალაენებს.
ძირს უფენდნენ ვარდებს,
ჯანგარის შვილს, ყრმა გოლიათს,
წინ-წინ მონაგარდეს

შელაღაღეს ერთხმად ქება,
უქეს ხმალი მკრელი,
და მიაართვეს მტრისგან დამხსნელს
მოსასხამი კრელი.

მარტო დიდი ოკეანე,
ბუმბათ წოდებული,
იყო მშვიდათ მზის შუქისგან
ხანძარ მოდებული.

ელვარებდა დიდ ჯანგარის
კოშკიც, როგორც ვარდი,
გამქრალიყო, სადღა იყო
ძველი სევდა, დარდი.

სასახლესთან მოკაზმული
იღვა ბუმბის ხალხი:
ყველას ეცვა აბრეშუმი,
გაეხადა თალხი.

როს გამოჩნდა ყრმა შოფშური
ხელში შიშველ ხმლითა,
ააყვირეს საყვირები
საოცარი ხმითა.

და ჯანგარის ნორჩი ცოლი,
ვინც მზესავით ბრწყინავს,
დედოფალი ქვეყნის, სადაც
არაოდეს ყინავს,

სადაც მარად ზაფხულია და
ყვავილი ჰყვავის,
სადაც არვის აღარ ესმის
ყრუ ჩხავილი ყვავის,—

მყის ავიდა თავის ტახტზე
და შოფშური იხმო,
გვერდს მოისვა ყრმა, რომელმაც
გიურგიუ იყმო.

თქვა: ჯანგარი—შენი მამა,
ხოლო ჩემი ქმარი
თავის დროზე დაბრუნდება,
მოვა სადაც არი.

მოვა ხონგრაც, მაშინ გვმართებს
წვეულება დიდი,
მოიყვანე დედაშენიც,
ნუ ექნება რიდი.

იმას უფრო უფლება აქვს^ჲ
ტახტის ახლო იყოს
და ყველასთან იამაყოს,
შენით თავი იჭოს.

ღვიძლ დასავით შევიყვარებ,
არ გატყუებ, გფიცავ!
ყველა ჩემი ძმა და დაა,
ვინც სამშობლოს იცავს.—

და შოვშური ტკბილ დედასთან
წავა იმავ ღამით.
ყველა ლხინობს. რძეს და არზანს.
ხალხს ასმევენ ჯამით.

ბუმბის თავზე ვარსკვლავები
დაეკიდენ ძაფით,
ოკეანე ნაპირს ამკობს
მარგალიტის ქაფით.

ჯანგარი კი ამ დროს ქვესკნელს,
სადაც მუდამ ბნელა,
თავის ოქროს ყავარჯნებით
ჩადიოდა ნელა.

ბნელში თვალებს აელვებდა
ორს-საფიროს ღილად.
ვიწრო გზაზე ცალ ყავარჯნს
ეყრდნობოდა ფრთხილად

ფართო გზაზე კი ორივეს...
ბოლოს მიაღწია
როგორც იქნა დედამიწის
ბნელ მეშვიდე წიაღს.

შედგა, თითქოს კუპრში არი,
აღარ უქრის თვალი.
ირგვლივ არე მყის განათდა
უცნაური ალით.

დაინახა ირგვლივ მთები,
მდინარე და ველი.
ქვეყანას გავს. გაოცებით
დგას ჯანგარი ქველი.

მაგრამ ირგვლივ არაფერ ჩანს.
სიჩუმეა მკვდრული.
გმირ ჯანგარსაც ეპარება
უჩვეულო რული.

სწრაფად ლონეს მოიკრებს და
ყრის ყაფარჯნებს იქვე,
გაიქცევა, ხან, დაჯდება,
ხან დაწვება პირქვე.

ხანაც ყვირის. ამ დროს ხედავს
ორი დიდი გორა.
მის თვალისწინ რაღაც ძალით
ბურთებივით გორავს.

ეს რა არი? ვილაც ბავშვი
გორებს დიდზე დიდებს
ხან გადადგამს, ხან გადმოდგამს.
ავარჯიშებს თითებს.

ჯანგარმა თქვა: სხვა არაფერ
დაიჯერებს ამას
მთების დაძვრა რომ შეეძლოს
ხელით ვინმე მამაცს.

სხვაგან არსად არ მინახავს
კაცი ასეთ ძალის.—
და მივიდა მიესალმა
სიტყვა მონაკრძალი.

ჰკითხა: ვინ ხარ, იქნებ იცნობ
ხონგრას მკლავით მამაცს.
მე ის მიყვარს როგორც ძმას ძმა,
როგორც შვილი მამას.

ბავშვმა წყნარად უპასუხა:
—განულო დიდმა ხანმა,
რაც ის ქურდულ დაატყვევა
შულმუსების ხანმა.

მოათავსა ამ ჭეესკენელში.
ველარ დადის ველად:
აწვალებენ შულმუსები,
მიჩენილნი მცველად.

დღეში ცემენ რვაათასჯერ,
არ ინდობენ წამით.
სიკვდილს ნატრობს. მტარვალთაგან
ასე განაწამი.

და თან ამბობს: არ მყავს არვინ,
არც ძმა, არცა დები,
არ მყავს შვილი. ამ ჯურღმულში
მარტოთ მარტო ვკვდები.

ოი, ჯანგარ, დიდო ხანო,
სად ხარ, რომელ მხარეს,
რომ არ გესმის ჩემი კვნესა,
ჩემი სიმწუხარე.

ასე მოთქვამს. მეცოდება.
დავეხმარო მინდა,
მინდა დღესვე ავასრულო
ეს განზრახვა წმინდა.

ვიდრე მტრებთან მექნებოდეს
ბრძოლა მოსაწონი
ამ გორებზე ვცდი ძალ-ლონეს,
მათ სიმძიმეს ეწონი.

(თარგმნა რაჟდენ გვეტაძემ)

სახელოვან ულან ხონგრას
გახურებულ შანთით
ტყავს აძრობენ და გაისმის
ხმა ველური მათი,
და ამ ხმაში აღისფერი
ჰკენესის. გოლიათი:

სად ხარ, ჯანგარ, — იმეორებს—
განა ასე უნდა.
აკი სხვა დროს ჩემს საშველად
მოდრიოდი მუდამ.

ტყავს აძრობენ ულან ხონგრას
შულმუსები მანე. —
უთხრა ბავშვმა, და ერთ წუთში
შესვა ოკეანე.

და ჯანგარმაც გადასწყვიტა:
რაა საკვირველი,
აღბათ მე ვარ ერთადერთი
გოლიათის მხსნელი.

ადგა ბოგდო, აიყვანა
ორი ბავშვი ხელით
და გაიქცა, გრიგალივით
გადიარა ველი.

ხედავს: ველზე უცხო კარავს
გაუშლია კალთა,
კარვის კალთა არ შრიალებს—
საბერველი ქართა;

არ აშინებთ, მორიდებით
შესდგებიან კართან—
შუა კარის ცეცხლი ღვივის
პირდაღებულ ქვაბთან...

იქვე ყრია შეშის გროვა
თეთრ სანდალის ხისა
და ჩანგალზე დაკიდული
ხორცი ირმებისა.

— აქ დროებით დავისვენოთ. —
სთქვა ჯანგარმა ფრთხილად
და ღვედივით გაჭიმულმა
მყისვე დაიძინა.

ერთი ბავშვი კერასთან ზის,
ერთი აპობს შეშას,
იხარშება ირმის ხორცი,
ისმის ქვაბის ხენეშა.

ამ დროს, როგორც მოჩვენება
შავი ნისკარტელა
უცნაური დედაბერი
შემოვიდა ნელა.

შემოვიდა წინ სპილენძის
გაშვერილი ცხვირით
და ჩამოჯდა ცეცხლის პირას...
ცეცხლში შეშა სტირის.

ეს სულ-მყრალი დედაბერი,
ერთი რალას შერება.
— დედაბერო, ცეცხლს ნუ აქრობ,
ხორცი იხარშება.—

ის კი, ისევ ცეცხლს უბერავს.
უცებ დადგა მტვერი.
მოიხედეს: გააჭრა ხორცი,
გააჭრა დედაბერიც,

— ეს როკაპი რა ყოფილა?! —
სთქვეს მწუხარედ იმათ,
მხოლოდ იქვე ჯანგარ-ხანის
ისმის ნელი გმინვა.

ჩამოიღეს ირმის ბეჭი
და ჩათალეს ნელა,
ამ დროს ისევ შემოვიდა
შავი ნისკარტელა.

— დედაბერო, გაეთრიე,
გაეთრიე მალე.
— ბრალიანი ვარო — ამბობს
და თან ქუტავს თვალებს;

ჩამოჯდება ცეცხლის პირას...
ცეცხლში შეშა სტირის,
და უბერავს წინ სპილენძის
გაშვერილი ცხვირით.

ისევ ღვივის შუა ცეცხლი,
ქვაბიც შემოჰკიდეს,
უკვე გამაძლარიაო,
რალას გვიზამს კიდევ.

მაგრამ ნახეთ დედაბერი,
რა ოინებს შვრება —
— დედაბერო, ცეცხლს ნუ აქრობ
ხორცი იხარშება.

ის-კი, ისევ ცეცხლს უბერავს.
უცებ ღგება მტვერი,
მოიხედეს: გაჰქრა ხორცი,
გაჰქრა დედაბერიც.

აქ მოწყენით გადახედეს
კარში გამქრალ დეზებს
და იმსჯელეს, ერთხანს კიდევ
უცხო დედაბერზე.

თქვეს ჯანგარზეც — უცხო ნოინს,
როგორ გაჰყვნენ ველად,
როგორ ნახეს, ეს კარავი
და ის ნისკარტელა;

თქვეს, თუ, როგორ შემოვიდა
დედაბერი კართან;
შემდეგ, როგორ ჟამიერად
მტვერში დაიკარგა.

შუა კერის ცეცხლი ღვივის.
ცეცხლში შეშა სტირის.
— შეიძლება დედაბერმა
შეგვირცხვინოს პირი.

თქვას: ორთავემ ჩვენ შევქამეთ
ირმის ორი ბეჭი
და აღეძრას დიდ ჯანგარ-ხანს
ამით ჩვენზე ექვი.—

შუა კერის შავი ქვაბი
ისევ შემოჰკიდეს
და მესამედ ირმის ბეჭი
ჩამოთალეს კიდევ.

გაიღვიძა ჯანგარ-ხანმა
და წამოდგა ზეზე.
მათ არ უთხრეს არაფერი
უცხო დედაბერზე.

ნახა: შავი ქვაბის პირას
მუხლი მოეკეტათ.
ჯანგარმა თქვა: ისადილეთ?
მოვიხარშავ მეცა!

თქვენ-კი ახლა დაიძინეთ,
გზას გაუდგეთ დილით,—
და ჩამოჯდა ცეცხლის პირას
კუშტი, დაღვრემილი.

ბავშვებს სძინაეთ, უცებ კერას
მოეხვია მტვერი,
შემობრუნდა, ზღურბლის თავზე
მოსჩანს დედაბერი.

ის ხარხარებს და ჯანგარიც
ეკითხება ნელა:
— რა გაცინებს, უცნაურო,
შავო ნისკარტელა?!—

— მე დავსცინი ამ ყმაწვილებს,
რომ მათ ნება უნდა
მისცენ ხორცის მოხარშვისა
შენებრ ძილის გუდას?!

— შენ რა გინდა? წადი ახლავ,
მოიტანე წყალი.—
წამოვარდა თვალში კვესავს
ცეცხლის ნაპერწკალი.

— მალე წყალი მოიტანე...—
და თან ფიქრობს მშვიდად:
ვნახო ვინ ხარ—კარავიდან
გარეთ გამოვიდა.

ბუმბის წმინდა ქვეყნის ხანი
გამჭრიახი მუდამ
ზეერავს ეზოს... დაინახა:
საოცარი გუდა.

ძარღვებისგან დაგრეხილი
თოკი საკვირველი...
ნახა ყველა საოცრება
და ფოლადის კვერი.

ყველაფერი ეს ჩაყარა
ირმის ტყავში ხელად

და კარავის კერისაკენ
გაეშურა ნელა.

— დედაბერო, სად იყავი?—

შესვლის უმაღ ჰკითხავს.

— შენს ხაპს ძირი გავარდნია

და ვიწვალე დიდხანს.

— ერთი შეხეთ ამ კუდიანს

რა ოინებს შერება,

ახლა კიდევ ცეცხლსაც აქრობ?

უწყლოდ ქვაბი შრება.

მოდო ერთად ვისადილოთ,

ხორცი იხარშება.

და ჯანგარმა წამოავლო

„დარის მორჩილს“ ხელი,

ხმალ აწვდილი გაექანა,

როგორც ქედფიცხელი.—

დედაბერმა სცადა, მაგრამ

ველარ გაეცალა.

მიხვდა: თურმე დაჰკარგოდა

ჯადოსნური ძალა.

შესდგა, ქვაბი გადაისხა.

აიკეცა კალთა,

მაგრამ ველარ მიაღწია

თეთრი კარვის კართან.

ჯანგარ-ხანმა შუა გასქრა

იგი თავგანწირვით.

ერთი ხვრელში ჩაიკარგა,

სხვა ზეცაში წივის...

— მტერი მოვსპე დასალუპი,

წამოდექით ჩქარა.

ველარც მშვიდათ დაიძინა,
ველარც გაიქარა.

—წამოდექით!—სთქვა ჯანგარმა,
და თან მძიმედ ხენეშის—
მომაწოდეთ საგდებელი,
ჩავალ მე იმ ხერელში.

ჩავალ სადაც კუდიანის
გაკვეთილი კალთა
ჩაეშვა და ჩაიმალა,
ხერელში ჩაიკარგა!...

წამოავლო ხელი ქამანდს
და ჩაეშვა ხელად,
ჩაეშვა და ჩაიმალა,
წყვდიადებში ნელა.

მიდის, თოკი მისრიალებს
და გარშემო ბნელა;
და ჯანგარსაც ამხანაგობს
ხმალი მარტოხელა.

შესდგა, უცებ თავს წაადგა
ანგელოზის კარავს.
დაჰკრა ფეხი, იქ შეემა
მზისა ნათელ კარად;

აქაც ისე საოცრება
და ოცნება ნახა:
შევიდა და კარვის გულში
ხედავს მზეთუნახავს. —

მზეთუნახავს თეთრ კარავში
წყნარად შემოჰქონდა
საქმელები, ის, რომელსაც
ასი გემო ჰქონდა.

ჯანგარ-ხანი ეკითხება
ასულს მზეთუნახავს:

— უცნაური დედაბერი
აქ ხომ არ გინახავს?

— როგორ არა, ჩამოეშვა
აქ ნაცარის მტვერი —
ერთი შუა გაკვეთილი
შავი დედაბერი.

ცხოვრობს იგი იმ შავ ქობთან—
და აჩვენებს ველად—
და მას იცავს შვიდი მოყმე,
შვიდი პირტიტველა.—

ბუმბის წმინდა ქვეყნის ხანი
და ჯანგარი კობტა,
შემოურბენს ველს გარშემო
მიიქრება ქობთან.

ნახა შავი დედაბერი
მხარ გაქრილი მთელად...
აერთებდა იმის სხეულს
შვიდი პირტიტველა.

შვიდ შვილს დედა ეუბნება:
— თქვენი მტერი მუდამ
აჰა, მოდის ზედა ბუმბის
ქვეყნის ძილის გუდა.

დაიჭირეთ, ხელში ხმალით
ვაჟკაცობის რიგი—
გოლიათის წასაყვანად
ახლა მოდის იგი.

აღისფერი გოლიათი—
ისმის შური ხმაში—
დაკარგული, დამარხული
ცხოვრობს წითელ ზღვაში.

არ მოუშვათ ჯანგარ-ხანი
და თუ მოვა მაინც,

ჩაამტვრიეთ ოქროს კბილი
თავმომწონე რაინდს.

ოქროს კბილი ჩაამტვრიეთ,
ამოგლიჯეთ ენა,
რომ ვერ ნახოს წმინდა ბუმბის
ქვეყნიური ზენა.—

— მე მოვედი ღამეული—
ამბობს ჯანგარ-ხანი—
შენი სიზმრის მოზმანება
და სურვილის ხანი.—

შვიდი მოყმე, შვიდი მხრიდან
შემოენთნენ ხელად,
ერთმანეთზე შეატაკა
შვიდივ მარტოხელამ—
შვიდივ მოსპო, შვიდსავე დღენი
წუთში დაუბნელა.

— ერთი ვნახო სალახანებს
სახლში რა აქვთ ნეტავ.—
შევიდა და შეხვდა ქობში
ქაბუკს რკინის მკენეტავს.

იწვა სამი თვის ქაბუკი
სარეცელში მშვიდათ,
შეხედა და წამოვარდა
რკინის აკვანიდან:

— გუშინ დედა მომიკალი,
დღეს შვიდი ძმა ჩემი,
როგორ ბედავ აქ შემოსულას
ვაჟკაცობის მჩენი.

ბუმბის ქვეყნის ხალხთა შორის
შენ იყავი ალბათ
ო, პირველი უსირხვიცლო
და მტარვალე ჯანგარ.—

დაუძახა და (ეცხლივით
წამოვარდა მაშინ,
გაჰკრა სილა დანდობილად
გმირს მარჯვენა ყბაში.

გაჰკრა სილა მარჯვენაში,
როგორც იყო რიგი
და ახალი კომშის მსგავსად
გაუხადი იგი.

გაჰკრა სილა მარცხენაში,
როგორც იყო რიგი
და ახალი კომშის მსგავსად
გაუხადი იგი.

შეიბნენ და შეეჭიდნენ:
გადის ორი კვირა.
ვერ დასძლიეს... ვერ დაეცა
ერთი—ერთის ძირა.

მაშინ ომში გამოცდილი
გმირი ბოგდო-ხანი
მიეპრება რკინის ჭაბუკს
ამოწვდილი ხმალით;
ხმალით, რითაც ჰკვეთდა კლდეებს
და მტარვალთა თავებს,
ეძახოდა „დარის მორჩილს“
და ნამგალა მთვარეს—

დაჰკრა ხმალი, მაგრამ მოხდა
საქმე გასაკვირი,
ვით გრანიტმა, აისხლიტა
შუბლმა ხმალის პირი.

დაჰკრა ხმალი და ზრიალმა
ველი დააყრუა,
ხმალის პირი დაემსგავსა
ახლა ცულის ყუას.

ბავშვმა უთხრა: ბუმბის ქვეყნის
დიდებულო ხანო,
აქ მშვიდობით სიარული
ველარ დაახანო;

გაუა სამი თვე ლამაზი
ქვეყნად ხანდაზმისა,
მაშინ შენაც დაემსგავსო
წუთისოფლის სიზმარს.—

უთხრა ბავშვმა და წამოხტა.
და შეიბნენ კვალად,
ბოგდო-ხანმაც მოიკრიბა
მთელ თავის ძალა;

სტაცა ხელი ვაჟკაცურად
და მოგვერდი მისცა,
მისი გრდემლის მსგავსი შუბლი
დაახეთქა მიწას.

დილით იგი ააყენა.
შემოხედავს ავი:
მას მარცხენა ილლიასთან
აჩნდა ლაქა შავი,
ვით ჩინური ნემსის ყუნწის
უჩინარი თავი.

ამოართვა ილლიიდან
ბავშვს ფოლადის დანა
და გაუპო გული შუა,
ფილტვი გაიტანა.

ჯერ მარცხენა გვერდი გასჭრა
და მერე მარჯვენა,
ფილტვებიდან ამოვარდა
ცეცხლის სამი ენა

ჯანგარს ცეცხლი წაეკიდა,
იწვის ჯანგარ-ხახი.—

მყის მოუხმო თვის წინაპრებს,
არ აყოვნა ხანი:
— მომგვარეთო, ჯადოსნური
შავი წვიმის ღვარი.—

ჯადოსნური შავი წვიმა
წამოვიდა წვრილად,
ჩაჰქრა ცეცხლი. და ნაცარი
დარჩა ცეცხლის წილად.

შემობრუნდა და კარავში
ჰკითხა მზეთუნახავს:
— ვინ ხარ, დამო, სადაური,
დაღვრემილი რად ხარ?.

— ზეციერი თანგრიასი
მე ასული ვიყავ;
შემდეგ ჩემი მომავალი
ასე გაირიყა.

ერთხელ, როცა ყვავილებსა
ვაგროვებდი ველად
კუდიანმა დედაბერმა
მნახა მარტოხელა
და ამ ხერელში მომიყვანა
ბავშვის მოსაუღელად.

— ახლა რა გსურს. აქ დარჩენა,
თუ ამოსვლა ზევით?—
— მსურს ამოსვლა.— უპასუხა
ქალმა თავის ქნევით.

და მოადგნენ ორივენი
ჩალამებულ ხერელსა,
არ ქანაობს საგდებელი,
არ ჰკიდებენ ხელსა.

ჯანგარ ბრძანებს: მიდი თოკთან
და მოჰკიდე ხელი.—

შას ასული უპასუხებს
მოღერილი ყელით:
-- შენ ხარ კაცი ნიქიერი,
ზედა ბუმბის მცველი,

როგორ ავალ შენზე წინა.
მე, შენს ასელას ველი.—
კვლავ უბრძანა: მიდი თოკთან
და მოჰკიდე ხელი.—
ქალმა თოკი შეაქანა,
აიარა ხვრელი...

თოკს ეწევა ერთი ბავშვი
და მეორე ახვევს—
ორმოს პირსა ამოსული
შუქი მზისა ნახეს;
დაინახეს: ქალიშვილი—
ეს ლამაზი სახე.

დაინახეს და ერთმანეთს
გადახედეს ცივად.
ქალმა უთხრა: რას მიყურებთ.—
და თან გაეცინა.—

— აქ ყვავილი არ ყვავილობს,
უმზეობით ხმება,
მაგრამ მრავალ ნაცადია
ჯანგრის მოხერხება.—

შავი ხვრელის სარქველიდან
აიყვანეს ქალი
და ბოგდო-ხანს თოკის პირი
გადაუქრეს ხმალით.

გაწყდა თოკი. გაიარა
ქვესკნელების კარი,
დაეშვა და ძირს დაეცა.
მოიტეხა მხარი.

დიდხანს იწვა. და წყვედიადი •
ვრცელდებოდა ირგვლივ—
და საშველად თვის წინაპრებს
ეძახოდა იგი.

იგი უცბად დაემსგავსა
წუთისოფლის სიზმარს
და საგანი გახდა მარად
ხონგრას ოცნებისა.

დიდხანს იწვა. იმის ახლოს
გაჩნდა თაგვი ორი.
წრუწუნამ თქვა: შევკამოთო
ბოგდო-ხანის მძორი.

— არა!—დედამ უპასუხა—
ის დაეცა ბრძოლით
და სოროსთან ყველა მძორი
არის თანასწორი.

— მაშ როგორი ხორცი გინდა,
რომ მიდიხარ უკან?—
სთქვა წრუწუნამ და წაჭვლიჯა
ვატყაცს ერთი ლუკმა.

ბოგდომ წყრომით ამოსძახა:
— როგორ ვუთხრა ქება,
იმას, ვისაც ქალბატონად
თაგვიც გაუხდება?—

თაგვს ნოინმა წკიპურტი ჰკრა
და მოსტეხა მხარი.
დედა სადღაც გაიპარა,
ირგვლივ არსად არი.

გაიხედა მეორე დღეს,
მოცუნცულებს ისაც,
კბილში რაღაც უჭერიი,
მივიდა და მისცა,

მან ჩაკენიტა და გამთელდა,
თავსაც დაბლა უკრავს...
— კვლავ შეეკამო.—თქვა წრუწუნამ
და წაჰგლიჯა ლუკმა.

ბოგდომ ისევ წკიპურტი ჰკრა
და ჩამოდო ძირსა.
დედა-თაგვმა გაირბინა
შარა ერთი დღისა.

გაიხედა მეორე დღეს:
მოცუნცულებს ისაც;
მას კბილებით უქერია
ღერი სანდალისა.

თაგვს ფოთოლი გამოსტაცა,
გაუმთელდა მხარი...
დედა გარბის, გაღიარა
შარა, მთა და ბარი...

გაიხედა მესამე დღეს,
თაგვი მოდის ისევ,
თაგვს ფოთოლი კვლავ წაართვა—
გაჰკრა სუნი მქისე,
გაღეჭა და გადაყლაპა
და წამოდგა მყისვე.

ირგვლივ იდგა უკუნეთის
მღუმარება ვრცელი,
უკუნეთის მღუმარება
შავი შავად იწვა;
მხოლოდ სხივი ზესკნელიდან
ანათებდა მიწას
და გარშემო ვრცელდებოდა
შუქი საკვირველი.

ეს ქვეყანა იყო ახლა
შავი უკუნეთი

და ნონიცი შავ მინდორზე
მიდიოდა ერთი.

მიდიოდა, ყურს უგდებდა
მღუმარებას მღურვით,
უცებ ვაეკაცს შემოესმა
ხმები ზეციური.

გაეშურა, და იხილა
ჯადო იმა ხმისა—
ზესკნელს წვერი ეხებოდა
თეთრ სანდალის ხისა,

და ფოთოლი—ფოთოლს, როგორც
მოხვდებოდა რხევით
ფოთლებიდან გაისმოდა
მომხიბვლელი ხმები.

და მიჰქროდნენ ხმები ზემოთ
და მიჰქონდათ ქარი,
რომ უეცრად გაერღვიათ
ზესკნელების კარი.

და ჯანგარის გულმაც მაშინ
გადაწყვიტა შურით,
რომ ჩაიგდოს თეთრ სანდალის
ძალა ჯადოსნური.

ის ავიდა პირველ რტოზე,
ქარი არსად იყო,
ის ავიდა მეორეზე,
ამოფარდა ქარიც...
ის ავიდა მესამეზე—
ზეცა გადაიყო,
ნახა ხმათა უკვდავება
და ფოთლების ჯარი.

ხეს ფოთლები ჩამოსწყვიტა,
ამოიფარდა უბე...

ერთი იქვე გადაჰყლაპა
და ინატრა მაშინ:
— დილით ადრე შემახვედრე
იმ ზესკნელის ღრუბელს,
სადაც ჩემმა მეგობრებმა
მიმატოვეს ხრამში.

შემახვედრე ჩემი ხმალით
და ცოცხალი თავით
მათაც, ვისაც აწუხებდათ
შურისგება ავი.

წარმოსთქვა და დაიძინა
ლალმა ლალის ძილით
და როდესაც თეთრ კარავში
გაელვოდა დილით

ნახა ორი მოყმის დავა.
დაელვება ხმლისა—
თუ ასული თანგრიასი
ერგებოდა ვისა.

არ უთმობდნენ... დაილალა
მაჯა ხმალის ქნევით,
მაშინ ბოგდომ გააგზავნა
ქალიშვილი ზევით...

და უბრძანა ბავშვებს წყრომით:
— ამ წმინდა ხმალს ვფიცავ,
ქვესკნელს ჩახვალთ?—იქ ჩამოვალ,
ზესკნელს ახვალთ? — იქაც
მოგძებნით და შურისგებით
მიწას გაქცევთ მიწად,
თუ აქედან ჩემს მოსვლამდე
ვინმე გამოიქცა.—

და წავიდა ხონგრა-ხანის
კვალის საძებნელად,

უზარმაზარ წითელ გზაზე
მიდიოდა ნელა...

უცებ გაჩნდა სხივთა შუქი,
ვით ნათელი მზისა
მოდრიოდნენ სამნი დანი
მზეთუნახავისა,

მათ მოჰქონდათ საქმელები
და არაყის თასი,
ეს ლამაზი ასულებიც
იყვნენ თანგრიასი.

მივიდა და მის წინაშე
შესდგა სამი ქალი,
ბოგდო ჰკითხავს, თუ იციან
ხონგრა-ხანის კვალი.

— ეს ადგილი იყო წინად
ფსკერი შავი ზღვისა
და არ ჰქონდა ფონი არსად.—
უპასუხეს გმირსა.—

— როცა ზღვასთან ხონგრა-ხანმა
სამჯერ დაიყვირა,
ზღვა გაიყო მაშინ სამად,
გაჩნდა სამი ფონი.
ის დაეცა და დალია
გმირმა სული გმირად.
და ღრეობენ იმის შემდეგ
მტერთა სამეფონი.—

ბოგდო მირბის. გადიარა
კიდევ ქვეყნის ზღვართა
და მივიდა შულმუსების
მკაცრ მეწამულ ზღვასთან.

შეეგება რვაათასი
შულმუსი და ჯარი—
ზღვასთან იდგა, ზღვას იცავდა
ალქაჯების ჯარი.

ქარქაშიდან ამოიღო
ალი—ჯავარდენი
და შეიქრა იმათ გუნდში,
როგორც შევარდენი.

შეიქრა და გაარღვია
მტერთა ორივე მხარე.—
სკრიღა თავებს, ხმალზე—ხმალის
ენტებოდა ალი.
იყო დღე და იყო ღამე—
იყო სიმწუხარე,
იყო ომი.... და გააპო
შულმუსების რკალიც.

მოიხედა, დაინახა
კიდევ ერთი რაზმი.
რაზმს უძლოდა შულმუსების
ოთხი ბუმბერაზი.

კვლავ შეიქრა შულმუსებში
გმირი ბოგდო-ხანი
და ჰკვეთავდა მტერთა რიგებს
ამოწვდილი ხმალით.

დიდხანს იყო მკაცრი ბრძოლა, —
ომი საშინელი
და ჯანგარის სისხლმა მორწყო
ირგვლივ ზღვა და ხმელი.

მისი კანი ჯაეშანივით
შეიქმნა და ღელავს...
წინ მოუძღვის მტრების რისხვად
ჯავარდენის ელვა.

ოთხიე მხრიდან შემოერთყა
ოთხი ქაჯის რკალი,
მაგრამ ბოგდომ აღქაჯებსაც
დაუშინა ხმალი.

სამი მოსპო ჯაგარდენით
და აქცია ნაცრად
და მეოთხეს შეებრძოლა
იგი უფრო მკაცრად.

ჯერ შეაგდო ის მეოთხე
ცაში, ხმალი წივის—
და ცაშივე ორად გასქრა
იგი თავგანწირვით.

მან, უმწეომ გაიარა
კიდე ქვეყნის ზღვართა
და გაჩერდა დაღერემილი
ახლა წითელ ზღვასთან.

იგი უცებ გადაიქცა
მწვანე ფოთლის ღერად
და ჩაეშვა წითელ ზღვაში,
ჩაიმალა ხელად.

ჩაეშვა და ჩაიმალა,
და იხილა ქვევით—
ზღვის ფსკერზეა თავმოყრილი
ხეები და ქვები.

შეჭკრა ერთად და ასწია,
აიტანა მხრითა
და გმირულად დაიყვინა
ბუმბის ქვეყნის ხმითა.

ნახა ხეთა მაგიერად—
ვით ტიბეტის მთები—
აღისფერი გოლიათის
ხონგრა-ხანის ძვლები.

შეკრიბა და თეთრ სანდალის
უსვამს ფოთლის ლერებს,
ერთი თავად გადაყლაპა
და წარმოსთქვა მერე:

— თუ შენა ხარ, მართლა ძალა
მკურნავ სანდალისა,
მაშ სიცოცხლე მიანიქე
ჩემს ალისფერ გმირსა.—

გადაყლაპა ფოთოლი და
ისე დაიმალა,
ძვლებმა იწყეს შეერთება,
გასკრა ფოთლის ძალამ.

ხონგრა-ხანი წევს და თითქოს
სძინავს ბუმბის მზეზე....
და როდესაც მეორე დღეს
გაელვობა დილით
— სჩანს, რომ კაცსაც შესძლებია
ამდენი ხნის ძილი.
სთქვა: გათავდა სიზმარიო—
და წამოდგა ზეზე.

— ჩემთან სხვა ვინ მოვიდოდა
მეცხრე მიწამდევ,
თუ შენა ხარ, ბოგდო-ხანო,
გამომეცხადევ.—

მყის ნახტომით გაჩნდა მასთან
საყვარელი მოყმე
და დაეყრდნო ბროლის ცხვირით
ხონგრას წითელ ლოყებს.

გმირმა გმირი ჩაიხუტა—
გადის ერთი კვირა.
ორი კვირა უამბობდნენ
მწარე ბედის ტრიალს.

უამბობდნენ, თუ რამდენი
ნახეს სიმწუხარე, —
შემდეგ ერთად გაემართნენ
წმინდა ბუმბის მხარეს.

გადიარეს მთა და ველი —
საბერველი ქართა,
ნახეს: ველზე უცხო კარავს
გაუშლია კალთა,

არ აშინებთ, დევგმირები
შესდგებიან კართან —
შუაკერის ცეცხლი ღვივის
პირდაღებულ ქვაბთან.

ორ ყმას ცეცხლი დაუნთია
თეთრ სანდალის ხისა,
იწვის ხე და იხარშება
ხორცი ირმებისა.

— აი, ძმაო, ის ორი ყრმაც,
დადგა მათი რიგი, —
მე მათ ტანჯვა მომაყენეს
და დასაჯე იგი. —

ბუმბის ნოინს ხონგრა-ხანი
უპასუხებს მშვიდი:
— პირიქით, მათ გაგიწიეს
სამსახური დიდი;

მათ, რომ თოკი არ გაეჭრათ,
ასვლა დაეცალათ,
მაშინ, მითხარ, სად ნახავდი
თეთრ სანდალის ძალას.

და მეც, როგორ განმკურნავდი
უცხო ფოთლებითა? —
წაიყვანა ორი ბავშვი
თეთრი კარავიდან,

მიიყვანა მშობელ მხარეს
და გაუშვა მშვიდად.

შემდეგ ტანჯა და წამება
გაიარეს თანა,
მიირბინეს უზარმაზარ
წითელ ორმოსთანა.

და აიღეს ყავარჯნები—
და შევიდნენ შინა,
ეყრდნობოდნენ ყავარჯნებს და
მიდიოდნენ წინა,

ჯოჯოხეთურ სატანჯველით
მიდიოდნენ ასე,
მიდიოდნენ და ავიდნენ
მესამე მიწაზე...

გამოსცადეს კვლავ მრავალი
წამება და ტანჯა
და მეხუთე მიწის პირის
საფეხურიც გაჩნდა.

კვლავ მრავალი სატანჯველი
ორმოებში იწვა,
გამოსცადეს, და გამოჩნდა
ის მეშვიდე მიწაც.

ორმოს თავზე იდგნენ ორნი:
შოვშური და ცეჯი
და ამბობდნენ: დავეშვათო.
ჯანგარმა თქვა: შესდექ!
— რაც ამდენი ტანჯისაგან
შევიძინე შემდეგ—
ეს ბავშვია და მას გული
ბუმბისათვის ერჩის.

ხონგრამ ჰკითხა: რად არ მითხარ
ეს ამბავი წინად,
მე, შენ გიწვევ სამართალში.—
და თან გაეცინა.

როს გაიგეს ბოგდო-ხანის
დაბრუნება ნებით,
ასოცდათხუთმეტი ზღვიდან
შეკრბა ყაინები.

შეკრბა ხალხი უთვალავი
და ხანები მათი.
ოცდათხუთმეტ გოლიათის
თავად გოლიათი.

და ერთ კვირას ზეიმობდნენ,
იყო ლხინი თანა,
ლხინის შემდეგ მთელი რაზმი
ერთად აიშალა.
გაემართნენ მხიარულად
ლამა გალდან შარას—
და შეუძღვა ხალხს ნოინი
ოქროს ვეშაპთანა.

ვეშაპს გარე—შვიდათასჯერ
შემოურბინესო,
შვიდათასჯერ სცეს თაყვანი
ვეშაპსა და მზესო;

შემდეგ ხალხი მხიარული
შემობრუნდა ბუმბას,
შემოჰქონდათ ბუმბის ქარი
ცხენებს დარახტულებს.
ბოგდო-ხანმაც დაკარგული
ტახტი დაიბრუნა
და ნოინი ნოინურად
კვლავ დაბრძანდა ტახტზე.

იჯდა ბოგდო აბრეშუმის.
ბალიშების ზემოთ
და გაბრწყინდა იგი მხარე,
როგორც დილით მზეო,—

ბედნიერთა მუდმივ მხარე,
გაზაფხულის მხარე,
მხარე, სადაც არ იცოდა
გლოვა-სიმწუხარე.

არ იცოდა, თუ რა იყო
სასიკედილო ზარი,
არ იცოდა, საშინელი
ყინვა და ზამთარი.

ბუმბის ხალხმა იწყო მაშინ
ეგობრობის მშვენი
ცხოვრება და მუშაობა
მუდმივ სიმშვიდეში;
მარგალიტით მოქედილი
სრა-სასახლის ბჭენიც
ენტებოდა, არ ჰქრებოდა
იგი თავის დღეში.

და მბრძანებელ ბოგდოსთანა
ნადიმობდა ყველა,
იღვრებოდა თათლის არზა,
ისმებოდა ხელად.

იყო ლხინი. ზღვათა ღელვას
აყოლებდნენ ხმასა,—
და ორწყებად დაწყებული,
როცა შესვეს არზა

მაშინ ადგა აღისფერი
ხონგრა—გოლიათი
და სოქვა: მაქვსო საჩივარი.
დადგა ჩემი ჯერიც.

ჩეულებო, გადასწყვიტეთ
სამართალი მათი,
დაე, იყოს განხილული
სამდურავი ჩემი:

— დღემდის ჩემთვის მას არ უთქვამს
წითელ შოვშურზედა.—
რჩეულებმა განიხილეს,
აიშალნენ ზედა.

ბრძანეს: მრავალ მართალია
ხონგრას საჩივარი.
და უფლება მიანიჭეს,
როგორც წესი არი,—

რომ სახელი დაერქმია
წითელ შოვშურისთვის.
ადგა ხონგრაც ალისფერი
გოლიათი მისთვის:

— დე, ეწოდოს, იმას ნაზი
ლოტოსიო.— ბრძანა —
მას, რომელსაც ხელთ ეპყრება
მთელი ხალხის ძალა.

ბედნიერთა მუდმივ მხარეს
ესეც გაახარებს!
შეაერთებს წმინდა ბუმბის
და ტიბეტის მხარეს.

ყაინებმა ეს სახელი
დაილოცეს ჯერით.
მარგალიტით მოქედილი
სრა სასახლის ქერი—

ენტებოდა, არ ჰქრებოდა,
იგი თავის დღეში...
და აყვავდა გმირთა მხარე
მუდმივ სიმშვიდეში.

(თარგმნა ალ. გომიაშვილმა)

ზოგიერთი სიყვავის განმარტება

- ა რ ზ ა** — ერთგვარი არაყი, დამზადებული ცხენის ანუ ძროხის ჩაკვეთილი რძიდან.
- არანჯალი** — ჯადოსნური ცხენი.
- ბ თ გ დ თ** — უწმინდესი.
- ბოგდო-ხანი** — უწმინდესი ხანი (ტიტული)
- ბ უ მ ბ ა** — სახელწოდება ქვეყნის, ოკეანისა და მთის. პირდაპირი მნიშვნელობით ბუმბა ნიშნავს: ოცნებით მიუღწევად ქვეყანას, ადამიანის სურვილთა მწვერვალს.
- გელუნგი** — ბუდისტთა ბერი.
- ეზენ-ხანი** — იმპერატორი.
- ზ ა ნ დ ა** — მდინარე. აგრეთვე სახელწოდება მხარისა.
- ზანდი-ხანი** — ზანდის ხეობის მმართველი.
- ზ უ** — ყალმუხური სახელწოდება ლხასის, —სატახტო ქალაქი ტიბეტისა ამავე სახელს უწოდებენ ტიბეტის მდინარეებს.
- იურა-ხარა** — მთვარის დღეობა. დღე ბუდის დაბადებისა. მისი.
- მ ა ნ გ ა ხ ი** — მრავალ თავიანი გოლიათი. კაცთა მკამელი.
- მახა-გალა** — ღვთაება. მთარველი ბუდიზმისა.
- მ უ ხ ე ბ ი** — სახარელი ცხოველები მთისა.
- ნ თ ი ნ ი** — თავადი.
- რ ა გ ნ ი** — ქალი ანგელოსი.
- ხ ა ი** — მილიონი.
- ხანდალი** — ერთგვარი ხე. სურნელოვანი და ფერადი.
- ტ ა ი შ ი** — ფეოდალის ტიტული, რომელიც ხანს მორჩილობს.
- ტუჯირმუთი** — ჯიში ცხენთა.
- უ ლ უ ხ ი** — დიდი სოფელი. მოსახლეობა.
- ხალვინგი** — ყალმუხი ქალის თავსაბურველი.
- ხ ა ნ გ ა ი** — მთაგრეხილი. მონგოლეთის ჩრდილოეთ-დასავლეთით.
- ცაგან-ხარა** — „თეთრი მთვარის დღეობა“, გახატულის დასაწყისის აღმნიშვნელი დღესასწაული.
- ჩანდამანი** — ნატურის თვალა. ქვა-ამსრულელები ადამიანთა სურვილებისა. ყალმუხთა წარმოდგენით ქვეყნათ მოიპოვება მხოლოდ სამი ჩანდამანი.
- მულმუხება** — უწმინდური ძალები. ქაჯები.
- ჯანგარი** — ყალმუხური ეპოსის მთავარი გმირის სახელი. წარმომობილია ფარსული „ჯუხან გირი“-დან, რაიც ნიშნავს ქვეყნის მპყრობელს.

„ДЖАНГАР“

Калмыцкий эпос
Изд-во „Федерация“
19 Тбилиси 40

* *

გადაეცა წარმოებას 3/IV
1940 წ. ხელმოწ. დასაბეჭ-
დად 15/IV 1940 წ. ტირაჟი
4300. წიგნის ზომა 6 x 9¹/₂
ფორმათა რაოდენობა 10.
შეკვეთის № 219. მთავლი-
ტის რწმუნებული № 2062.

* *

გამ. „ფედერაცია“-ს სტამბა
თბილისი, პლენანოვის 181.